ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე.

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
სა. სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49.
წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივი ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩვეულებრივით.

№ 297 სამშაბათი, 25 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 297

დ ღ ი უ რ ი

ნორვეგიის რკინის მრეწველობაში დაიწყო გაფიცვა.

იანვარში მოხდება ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენცია, რომელიც საბოლოოდ გამოარკვევს საკითხს კოალიციის შესახებ.

მცირე ანტანტის სახელმწიფოთა კონფერენცია მოხდება 12 იანვარს ბელგრადში (სამხრეთ-სლავია).

ინგლისის მთავრობამ საბჭოთა კავშირს უკან დაუბრუნა გემი „კურსკი".

შავ ზღვაზე ძლიერმა ქარიშხალმა გადაიარა.

დღევანდელი გაზეთის №-რი შეიცავს 6 გვერდს

დღეს, 25 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება

საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

საქ. ცაკის მდივანი ა. საბაშვილი.

28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის თეატრში დანიშნულია

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების

მე-4-ე მოწვევის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება საარჩევნო კომისიისა.
2) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
3) მოხსენება მე-3-მე მოწვევის საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.
4) არჩევნები.

ცენტრალური საარჩევნო კომისია. კრ. 805 2 1

ხუთშაბათს, 27 დეკემბერს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე) შესდგება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენუმი

კავშირების ცენტრალურ გამგეობათა და საკარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების წევრებთან ერთად

დღის წესრიგი:

1. ცეკავშირის მოხსენება.
2. დელეგატების არჩევნები ცეკავშირის ყრილობაზე.

სახალხო ზეიმი

(ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გახსნის გამო)

ხვალ, დეკემბრის 26-ს, მშრომელი ხალხი გურიისა და მასთან ერთად მთელი საბჭოთა საქართველოსი სიხარულით აღნიშნავს ოზურგეთ-ნატანების რკინისგზის საზეიმო გახსნას. რამოდენიმე ათეული წლის ოცნება გურიის მშრომელი გლეხკაცობისა დაბოლოს სინამდვილედ იქცა. ვერც მეფის მთავრობის წინააღმდეგობამ, ვერც მენშევიკური ,,დემოკრატიული'' ხელისუფლების გულგრილობამ და უყურადღებობამ ვერ ხაკლა გურულებში მისწრაფება ამ დიდი კულტურულ-ეკონომიური საქმის დაწყებისა და დაბოლოებისაკენ.

მაგრამ საყოველთაოდ შეგნებული მნიშვნელობა ამ დიდი საქმისა და სურვილი მისი განხორციელების არ იყო საკმაო, რათა ის სინამდვილედ გადაქცეულიყო. საჭირო იყო აქტიური ინიციატივა და მასიური ამოძრავება დაინტერესებული კუთხის მცხოვრებლების, საჭირო იყო ამასთან ერთათ ხელმძღვანელი და დამხმარე ხელი, რომ საერთო ძალით გაკეთებულიყო საშვილიშვილო საქმე. ეს შეიძლებოდა მხოლოთ მშრომელი ხალხის საყოველთაო ამოქმედების პირობებში, მის საკუთარ სახელმწიფოში, მუშურ-გლეხური ხელისუფლების ფართო ენერგიული დახმარებით და ხელმძღვანელობით.

და ეს ასეც მოხდა.

საბჭოთა რეჟიმის გამოცხადებიდან იწყება ჩვენში მასიური ინიციატივის გამოღვიძება და დაუღალავი მუშაობა ჩვენი ეკონომიურ-კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ამ მუშაობაში ურთიერთონ თანამშრომლობით შედუღებული არიან მშრომელი ხალხი და მისი ინტერესების გამომხატველი და დამცველი მთავრობა და პარტია. მხოლოთ ასეთი შეთანხმებული თანამშრომლობის ატმოსფერაში შეიქნა შესაძლებელი დაწყება და გამარჯვებით დაგვირგვინება მთელი თაობის სურვილის.

მიუხედავად ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისისა ადგილობრივის მცხოვრებლების ჯერ კიდევ გაჭირვებული მდგომარეობისა, როდესაც ფართო დაწყებულ საქმიანობას მრავალი დაბრკოლებანი ეღობება წინ და საჭიროა დიდი მსხვერპლის გაღება და თავდავიწყებამდე დაუღალავი მუშაობა—მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენ წინ არის ერთი უდიდეს მიღწევათაგანი საბჭოთა საქმიანობის. ჩვენ შეგვიძლია კანონიერი სიამაყით აღვნიშნოთ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება ეკონომიურ ფრონტზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ერთი კუთხისთვის, მისი ეკონომიურ-კულტურული აღორძინებისა და წარმატებისათვის, არამედ რომელიც ახალ ძალას შესძენს მთელი ჩვენი ქვეყნის ამაღორძინებელ ენერგიას.

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის აღორძინების დაუღალავ მუშაკებს!

გაუმარჯოს გურიის მშრომელ გლეხობას!

გაუმარჯოს საბჭოთა აღმშენებლობას!

კოოპერატიული ყრილობის გამო

დღეისთვის მოწვეულია საქართველოს კოოპერატივების კავშირის რწმუნებულთა მეოთხე მორიგი ყრილობა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ იმ ამოცანებს, რომლებსაც აყენებს კოოპერაციის წინაშე დღევანდელი სინამდვილე

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი კოოპერაცია განიცდის კრიზისს, რომ ის ვერ ახერხებს სავსებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მიზნები.

აიხსნება ეს გარემოება როგორც სახალხო მეურნეობის ეხლანდელი მდგომარეობით, ისე კოოპერაციის ორგანიზაციული სტრუქტურის ზოგიერთი ელემენტების შეუფერებლობით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებთან.

კოოპერაციამ (მხედველობაში გვაქვს მომხმარებელი კოპერაცია) იაფად უნდა მიაწოდოს მომხმარებელს და პირველ ყოვლისა გლეხობას ქალაქის ნაწარმოები.

ამ ამოცანის განსახორციელებაში მას დღემდე ხელს უშლიდნენ მრავალი მიზეზები. პირველ ყოვლისა აქ აღსანიშნავია ის მოვლენა, რომელსაც „მაკრატელს" უწოდებთ. მრეწველობის პროდუქცია ძალიან ძვირი იყო სულ ბოლო დრომდე, ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები შეუდარებლად იაფი. ამის წყალობით გლეხობამ დაკარგა სყიდვითი უნარი. კოოპერაციას არ შეეძლო ძვირად შეესყიდა საქონელი და ის გლეხობისათვის დაერიგებია ხელმისაწვდომ ფასებში.

კოოპერაციის დღევანდელი კრიზისი ეს გამოხატულებაა ჩვენი სახალხო მეურნეობის კრიზისის, და მას ბოლო მოეღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობას შორის დამყარდება ნორმალური პროპორცია.

შემდეგ: კოოპერაციას არ გააჩნია საკმაო საბრუნავი თანხა, რომ ფართო მასშტაბით გააჩაღოს სავაჭრო ოპერაცია. ამასთან ეს თანხა რეალურად კლებულობს ფულის კურსის მერყეობის და დაცემის გამო.

ამიტომ კოოპერაციის მოღვაწეობის გაფართოვება დამოკიდებულია ერთი მხრივ ჩვენი ფულის კურსის განმტკიცებაზე, მეორე მხრივ—მისთვის საჭირო კრედიტის გახსნაზე.

კოოპერაციის მუშაობის შეფერხებაში დიდ როლს თამაშობენ აგრეთვე მისი აპარატის და საორგანიზაციო აგებულების ნაკლულევანებანი.

კოოპერატიული აპარატი გაბერილია ზედმეტი შემადგენლობით. დაწესებულება-წარმოებათა შტატების შემცირება ჩვენ ბევრჯერ მოვახდინეთ, მაგრამ ამ მხრივ ჩვენი ხელი ყველაზე ნაკლებ შეეხო კოოპერაციას. აუარებელი ფული იხარჯება მასში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებზე. კოოპერაციის პირადი შემადგენლობის შენახვა ძალიან ძვირად ჯდება, და, სხვათაშორის, ესეც სწევს კოოპერატიულ ფასებს. ხშირია ისეთი მოვლენა, როცა კერძო ვაჭარი უფრო იაფად ყიდის საქონელს, ვინემ კოოპერატივი.

თუ ასე გაგრძელდა, ზედმეტია ლაპარაკი კერძო ვაჭარის დამარცხებაზე და გლეხობისათვის საქონლის მიწოდებაზე შეღავათიან ფასებში.

კოოპერატიული აპარატის შტატი უნდა შევკვეცოთ უკიდურესობამდე. აგრეთვე უნდა იქნას შემცირებული კოოპერაციის სხვა საორგანიზაციო ხარჯები და მოგების პროცენტი.

გარდა ამისა კოოპერატიული აპარატი უნდა გახდეს უფრო მოქნილი, ვინემ დღემდე იყო. მან უნდა შესძლოს თავის დროზე და ყოველ დაბრკოლებათა გარეშე მიაწოდოს მომხმარებელს საქონელი. დღეს კი მრავალი სოფელი ჩარჩების კლანჭებშია მოქცეული და კოოპერატივს იქ ვერ მიუღწევია. და ეს ხშირად არა მარტო იმიტომ, რომ კოოპერატივს საქონელი არა აქვს, არამედ იმიტომაც, რომ მძიმე და მოუხეშავია მისი აპარატი. ამას უნდა მოეღოს ბოლო.

მაგრამ კოოპერაციის აღდგენა არავითარი ზომებით არ შეიძლება, თუ ამაში აქტიური და შეგნებული მონაწილეობა არ მიიღეს თვით მშრომელებმა.

ამ მხრივ საქმე არ დგას სასურველ ნიადაგზე. კოოპერატივის სავალდებულო, მექანიკური წევრობა, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი, ხელს ვერ შეუწყობს მომხმარებელი მასის თვითმოქმედების გაღვიძებას, მისი დაინტერესებას კოოპერაციის საქმეებით. საჭიროა გადავიდეთ ნებაყოფლობითი წევრობაზე. კოოპერატივმა ნებაყოფლობითი საფუძველზე უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო მშრომელი ხალხი. მან უნდა ჩააბას მომხმარებელი მასა კოოპერატიულ მშენებლობაში გარკვეულ ამოცანების ნიადაგზე. ამ მიმართულებით კოოპერაციის რეორგანიზაციისათვის დიდი მუშაობა სწარმოებს რუსეთში. ჩვენც უნდა მოვამზადოთ შესაფერი ნიადაგი ამისათვის.

კოოპერაციას აწევს უდიდესი მოვალეობა დღევანდელი ეკონომიური კრიზისის დაძლევაში, „მაკრატლის" პირლია წვერების შეერთებაში, გლეხობის და მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებაში.

ცეკავშირის დღევანდელმა ყრილობამ უნდა გამონახოს კონკრეტიული ღონისძიებანი ამ ამოცანის განსახორციელებლად, კოოპერაციის ახალორძინებლად.

საბჭოთა ხელისუფლება და „მაკრატლის" პრობლემა

II

წინა წერილში ჩვენ ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ კაპიტალისტი კრიზისის დროსაც მოგებიდან გამოდის და მით ხელმძღვანელობს. ასე არ იქცევა საბჭოთა ხელისუფლება, რადგან ის მშრომელთა ხელისუფლება არის. ჩვენი უმაღლესი ეკონომიური ინტერესი არის არა მოგება, არამედ მშრომელთა სარგებლობა. ამიტომ არის, რომ ჩვენ ვუარვყოფთ კაპიტალისტთა პრინციპს.

მოგებაზე ლაპარაკიც კი დაუშვებლათ მიაჩნია საბჭოთა მთავრობას დღევანდელი კრიზისის დროს და ეს მიუხედავათ იმისა, რომ სახელმწიფო მრეწველობას, საერთოდ, ისედაც მცირე ზოგება მოჰქონდა, რომელიც მიდიოდა და მიდის ამავე მრეწველობის გასაფართოვებლათ. ფაბრიკა-ქარხნების დაკეტვას მოყვებოდა მუშათა გამოყრა ქუჩაში, რაზედაც ფიქრი მხოლოდ კაპიტალისტებს შეეძლოთ; მეორეს მხრივ ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ არც ჩვენი ახლად ფეხადგმული და განვითარების გზაზე დამდგარი წარმოების შეჩერება და შეკუმშვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ აირჩია მეორე გზა: მოგება დაიყვანოს მინიმუმამდის, შეამციროს ის, თუ საჭირო დარჩა, თვითღირებულებამდის. ზოგიერთი დარგები კი დღევანდლამდის ძლევიან წაგებას. საერთოდ ყოველი ღონეა მიღებული, რომ თვით ღირებულებაც შემცირდეს საქონელზე. ამ უკანასკნელ დროს ჩვენმა მთავრობამ შეამცირა ფასები მთელ რიგ სამრეწველო ფაბრიკატებზე. რუსეთში საქონლის ფასებმა საშუალოთ დაიკლო 28 პროც. საქართველოში კი 29 პროც. პროვინციალურ ქალაქებისათვის ეს დამცირება ადის 43 პროცენტამდის, ხოლო სოფლებისათვის კი—50 პროცენტამდის. ამრიგათ, თუ მაგალითად ტფილისში ნავთი 1 გირ. ღირდა 8 კაპ. ეხლა ღირს 3,8 კაპ. სოფელში კი 14 კაპ.—5,15 კაპ. უნდა დაიკლოს. 1 ფ მარილი სოფელში ღირდა 1.50 კაპ, ეხლა კი ეს ფასი დაკლებულია 85 კაპეიკამდის. ასევე სხვა საქონელზე. სოფელში ეს ღონისძიება ვაჭრობის დიდ გაცხოველებას გამოიწვევს. როგორც ზევით ვთქვი, დიდ პროცენტს საქონლის დღევანდელ ფასში შეადგენდენ გადასახადები, რკინის გზის ტარიფი და სხვ. იყო აგრეთვე მთელი რიგი დამატებითი ხარჯები, რომლებიც ორ-სამჯერ ზრდიდენ ფასებს. ყველა ამას ეხლა ბოლო ეღება. გადასახადები და რკინისგზის ტარიფი მცირდება მრავალ აუცილებელ საჭიროების საგნებზე. ამავე დროს სწარმოებს გამოკვლევა დამატებითი ხარჯებისა, რომელიც მინიმუმამდის იქნება დაყვანილი.

ორგანიზაციულის მხრივ ჩვენს კოოპერატივებს დიდი ნაკლი აქვთ. ასეთია, მაგალითად, ზედმეტი შტატი და ისეთი ხარჯები, რომელთა გამართლება არ შეიძლება და ეს წარმოიდგინეთ სოფლებშიაც კი. ეხლა ამ გარემოებას დიდი ყურადღება ექცევა და კოოპერატიული აპარატი გაიაფებული და გამარტივებული იქნება.

ჩვენ მივაქცევთ აგრეთვე მკითხველების ყურადღებას ერთ ფრიად დიდი მნიშვნელობის ღონისძიებაზე. თუ უწინ კრედიტით ვერ სარგებლობდა სოფლის მეურნეობა, ეხლა იქმნება საამისოთ სასოფლო-სამეურნეო ბანკები, როგორც რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიაში. ამ ბანკებს დიდი მომავალი აქვთ. რუსეთში ეხლა მიღებულია შემდეგი გადაწყვეტილება: სოფლის მეურნეებს ეძლევათ კრედიტით სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ისიც ძველი, ომამდის არსებული ფასებით. გლეხისათვის ეს აუცილებელია, რადგან სასოფლო-სამეურნეო იარაღებზედაც ფასები საშინლათ გაიზარდა. თუ უწინ გლეხკაცი თავის მეურნეობისათვის საჭირო რომელიმე იარაღს იყიდდა 100 ფუთი პურის გაყიდვით, ამ უკანასკნელ თვეებში ამისათვის მას სჭიროდა 800 ფუთი. ამის თავიდან ასაცილებლათ კი ახალი ღონისძიება საშვალებას აძლევს გლეხობას სამეურნეო იარაღები იყიდოს ძველ ფასებში რომელთა გადახდაც მას შეეძლება განსაზღვრული ხნის შემდეგაც.

ერთი სიტყვით, მთელი ძალღონე საბჭოთა ხელისუფლებისა მიმართული იყო იქითკენ, რომ გაეიაფებია ქალაქის ნაწარმოები და აეწია ძველი ფასები სოფლის ნაწარმოებზე, რომ ამით ისინი დაახლოვებოდენ ომამდის არსებულ ნორმას. ამ ღონისძიებებს ფუჭათ არ ჩაუვლია და უკვე გამოიღო ნაყოფი; სოფლის მეურნეობის ნაწარმოების ფასებმა საშუალოთ 23 პროც. მოიმატა. ეხლა ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ბაზარზე უკვე მოხდა გარდატეხა, გარდატეხა, რომელიც ხასიათდება მრეწველობის ფაბრიკატების გაიაფებით და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების აწევით. ამ პროცესმა უკვე საგრძნობი სახე მიიღო. სოფლის და ქალაქის ნაწარმოების ღირებულების შეფარდება უკანასკნელ თვეებში ასეთია:

	სასოფ.-სამეურნეო საქონელი.	მრეწველობის საქონელი
1 ოქტომბერს	0,54	1,72
1 ნოემბერს	0,59	1,65
11 "	0,61	1,61
21 "	0,63	1,59
1 დეკ.	0,67	1,54

როგორც აქედან სჩანს, ოქტომბრიდან მდგომარეობამ იწყო გაუმჯობესება. ფასების განსხვავებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია სექტემბერში და ამის შემდეგ კი იწყო დაახლოვება.

მთელი რიგი ფაქტებისა გვიჩვენებენ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ცნობები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან აღნიშნავენ ღებ-მიცემობის გამოცოცხლებას, პურის ფასის აწევას და სხვ.

საჭირბოროტო „მაკრატლის" საკითხი, ე. ი. საკითხი მუშათა და გლეხთა კავშირის შენახვისა გადაწყვეტის პროცესში არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება გვმართებს, რომ ჩვენმა გაიაფებულმა საქონელმა სოფლამდის მიაღწიოს და ამით დავსძლიოთ კრიზისი. სოფელი უნდა იქნეს გაცილებით მეტი მომხმარებელი ქალაქის ნაწარმოების, მრეწველობის პროდუქტების, რომელთა ტევადობა დღეს სცილდება სოფლის სყიდვითი უნარის საზღვრებს. სახელმწიფომ მწვავე მდგომარეობის გაუმჯობესებაში ითამაშა დიდი როლი; მან აქ აასრულა ის როლი, რასაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბაზრის სტიქია ასრულებდა.

თანამედროვე კრიზისი დიდი გაკვეთილი იყო, რომლიდანაც ჩვენ ბევრი რამე უნდა ვისწავლოთ. უპირველესად ყოვლისა კი უნდა გავაძლიეროთ ჩვენი წარმოების სხვადასხვა დარგების ორგანიზაციულად მოწესრიგების საქმე. ბაზრის სტიქიის სადავე თვით ჩვენს სახელმწიფოს ხელშია (მსხვილი მრეწველობის სახით) და უნდა ვისწავლოთ ამ სადავეს მოხმარა, უნდა გავაძლიეროთ სახელმწიფოს („გოსპლანის" საშუალებით) რეგულიარული მნიშვნელობა მთელი წარმოების მიმართ. იქ, სადაც უწინ ბატონობდა **სტიქია, ბაზარი, ეხლა უნდა იბატონოს ადამიანის გონებამ, რომელიც ხელმძღვანელობს წარმოებას.** ჩვენს მსხვილ მრეწველობას აქვს ბრწყინვალე მომავალი, რადგან ის განთავისუფლებულია კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობისაგან. **საუკეთესო პირობებს ამ ბრწყინვალე მომავლის რეალიზაციისათვის კი წარმოადგენს განსაზოგადოებული მსხვილი მრეწველობა, პურის ექსპორტი, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და პოლიტიკური ძალა-უფლება მშრომელთა ხელში.**

ქ. თრაგველიძე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა კავშირის ცნობა პირველი საკითხია ანტანტისათვის.

ამერიკაში: იუზმა უარი განაცხადა ამხ. ჩიჩერინის წინადადებაზე სპეციალური კომისიის დაარსების შესახებ იუზის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების სისწორის გამოსარკვევად.

სენატორებმა ბორამ, ჯონსონმა და ლაფოლეტმა განაცხადეს, რომ ამერიკის დასავლეთი შტატები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობასო.

საფრანგეთში: გაზეთი „ტან"-ი აღნიშნავს, რომ საფრანგეთს და საბჭოთა კავშირს შორის საჭიროა ეხლავე აღდგენილ იქნას ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობაო.

ინგლისში; ლიბერალური პრესა განაგრძობს კამპანიას საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

ლონდონის სავაჭრო-სამრეწველო წრეები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენას.

ა მ ე რ ი კ ა შ ი

საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი.

ბერლინი, 23 დეკემბერი. სენატორებმა ბორამ, ჯონსონმა და ლაფოლეტმა პროტესტი განაცხადეს იუზის მიერ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების უარყოფის გამო. მათ განაცხადეს, აგრეთვე, რომ დასავლეთის შტატები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების განახლებას. ახალი წლის შემდეგ მთავრობა დაუყოვნებლივ წარუდგენს კონგრესს ყველა დოკუმენტებს საბჭოთა მთავრობის შესახებ.

ვაშინგტონის სახელმწიფო დეპარტამენტი „აცხადებს" ყალბ დოკუმენტებს.

ნიუ-იორკი. 22 დეკემბერი. **ამერიკის მუშათა პარტიის ცეკა უარყოფს იმ დოკუმენტების სისწორეს, რომლებიც გამოაქვეყნა სახელმწიფო დეპარტამენტმა.** ცეკას განცხადებაში ნათქვამია, რომ არავის ასეთი სულელური ინსტრუქციები არ გაუგზავნია და ყველაფერი ეს მოიმოქმედეს უკეთესმა პროფესიონალურმა ჯაშუშებმა. **ცეკა საქვეყნოდ ბრალს სდებს სახელმწიფო და იუსტიციის დეპარტამენტებს ყალბი დოკუმენტების შეთხზვაში, ამერიკის ხალხის შეცდომაში შეყვანის მიზნით,** და წინადადებას აძლევს კონგრესის პროგრესიულ წრეებს მოითხოვონ ამ საქმის სასტიკი გამოძიება და განაგრძონ ბრძოლა საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

ამერიკის სენატში გამართულ კამათის გარშემო.

ნიუ-იორკი. 22 დეკემბერი. ნიუ-იორკის პრესა ვრცლად იხილავს რუსეთის საკითხის შესახებ სენატში გამართულ კამათს. **გაზეთების უმრავლესობა ეჭვით უცქერის გამოქვეყნებული დოკუმენტების სისწორეს და მოითხოვს სახელმწიფო დეპარტამენტიდან ყველა საბუთების გამოქვეყნებას.**

იუზის გამოსვლის გამო.

ნიუ-იორკი. 22 დეკემბერი. ვაშინგტონიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობით, **იუზმა უარყო ჩიჩერინის წინადადება იუზის მიერ გამოქვეყნებულ საბუთების შესამოწმებლად სამედიატორო სასამართლოს დანიშვნის შესახებ.** იმავე წყაროდან იუწყებიან, რომ მიუხედავად ჩიჩერინის განცხადებისა საბუთების სიყალბის შესახებ, ამერიკის მთავრობა „დარწმუნებულია მათ სისწორეში".

ი ნ გ ლ ი ს შ ი

კამპანია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ.

ლონდონი. 22 დეკემ. კონსერვატიული პრესა სასტიკად ილაშქრებს ლიბერალების წინააღმდეგ, რადგანაც უკანასკნელები აძლიერებენ კამპანიას საბჭოთა მთავრობის ცნობის სასარგებლოთ.

„მორნინგ პოსტ"-ი სწერს: „თუ ინგლისი ნამდვილად იცნობს რუსეთს, მაშინვე წარმოიშვება სერიოზული ფინანსიური დაბრკოლებანი, როგორც რუსეთისათვის, ისე ჩვენი სულელების—მუშათა პარტიისათვის. მუშათა პარტია ვერ შესძლებს ერთი ხელით გააუქმოს ვალი რუსეთის, რომელმაც ჩვენ მოგვატყუვა ბრესტ - ლიტოვსკში, ხოლო მეორედ კი მისწვდეს საფრანგეთს, ჩვენს ერთგულ მეგობარს, და მოითხოვს მისგან ვალების გადახდა".

კერზონის გაზეთი „დეილი ტელეგრაფ"-ი ილაშქრებს რუსეთის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ დაუყოვნებლივი და სრული ცნობა საბჭოთა მთავრობის უდიდეს პოლიტიკურ უპირატესობას მიანიჭებს რუსეთს.

საბჭოთა კავშირის ცნობის საწინააღმდეგო კამპანია აღნიშნავს, რომ ცნობის საკითხი უმნიშვნელოვანეს საკითხად ხდება ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კონსერვატიული „ივნინგ პოსტ"-ი აღნიშნავს, რომ ინგლისის მუშათა მთავრობა უსათუოდ იცნობს საბჭოთა მთავრობას.

„ვესტმინსტერ გაზეტ" ათავსებს საუბარს სახალხო ბანკის წარმომადგენელთან ამხ. ლევინთან, რომელმაც აღნიშნა, რომ ლონდონის სავაჭრო—სამრეწველო წრეებში შეიქმნა მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა რუსეთთან ურთიერთობის განახლებისათვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის შეთანხმება ევროპის—სახელმწიფოებთან გადამწყვეტ მოვლენას იქონიებდა ევროპის ეკონომიურ მდგომარეობაზე. ინგლისის ახალი მთავრობა—მუშათა თუ ლიბერალური—უნდა შეეცადოს პირველ ყოვლისა პალატის უმრავლესობის დათანხმებას რუსეთის ცნობაზე. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ ასეთი უმრავლესობა შეიქნება ახლო მომავალში.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი

მეგობრული ურთიერთობისათვის.

პარიზი. 23 დეკ. გაზეთ „ტან"-ში გამოქვეყნებულია ერბეტის წერილი, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს, რომ ცნობამ ინგლის-ავღანისტანის კონფლიქტის შესახებ ძლიერ დააინტერესა საფრანგეთის მთავრობა. უკანასკნელმა მიმართა ლონდონს შეკითხვით და პასუხათ მიიღო ცნობა, რომ ინგლისს არ აქვს განზრახული რაიმე მტრული მოქმედება ავღანისტანის წინააღმდეგ. **ერბეტი ფიქრობს, რომ რუსეთი არ შეიწყნარებს ავღანისტანის დამოუკიდებლობის შელახვას. ერბეტი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საფრანგეთ-რუსეთის ინტერესები სოლიდარულია.**

ეს სოლიდარობა აყენებს საკითხს ამ ორ სახელმწიფოს შორის ნორმალურ დიპლომატიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ, რაც მათთვის ფრიად სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ ამის განხორციელება შესაძლებელი იქნება წინასწარ რამოდენიმე საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. ეს საკითხები უმთავრესათ დაკავშირებულია რუსეთის მეფის ვალებთან. ერბეტის აზრით ვალების საკითხი შესაძლებელია გადაწყდეს მხოლოდ შეთანხმების გზით საბჭოთა რუსეთსა და კრედიტორ-სახელმწიფოებს შორის.

შ ვ ე ც ი ა შ ი

აღმოსავლეთის დაახლოვება დასავლეთთან

სტოკჰოლმი 22 დეკ. სტოკჰოლს დაგბლადეტ"-ი სვენ გედინის განცხადების გამო აღნიშნავს გედინის მისწრაფებას აღმოსავლეთის და დასავლეთის დაახლოვებისაკენ და ლაპარაკობს, რომ **საბჭოთა რუსეთის იურიდიულად ცნობის საკითხი დროულია. გაზეთი საგანგებით აღნიშნავს, რომ შვეციის ხალხი მისწრაფვის საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარებისკენ.** „სვენს კამორგენბლადეტ"-ი აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთის დამცველები გახდენ წინათ მისი მოწინააღმდეგეები და ჰკიცხავს შეიარაღების შემცირების მოწინააღმდეგებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შვეციას საფრთხე მოელის საბჭოთა რუსეთიდანო.

ჩ ი ნ ე თ შ ი

ამხ. კარახანის პროტესტი.

პეკინი. 23 დეკ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩინეთში **ამხ. კარახანმა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა მემორანდუმი პროვინცია კიანგსუს გუბერნატორის ბრძანების გამო საბჭოთა კავშირის მოქალაქეთათვის ვაჭრობის სფეროში განსაკუთრებული წესების შემოღების შესახებ.** ბრძანებაში ნათქვამია, რომ რუსეთის საქმეთა ბიურომ, სანამ რუსეთის რომელიმე მოქალაქეს ვაჭრობის უფლებას მასცემდეს, უნდა გამოარკვიოს ბოლშევიკი ხომ არ არის ეს პირი. ამხ. კარახანი მიუთითებს, რომ ბოლშევიკური პარტია მმართველი პარტია არის რუსეთში, ამიტომ ეს ბრძანება არის მტრული აქტი საბჭოთა რუსეთში არსებულ წყობილების წინააღმდეგ. აცხადებს რა პროტესტს აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ, ამხ კარახანი აფრთხილებს ჩინეთის მთავრობას, რომ **თუ ეს ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი, საბჭოთა კავშირი შესწყვეტს ვაჭრობას ჩინეთის ვაჭრებთან.**

საბჭოთა კავშირის ცნობისათვის

ყველგან

ბერლინი. 23 დეკემბერი. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ს აცნობებენ ლონდონიდან, რომ საფრანგეთში, ინგლისში და ჩრდილოეთ შტატებში მორიგ და მთავარ საკითხათ ამჟამათ წამოყენებულია საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი.

დამზღვევი კასის კომიტეტების ახალი არჩევნების გამო

მოკლე დროის განმავლობაში მოხდება რესპუბლიკის მასშტაბით დამზღვევი კასების კომიტეტების ახალი არჩევნები. ყველა ის, ვის ძირითად საარსებო წყაროს შეადგენს დაქირავებული შრომის ხელფასი, სასიცოცხლოთ უნდა დაინტერესებული იყოს მუშათა სოციალური დაზღვევით და მის პრაქტიკულად გამტარებელ ორგანოების, დამზღვევი კასების მუშაობით. რა მიზნებს ისახავს სოციალური დაზღვევა? როგორ იყო ის დაყენებული წინეთ და როგორაა ეხლა. ვინ უნდა იქნენ არჩეულნი დამზღვევ კასებში, რომ ჩვენ შევძლოთ მუშა-მოსამსახურეთათვის უდიდეს მნიშვნელობის საქმის, სოციალური დაზღვევის შესაფერი განხორციელება და ხელმძღვანელობა.

სოციალური დაზღვევა მიზნად ისახავს ყველა დაქირავებულ მომუშავის და მის ოჯახის წევრთათვის შრომის დროებით უნარის დაკარგვის, ინვალიდობის და უმუშევრობის შემთხვევებში როგორც მატერიალურ, ისე სრულ სამკურნალო-სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა დახმარებას სხვადასხვა შემთხვევებში, როგორიცაა მშობიარობა, სიკვდილი და სხ.

როდესაც დაქირავებით მომუშავე კარგავს სამუშაო ხელფასს ფაბრიკა-ქარხანაში, ან დაწესებულებაში, სხვადასხვა უბედურ შემთხვევების დროს ერთადერთი მისი დამხმარე არის მხოლოდ დამზღვევი კასა. დამზღვევი კასის და საერთოდ სოციალური დაზღვევის უმთავრეს ამოცანას შეადგენს მუშის საცხოვრებელ დონეს დაცვა, გამაგრება მისი მუდმივობის უზრუნველყოფით. სოციალური დაზღვევა ოქტომბრის რევოლიუციის ერთი უდიდეს მონაპოვართაგანია. მუშათა კლასის ბრძოლას სოციალური დაზღვევისათვის საერთოდ და კერძოთ რუსეთში აქვს თავისი საკმაოდ შინაარსიანი ისტორია. ამ ისტორიაზე ჩვენ ეხლა ვერ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ მუშათა ზეგავლენით გამოცემულ მეფის კანონს 1912 წლ. 23 ივნისს. ეს იყო პირველი კანონი რუსეთში, რომელსაც ჰქონდა მუშებისათვის ცოტაოდენი მნიშვნელობა მაინც. აღნიშნული კანონი შესდგებოდა ორი ნაწილისაგან: მუშათა უზრუნველყოფა ავადმყოფობის და უბედურ შემთხვევების დროს. რაც შეეხება პროფესიონალურ ავადმყოფობას და ამ ავადმყოფობის შედეგათ გამხდარ ინვალიდობას, უმუშევრობას, მარჩენალის სიკვდილის შემთხვევაში ოჯახის წევრთა უზრუნველყოფას და სხ., ყველა ამას არ ექცეოდა არავითარი ყურადღება. მეფის დროის სოციალური დაზღვევით მუშა-მოსამსახურეთა აბსოლიუტური უმრავლესობა იყო დაზღვევის გარეშე. დაზღვევის კანონი ვრცელდებოდა მხოლოდ მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავეებზე, რაც შეადგენდა მთელ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის 15 პროცენტს. დაზღვევის გადასახადის ორ მესამედს იხდიდენ მუშები, ხოლო დანარჩენ მესამედს კი დამქირავებლები. ავადმყოფობის დროს მუშებს ეძლეოდათ სამუშაო ხელფასი მხოლოდ ერთი მეოთხედიდან ორ მესამედამდე და საექიმო დახმარება კი მხოლოდ ამბულატორიული. საავადმყოფოში უფასოდ ექიმობას მოკლებულნი იყვნენ მუშები. საავადმყოფო კასების და საერთოდ დაზღვევის გამგებლობა უმთავრესად დამქირავებლების ხელში იყო. შესძლეს თუ არა ესერებმა და მენშევიკებმა სრული სოციალური დაზღვევის გატარება, მათი ბატონობის დროს? მათ შეიტანეს მეფის კანონში ოდნავი ცვლილებები დამატების სახით, რაც გამოიხატება შემდეგში: გააფართოვეს რამოდენიმეთ დაზღვეულთა წრე, მაგრამ ძველებურად დაუზღვეველი დარჩა დიდი რიცხვი მუშა-მოსამსახურეების, როგორიცაა ტრანსპორტის, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო-სამრეწველო და სხ. მუშები. სოციალური დაზღვევა, მაგალითად, არ ვრცელდებოდა იმ წარმოებებზე, სადაც მუშების რიცხვი უდრიდა 5-ზე ნაკლებს, დაზღვევის გადასახადის ნახევარი შეჰქონდათ მუშებს, დანარჩენი კი მწარმოებლებს. ავადმყოფობის დროს მუშებს ეძლეოდათ ხელფასის ნახევრიდან ორ-მესამედამდე. რაც შეეხება დამზღვევი კასების გამგებლობას, მართალია ის მუშების ხელში იყო, მაგრამ სარევიზიო კომისიებში გაყვანილი იყვნენ დამქირავებლები, დამზღვევ საბჭოებში და საკრებულოებში მენშევიკებმა შექმნეს „კოალიცია" დამქირავებლებთან. ერთი სიტყვით, მენშევიკებმა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ბატონობის დროს,—ვერ განახორციელეს სოციალური დაზღვევა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, მუშათა და გლეხთა მთავრობამ სრულიად განახორციელა დაქირავებით ყველა მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევა. საბჭოთა კანონმდებლობით ფაბრიკაში, ქარხანაში, სახელმწიფო, კერძო, საკონცესიო-საიჯარო და სხ. დაწესებულება წარმოებაში ყველა დაქირავებით მომუშავე დაზღვეულია. დაზღვევის გადასახადებს მთლიანად იხდიან დამქირავებლები. ამ მხრივ ყოველგვარ ვალდებულებისაგან განთავისუფლებული არიან მუშები, ყოველი დაზღვეული, აგრეთვე მისი ოჯახის წევრი ღებულობს სრულ უფასოდ საექიმო სამკურნალო დახმარებას და დახმარებას ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში.

დაზღვევის საქმის გამგებლობისაგან სრულიად განდევნილნი არიან მწარმოებლები 1924 წ. დამზღვევ ორგანოების გადაუდებელ ამოცანას შეადგენს ამ დახმარებათა კიდევ მეტი გაუმჯობესება და გაფართოვება.

არც ერთ ქვეყანაში, თუნდაც ავილოთ სოციალური დაზღვევის კლასიკური ქვეყანა—გერმანია, არ არის დაყენებული სოციალური დაზღვევა მუშების ინტერესებისათვის ისე, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში. რით აიხსნება ეს გარემოება; მით, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში მუშათა ბედ-იღბალი მუშების ხელშია. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში კი მუშათა სოციალური დაზღვევა მხოლოდ მაშინ გატარდება სრულად, როცა თვით მუშები გახდებიან თავის ბედ-იღბალის გამომჭედნი ისე, როგორც საბჭოთა ქვეყნებშია. ყველა ზემოაღნიშნული გარემოებანი უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ დამზღვევ კასების კომიტეტების გადარჩევას, ვინაიდან ეხლანდელ არჩევნების დროს არჩეულ პირებზე იქნება დამოკიდებული სოციალური დაზღვევის მომავალი ხელმძღვანელობა და პრაქტიკულად გატარება ცხოვრებაში, ვინ უნდა ავირჩიოთ დამზღვევ კასების გამგეობაში?

უნდა ავირჩიოთ ისეთი პირები, რომლებმაც სიტყვით კი არა, საქმით დაამტკიცეს მშრომელთა ინტერესების დაცვა და მისთვის თავგანწირვა. უნდა არჩეულ იქნან ისეთები, რომლებსაც აინტერესებთ მუშათა ბედ-იღბალი, მუშათა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება და უკვე მოპოვებულ სრულ სოციალურ დაზღვევის დაცვა და გამაგრება, დამზღვევ კასებში უნდა გავგზავნოთ გულწრფელი, მუყაითი და მუშაობის უნარის მქონე კომუნისტები და ის უპარტიო მუშები, რომლებიც კომუნისტებთან ერთად ფხიზლად სდგანან მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე.

ნ. თუშ—ლი.

ინგლის-ავღანისტანის კონფლიქტი

ინგლისს არ ასვენებს რუსეთ-ავღანისტანის მეგობრობა

ინგლისის პრესა უარყოფს ცნობას თითქოს ბრიტანეთის მთავრობას ულტიმატუმი გაეგზავნოს ავღანისტანისათვის

გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ ინგლისის თანამედროვე მთავრობა დემონსტრაციას ახდენს მომავალი მთავრობის წინაშე ავღანისტანის საკითხით.

მოსკოვში ჩამოსულმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ავღანისტანში ამხ. რასკოლნიკოვმა განაცხადა, რომ ამჟამად გამტკიცებული კავშირი საბჭოთა ფედერაციასა და ავღანისტანს შორის არ ასვენებს ინგლისსო.

ავღანისტანის ელჩის განცხადება

პარიჟი 23 დეკემბერი. „როსტა"-ს პარიზელ კორესპონდენტთან საუბარში ავღანისტანის ელჩმა პარიზში მახმუდ ტარზიმ აღნიშნა, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ინგლისის მიერ ავღანისტანის მიმართ ულტიმატუმის გაგზავნის ფაქტი, რადგან ინგლისმა ოფიციალურად იცნო ავღანისტანის დამოუკიდებლობა. მახმუდ ტარზის დიდი ხანია არ მიუღია თავის მთავრობისაგან არავითარი ცნობა და ამიტომ ტარზი არ იცნობს უკანასკნელ ამბების ვითარებას. აღიარებს რა ინდოეთის საზღვარზე ინგლისის მოქალაქეთა მოკვლის ფაქტს, ტარზი აღნიშნავს, რომ ასეთი შემთხვევები ხშირია, მაგრამ მათ შეიძლება არ ქონდეთ პოლიტიკური სარჩული. დასასრულ ტარზიმ განაცხადა, რომ ავღანისტანს სურს იქონიოს კეთილი და მშვიდობიანი განწყობილება ყველა ქვეყნებთან და, განსაკუთრებით, მისს მეზობელ საბჭოთა რუსეთთან.

ამხ. რასკოლნიკოვი ინგლისის ულტიმატუმის შესახებ.

მოსკოვი. 23 დეკემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ქაბულში (ავღანისტანის დედაქალაქი) ამხ. რასკოლნიკოვი, რომელმაც ინგლისის ულტიმატუმის შესახებ ავღანისტანის მთავრობისადმი განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ავღანისტანთან კარგია. ავღანისტანის მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან იწვევს ინგლისის იმპერიალისტების უკმაყოფილებას. კერზონის ულტიმატუმი საბჭოთა კავშირისადმი მაისში და ინგლისის მთავრობის ახლანდელი ულტიმატუმი ავღანისტანისადმი, გამოწვეულია რუსეთ-ავღანისტანის მეგობრობის ფაქტით. ინგლისის აგენტები აშინებენ ავღანელებს, რომ ჩვენ გვსურს საბჭოთა წყობილება დავამყაროთ ავღანისტანში, ისინი ყალბ ცნობებს ავრცელებდენ ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ და მას წითელ იმპერიალიზმს უწოდებდენ. მაგრამ ინგლისის აგენტების პროვოკატორული ცდები მარცხით დამთავრდა. ისტორიული განვითარება უკარნახებდა ავღანისტანს საბჭოთა კავშირთან დაახლოვებას. დარწმუნდა რა, რომ ინტრიგებით ვერას გახდება, ინგლისი იძულებული გახდა აქტიურ მოქმედებაზე გადასულიყო. პირველი მუქარა კერზონის ულტიმატუმის სახით მაისში მიმართული იყო საბჭოთა მთავრობისადმი. საბჭოთა მთავრობა ღირსეულად გამოვიდა მდგომარეობიდან და უარყო ინგლისის თავხედური წინადადებები. ავღანელები საქმეზე დარწმუნდენ, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავს მეგობრობას აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებთან. კერზონის ულტიმატუმმა უფრო გააძლიერა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი ავღანისტანში.

ახლა ჩვენი მოწინააღმდეგეები სხვა მხრიდან იწყებენ მოქმედებას და ცდილობენ გავლენა მოახდინონ ავღანისტანზე. ავღანისტანისადმი გაგზავნილი ულტიმატუმი ლოღიკური გაგრძელებაა ინგლისის პოლიტიკის აღმოსავლეთში. უნდა ვიფიქროთ, რომ ავღანისტანის მთავრობა აღშფოთებით უპასუხებს ამ ახალ თავდასხმას და შეძლებს თავისი ინტერესების და თავისი დამოუკიდებლობის დაცვას.

ინგლისის პრესა კონფლიქტის შესახებ.

ლონდონი. 22 დეკემბ. ინგლისის კონსერვატორიული პრესა განაგრძობს მტკიცებას, რომ საბჭოთა ინფორმაცია ინგლისის ულტიმატუმის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება. ინგლისელებს არავითარი მოთხოვნილებები არ წარუდგენიათ ავღანისტანისათვის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხში.

„დეილი ტელეგრაფ" და „დეილი ექსპრესს" შესაძლებლად სთვლიან ურთიერთობის შეწყვეტას ინგლისსა და ავღანისტანს შორის, თუ ინგლისი დაკმაყოფილებული არ იქნა ავღანისტანის საზღვარზე ინგლისელი მოქალაქის მოკვლის გამო.

„დეილი ნიუზ" იუწყება, რომ მისი კორესპონდენტების ცნობებს აღმოსავლეთიდან სამხედრო ცენზურა არ უშვებს.

კონსერვატორული პრესა უარყოფს ცნობას, თითქო ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს სამხედრო ექსპედიცია გაგზავნოს ავღანისტანში.

გერმანიის პრესა კონფლიქტის შესახებ.

ბერლინი. 22 დეკემბერი. რეიხსკანცლერთან ახლო მდგომი გაზეთი „გერმანია" შემდეგს სწერს ინგლის-ავღანისტანის კონფლიქტის შესახებ: „ინგლისის კონსერვატიული პრესა ცდილობს დააფრთხოს საზოგადოებრივი აზრი რუსეთის პროპაგანდით ინდოეთში, რათა ამით გადასდოს მთავრობის კრიზისი და მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვოს მომავალ მუშათა მთავრობას. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ ჩიჩერინის მოქნილი დიპლომატია გამოაჩქარებს და მოსპობს კონფლიქტს. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ გერმანიის მთავრობას იმედი აქვს, რომ ინგლის-ავღანისტანის კონფლიქტი არ მოახდენს ცუდ გავლენას საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაზე სხვა ქვეყნებთან. „ფორვერტს"-ის აზრით, კერზონმა ავღანისტანზე შეტევა დაიწყო საბჭოთა მთავრობის ცნობის შესაფერხებლად.

გერმანიის მთავრობა „სადარაჯოზე"

პროფკავშირთა ახალ არჩევნებში ყველგან იმარჯვებენ კომუნისტები.

მთავრობა სასტიკ ზომებს ხმარობს კომუნისტების წინააღმდეგ.

რევოლიუციის სადარაჯოზე: მიუხედავად ყვითელ პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებისა, სხვადასხვა ქალაქებისა და წარმოებების ადგილობრივი პროფესიონალური კავშირები მხარს უჭერენ რევოლიუციონურ პროფკავშირთა ვეიმარის კონფერენციის დადგენილებებს.

იუდა ისკარიოტელები: საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტი მოწოდებაში აღნიშნავს, რომ კომუნისტებთან შეუძლებელია შეთანხმება, რადგან ისინი მოითხოვენ მუშების შეიარაღებასო.

კომპარტიის ზრდა

პროლეტარიატი მხარს უჭერს კომპარტიას.

ბერლინი. 22 დეკემბერი. დიუსელდორფის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონფერენციამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია კომპარტიის აკრძალვის და უმუშევართა ყრილობის დაპატიმრების წინააღმდეგ.

შუა რეინის ოლქში არსებობს კომპარტიის 28 ორგანიზაცია; მოწყობილია ახალი იაჩეიკები, რომლებშიაც ითვლება ას-ასი წევრი.

აახენის ოლქში კომპარტია სცემს ახალ გაზეთს „არბეიტერ ცეიტუნგ".

დიუსელდორფსა, მაინცსა და ელბერფელდში გაიმართა მასიური საპროტესტო მიტინგები კომპარტიის აკრძალვის წინააღმდეგ.

არჩევნებში კომუნისტები ზეიმობენ.

ბერლინი. 22 დეკემბერი. კერძო წარმოებების მოხამსახურეთა ცენტრალურ კავშირის ყრილობის არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 2.800 ხმა, სოც. დემ. ოპოზიციამ—516, კომუნისტებმა—2.400 ხმა. ყრილობაზე სოციალ-დემოკრატებს ექნებათ 158 ხმა. კომუნისტებს—117, სოც. დემ. ოპოზიციას—27. კომუნისტებს ექნებათ ხმების 45 პროც., მაშინ, როდესაც წარსულ ყრილობაზე მათ ჰქონდათ მხოლოდ 15 პროც.

„ელექტრონის საყოველთაო კამპანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების არჩევნებში, მიუხედავად სოციალ-დემოკრატების გაძლიერებულ პროპაგანდისა „აკრძალულთა" სიამ მიიღო 20 ადგილი, სოც.-დემ.—4. დამოუკიდებლებმა—1. სტინესის წარმოებებში, საიდანაც ამას წინად დათხოვნილი იყო 3 000 კომუნისტი, და აგრეთვე სხვა წარმოებებში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების არჩევნების დროს ხმების დიდი უმრავლესობა მიიღო „აკრძალულ" პარტიის სიამ.

რევოლიუცია სადარაჯოზე

პროლეტარიატი იცავს ვეიმარის კონფერენციას

ბერლინი 22 დეკემბერი. ვეიმარის კონფერენციაზე მონაწილეობისათვის მკინძავთა კავშირის გამგეობამ გამორიცხა კავშირიდან 8 მუშა. პროტესტის ნიშნად კავშირის წევრთა უმრავლესობამ უარი სთქვა საწევრო გადასახადების შეტანაზე.

საქსონიის სამთომადნო მუშებმა შესწყვიტეს პროფკავშირებში საწევრო გადასახადების შეტანა.

„ფორვერტსი" ხედავს ამაში ვეიმარის კონფერენციის გამარჯვებას.

ვიურტემბერგში გენერალმა რეინჰარდტმა აკრძალა კრება, რომელზედაც მოსმენილი უნდა ყოფილიყო მოხსენება ვეიმარის კონფერენციის შესახებ. მიუხედავათ ამისა, კრება მაინც გაიმართა, ფრიდრიხსჰავენში ცეპელინის საწარმოო დაწესებულებაში. ეს წარმოება ამჟამად დაკავებულია პოლიციის მიერ.

ბერლინში მბეჭდავთა და მელითონეთა კრებამ მოიწონა ვეიმარის კონფერენციის გადაწყვეტილებანი. ინსტერბურგსა, შტეტინსა, კილსა, მიუნსტერსა და კელნში გამოტანილია ასეთივე გადაწყვეტილებანი.

ხის დამმუშავებელთა ბერლინის კავშირის საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია ვეიმარის კონფერენციის მიხედვით პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ.

კომუნისტების დევნა

ბრემენის კომუნისტების დევნა.

ბერლინი. 22 დეკ. ბრემენში პოლიციამ ჩამოართვა კომპარტიას მთელი ქონება და წაიღო ფული, რომელიც უნდა დაერიგებინათ სტამბის მუშებისა და გაზეთების თანამშრომლებისათვის. მიუხედავათ ადგილობრივ პარლამენტის მოთხოვნისა, პოლიციამ უარი განაცხადა ფულის დაბრუნებაზე. კომპარტიის ბინა გადაეცა საშინაო განყოფილებას.

ახალგაზრდათა კომკავშირი რესპუბლიკის ხამ ჯაჭვში.

ბერლინი. 22 დეკ. ჰამბურგში პოლიციამ დააპატიმრა და გადასცა საგანგებო სასამართლოს ახალგაზრდათა კომკავშირის 26 წევრი, რომელთაც ბრალათ ედებათ კომუნისტურ პროპაგანდაში.

რეაქცია „მუშაობს"

ჰამბურგის აჯანყების გამოძახილი.

ბერლინი, 23 დეკემბერი. ჰამბურგის საგანგებო სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა მუშებს, რომლებმაც აჯანყების დროს დასჭრეს პოლიციელი მოხელე.

ბურჟუაზიული ბლოკი.

ბერლინი, 23 დეკემბერი. ვეიმარში შესდგა ყველა ბურჟუაზიულ პარტიების და აგრეთვე, „სამშობლოს დაცვის გაერთიანებულ კავშირთა" კონფერენცია, რომელიც განიხილავს საკითხს ლანდტაგის მომავალ არჩევნებისათვის საერთო ბურჟუაზიულ ბლოკის შექმნის შესახებ. დემოკრატების მერყეობის გამო საბოლოვო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

იუდა ისკარიოტელები

საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ბერლინი. 23 დეკემბ. საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საოლქო კომიტეტმა გამოსცა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ შეთანხმება კომუნისტებთან, რომლებიც მოითხოვენ მუშების შეიარაღებას და საპროტესტო დემონსტრაციების გამართვას სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ და რომლებიც ფიქრობენ, რომ სამხედრო დიქტატურის დამარცხებას მოჰყვება კაპიტალიზმის დამარცხებაც, შეუძლებელია. მოწოდება აღნიშნავს, რომ კომპარტია ამჟამად მოითხოვს ლანდტაგის დათხოვნას და ახალ არჩევნების დანიშვნას, რადგან სამისოთ არსებული მდგომარეობა ხელსაყრელია. მოწოდება იუწყება, რომ სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს მოლაპარაკება დემოკრატებთან.

სოციალ-დემოკრატიული პარტია და პროფკავშირები.

ბერლინი, 23 დეკემბ. სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებამ, რომლის წარმომადგენლები ჩვეულებრივათ ესწრებოდენ სოციალ დემოკრატიულ პარტიის საქსონიის საოლქო კომიტეტის სხდომებს, მოითხოვა პროფკავშირთა წარმომადგენლების რიცხვის გადიდება. საოლქო კომიტეტმა უპასუხა, რომ იგი დათანხმდება ამ წინადადებაზე იმ შემთხვევაში, თუ აგრეთვე გადიდებული იქნება სახელმწიფო მოსამსახურეთა მემარცხენე გაერთიანების წარმომადგენელთა რიცხვი. სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების საოლქო კომიტეტმა უარი განაცხადა სოციალ-დემოკრატიის პარტიულ სხდომებში მონაწილეობაზე.

სამუშაო დღის საკითხი

შინ რა ხდება.

ბერლინი 23 დეკ. დიუსელდორფის და ბოხუმის მელითონე-მუშებმა 12000 ხმის უმრავლესობით 50-ის წინააღმდეგ, პროტესტი განაცხადეს სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ. რეინის მანქანათამშენებელ ქარხნის მუშები დათანხმდენ სამუშაო დღის გადიდებაზე.

— რურის ოლქის სამთომადნო მუშათა კავშირმა მოიწონა რურის ნახშირის მრეწველობაში 58 საათის სამუშაო კვირის შემოღება. ბერლინის ზოგიერთ წარმოებაში შემოღებულია 80 საათის სამუშაო დღე.

მდგომარეობა ინგლისში

მაკდონალდი მზად არის მიიღოს ხელისუფლება

ლონდონი. 24 დეკ. გუშინ რამზეი მაკდონალდი გამოვიდა პირველი სიტყვით არჩევნების შემდეგ. შესავალში მან მადლობა გადაუხადა მუშათა პარტიას იმ გამარჯვებისათვის, რომელიც მოიპოვა მან არჩევნებში, შემდეგ გააკეთა თემთა პალატაში არსებულ მთავარ პარტიების მდგომარეობის მიმოხილვა და განაცხადა, რომ თუ ჰას სთხოვენ პრემიერის თანამდებობას დაკავებას, ის თანახმა გახდება,

გერმანიის სოციალ დემოკრატებთან კონტაქტისათვის.

რომი 24 დეკემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, თემთა პალატის წევრი მუშათა პარტიიდან, ტომ შოუ გაემგზავრა ბერლინში, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს გააცნობს ინგლის—ამერიკის თანამშრომლობის გეგმებს საფრანგეთის და გერმანიის შერიგების საკითხში.

პოლონეთის ამბები

ვარშავა. 23 დეკემბერი. პოლონეთის სეიმმა 193 ხმის უმრავლესობით 76 ხმის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა ახალ მთავრობას. ნდობის წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა. პპესელებმა და „ვიზვოლენიე"-ს ჯგუფმა თავი შეიკავეს კენჭის ყრისაგან.

სეიმის მარშალათ სეიმმა კვლავ აირჩია ვიტოსის მომხრე რატაი.

ახალმა პრემიერმა გრაბსკიმ შეიტანა სეიმში კანონ-პროექტი მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ. გაფართოებული უფლებები მთავრობას სჭირია ფინანსიურ ზომების განხორციელებისათვის, სახელდობრ: სესხის მისაღებათ, სახელმწიფო ქონების გაყიდვისათვის, ახალ ვალიუტის შემოღებისთვის და გადასახადების ასაკრეფად.

წითელ დედაქალაქებში

რუსეთი.

ჯილდო მუშას.

მოსკოვი, 24 დეკემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ განსაკუთრებული ჯილდო მისცა მუშა ჩერეპახინს ოქროს გასარეცხი მანქანის გამოგონებისათვის. 1000 ჩერვონეციდან, რომელიც უნდა მიეცეს ამხ. ჩერეპახინს, 500 ჩერვონეცი მიეცემა ეხლავ, დანარჩენი 500 კი, როგორც დაიდგმება მანქანა და გამოირკვევა მისი მუშაობის შედეგები.

საქონლის დამზადება რუსეთ-ბუხარის აქციონერული საზოგადოების მიერ.

მოსკოვი, 24 დეკემბერი. რუსეთ-ბუხარის აქციონერულმა საზოგადოებამ ბუხარაში განვლილი სეზონის განმავლობაში დაამზადა ძირტკბილასა და მატყლის დიდი პარტია დამზადებული საქონლის დიდი ნაწილი უკვე გასაღებულია. ამ საქონლის ნაცვლად ბუხარაში შეტანილია მანუფაქტურა, მავთული და სხვა საქონელი, სულ 300 ათასი ოქროს მანეთის.

ერების მუზეუმი.

მოსკოვი, 24 დეკემბერი. ყოფილი სასოფლო სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე იხსნება ერების მუზეუმი. მუზეუმის განკარგულებაში გადაცემულია მდიდარი მასალები.

საბჭოთა კავშირის 1923—24 წლების ბიუჯეტი.

მოსკოვი, 24 დეკემბერი. ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიამ მოიწონა საბჭოთა კავშირის 1923—24 წლების ბიუჯეტი, რომლის ბალანსი უდრის 1.700.000.000 მან. ჩერვონცით.

საერთაშორისო მუშათა დამხმარე საზოგადოების მუშაობა.

მოსკოვი 24 დეკემბერი. მუშათა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების ცენტრ. კომიტეტი გაუგზავნის თავის განყოფილებებს პოლონეთში 2.000 დოლარს, სამხრეთ-სლავიაში—250, ლატვიაში—150 დოლარს ყოველთვიურად.

გრიგალი შავ ზღვაზე.

ოდესა, 24 დეკემბერი. შავ ზღვაზე ეს მეორე დღეა, რაც დიდი ქარიშხალი ასტყდა. დიდი გემები იძულებული იყვნენ შესულიყვნენ მახლობელ ნავთსადგურებში.

დონის ნახშირი.

ბახმუტი. 24 დეკემბერი. დონის სანახშირო ბასეინში ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ამოღებულია 135 მილ. ფუთი ნახშირი. ეს რაოდენობა აღემატება გეგმაში დასახულ რაოდენობას 14. პროც—ით.

გერმანელი მეცნიერები რუსეთში

მოსკოვი 24 დეკემბერი. პეტროგრადში ჩამოვიდა გერმანელი პროფესორი მიულერი, რომელსაც დავალებული აქვს შესასწავლის პირობები გერმანელ მეცნიერ ელექტრო ტეხნიკოსების, ჰიდროტეხნიკოსების და მანქანის მშენებელთა საბჭოთა კავშირში გადმოსახლებისათვის.

პეტროგრადი—ჩიტა.

მოსკოვი, 24 დეკემბერი. დაწესებულია რადიო-კავშირი პეტროგრადსა და ჩიტას შორის.

უკრაინა.

ინტერესი ბაზრობისადმი.

კიევი, 24 დეკემბერი. გაცხოველდა ინტერესი კიევის ბაზრობისადმი საკავშირო სავაჭრო ორგანიზაციების და უცხოეთის ფირმების მხრივ. საბაზრო კომიტეტმა მიიღო წინადადებები ბაზრობაში მონაწილეობის შესახებ პოლონეთის, ავსტრიის და რუმინეთის ფირმებისგან.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო 21 დეკემბ. 13—15 დეკემბერს ბაქოს ყველა სამრეწველოებში ამოღებულია 2,045,000 ფუთი ნავთი. გაშვებულია გასაწმენდათ 1,140 ფუთი, მიღებულია გაწმენდიდან 1,126 ათასი ფ. სულ გაწმენდილია 254 ათასი ფუთი, მუშაობდა საბურღავად 183 დაზგა, გაბურღულია 212 საჟენი.

ახალი ფაბრიკა.

ნუხა. 21 დეკემბერი. ნუხაში ამუშავებული იქნება ახლო მომავალში აბრეშუმის სართავი ფაბრიკა, ყოფ. მამედოვის. ფაბრიკაში არის 40 დაზგა, ეს ფაბრიკა საუცხოვოდ არის მოწყობილი.

ანტი-სარწმუნოებრივი გამოფენა.

ბაქო. 23 დეკემბ. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს კულტურულმა განყოფილებამ მოაწყო ქალაქის ცენტრში და სამრეწველო რაიონებში 11 ანტი-სარწმუნოებრივი გამოფენა, რომელიც ღიაა მთელი დღე, შესვლა უფასოა. ლექტორები ყოველ დღე იძლევიან განმარტებებს.

ჩვენი თევზეულობა უცხოეთში.

ბაქო 23 დეკემბ. უცხოეთის ბაზარი დიდ ინტერესს იჩენს რუსეთის და კერძოთ ცენტროსოიუზის თევზეულობისადმი, ამ უკანასკნელ დროს არის მოთხოვნილება ზურგიელზე, სელდზე, ხიზილალაზე და სხვა თევზეულზე საფრანგეთის მხრივ. ცენტროსოიუზი ამის შესახებ აწარმოებს მოლაპარაკებას საფრანგეთის ფირმებთან და გზავნის უცხოეთში თევზების სათანადო ნიმუშებს. ცენტროსოიუზის ასტრახანის კონტორამ დასდო ხელშეკრულება უცხოეთის ერთ ერთ ფირმასთან თევზის ქერწლის მოსაწოდებლად. ქერწლი მოხმარდება ხელოვნური მარგალიტის გაკეთებას. მშვიდობიან დროს რუსეთი გზავნიდა უცხოეთში თევზის ქერწლს წლიურად დაახლოვებით 150,000 მან. (ოქროთი) ღირებულებით.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ნუხა. 23 დეკემბ. ნუხის მაზრაში გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინართათვის მთელი რიგი სკოლებისა სოფელ ბიდეინში, კუტკაშენში, ბაშჩაისკაში და სხვ. სკოლადამთავრებულების გამოცდების დროს მთელს მაზრაში 120 კაცმა ჩინებულად ჩააბარა გამოცდა.

გეოკჩაი. 23 დეკემბერი. გეოკჩაის მაზრის 16 პუნქტში გაიხსნა სკოლები წერა-კითხვის უცოდინართათვის: სკოლებში პირველ რიგში გაიგზავნენ აზერბეიჯანის კომპარტიის და ახალგაზრდობის კომკავშირის წერა-კითხვის უცოდინარი წევრები და კანდიდატები. ერთ ერთი ამ სკოლათაგანი ემსახურება მუსულმან ქალებს.

სომხეთი.

კომუნალური ბანკი.

ერევანი. 23. დეკემბერი. ამ ცოტა ხანში შეუდგებიან კომუნალური ბანკის დაარსებას, რომლის გახსნაც მიზანშეწონილად დაინახეს.

სკოლა ობლებისათვის.

ერევანი 23 დეკემბერი. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო გახსნას ობოლი ბავშვებისათვის სკოლა და სახელოსნო. ამ საგნისათვის საბჭომ გადასდო 2.000 მანეთი და წინადადება მისცა სახ. კომისარიატთა ყველა ეკონომიურ განყოფილებებს, ყოველის მხრივ გაუწიონ დახმარება ამ სკოლას.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ერევანი. 23. დეკ. პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ შეიმუშავა და დასამტკიცებლად წარადგინა წესდება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოებისა.

აკოპ აკოპიანის იუბილე.

ერევანი. 21 დეკემბ. პროლეტარულ პოეტის აკოპ. აკოპიანის იუბილეს გადახდა გადაიდო 30 დეკემბრისთვის.

სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

ერევანი. 22 დეკემბერი. სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის მეორე სხდომაზე ამხ. გასპარიანის მოხსენების გარშემო გამართულ დისკუსიის და გასპარიანის საბოლოვო სიტყვის შემდეგ, სხდომამ მოისმინა მოხსენებები დელიჟანის და ალექსანდროპოლის პროფკავშირთა სამაზრო ბიუროების მუშაობის შესახებ. რწმუნებულმა ტირატურიანმა აცნობა, რომ საბჭოს ალექსანდროპოლში მუშაობს 13 პროფკავშირი, რომლებშიაც ირიცხება 5639 წევრი. მეორე სამაზრო ყრილობის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის მუშაობის გაძლიერებას; ქალაქში და მაზრაში გაიმართა კონფერენციები და ამჟამათ ეს პროფკავშირი აერთიანებს სასოფლო მეურნეობის 1554 მუშას. მოწყობილი იყო კამპანიები გერმანიის პროლეტარიატის, საჰაერო ფლოტის, მუშათა ფაკულტეტის სასარგებლოთ და, აგრეთვე, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. საკონფლიქტო კომისიის გაუქმების შემდეგ, კონფლიქტების მოგვარების საქმე გადავიდა შრომის სასამართლოებზე, რომლებშიაც ყველა კონფლიქტების 80—90 პროც. მუშების სასარგებლოთ გადაწყდა. ჩატარდა პროფკავშირთა წმენდა, დაარსდა ურთიერთ დახმარების კასა, რომელშიაც შედის 2.586 წევრი. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წარმატებით სწარმოებს. მოწესრიგებულია რეგულიარული კავშირი ცენტრთან.

დელიჟანში, რწმუნებულის მოხსენებით, ადგილობრივი პროფკავშირები აერთიანებენ 616 წევრს. შექმნილია რეგულიარული კავშირი მასებთან. დაარსებულია ურთიერთ დახმარების კასა, იმართება სისტემატიური ლექციები ისტორიულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ბუნებისმეტყველების დარგებში. წერა-კითხვის უცოდინართა შორის,—91 კაციდან დარჩა მხოლოთ 21. გამართული იყო კამპანიები საჰაერო ფლოტის, იაპონიის მშრომელთა და გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

პარტიული ცხოვრება

ა. კ. ორგანიზაციათა რეზოლიუცია პარტიული დისკუსიის გამო

23 დეკემბერს რ. კ. პ. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის და ამიერკავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმებზე, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის კომპარტიების ც. კ. და ათ ადგილობრივ ტფილისის, ბაქოს, ერევნის, ბათომის, ქუთაისის, განჯის, სამხრეთ-ოსეთის, აჭარის და აფხაზეთის წარმომადგენლებთან ერთად მიღებულია რეზოლიუცია რ. კ. პ. ც. კ. მხარის დაჭერის შესახებ.

პარტიული დისკუსიის გამო

ტულა. 24 დეკემბერი. დისკუსია შინაპარტიული მშენებლობის შესახებ მოედო ფართე პარტიულ მასებს. მუშათა რაიონების უჯრედების მიერ მიღებული რეზოლიუციები იწონებენ ცეკას დადგენილებას, მოითხოვენ პარტიის მთლიანობის დაცვას და პარტიის შიგნით ფრაქციების და ჯგუფების დაუშვებლობას.

სტავროპოლი. 24 დეკემბერი. კომუნისტების საერთო-საქალაქო კრება ესალმება ცეკას დადგენილებას, მოითხოვს პარტიის სიმტკიცეს და მთლიანობას და პარტიის შიგნით ჯგუფების ალაგმვას.

პერმი. 24 დეკემბერი. ყველა უჯრედები იწონებენ ცეკას რეზოლიუციას და აუცილებლად სთვლიან მთლიანობას პარტიის სიმტკიცისათვის.

ბარნაული. 24 დეკემბერი. ქალაქის პარტიული ორგანიზაციის აქტიური მუშაკების თათბირმა ერთხმად მოიწონა ცეკას რეზოლიუცია. თათბირს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია პარტიის შიგნით იმ ჯგუფების და ფრაქციების არსებობა, რომლებიც ძირს უთხრიან პარტიის მთლიანობას.

ბაქოს კომუჯრედების ბიუროების მეხუთე კონფერენცია პარტიული დისკუსიის შესახებ

ბაქო. 23 დეკემბერი. უჯრედების ბიუროების მეხუთე კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 900 კაცი, კომპარტიის ბაქოს ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად, მოისმინა რა ამხ. კიროვის და კარაევის მოხსენება შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, ერთხმად (წინააღმდეგი იყო ერთი) მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1. საკითხი შინაპარტიული მუშური დემოკრატიის პრინციპების გატარების და საერთოდ პარტიული ცხოვრების გამოცოცხლების შესახებ პარტიის წინაშე ისმება უფრო ხელსაყრელ და ობიექტიურად უფრო უკეთეს პირობებში, ვიდრე ოდესმე სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანი მიღწევები სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგში, კვალიფიციური მუშათა დაბრუნება სოფლებიდან ქალაქებში, მუშათა კლასის მდგომარეობის შეუწყვეტელი გაუმჯობესება და ბოლოს პროლეტარიატის ზოგიერთი ფენების კულტურული ზრდა—ყველა ეს წარმოადგენს მატერიალურ წინაწარ პირობებს პარტიის ფართე მასების უფრო აქტიურ მონაწილეობისათვის პარტიულ, ეკონომიურ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიონალურ მშენებლობაში.

2. საკითხის დასმა მუშური დემოკრატიის შესახებ ისეთ პირობებში, როცა არსებობენ მეურნეობის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ქმნიან ობიექტიურ წინააღმდეგობებს და რომლებიც თავს იჩენენ მთელ რიგ უარყოფითი ტენდენციების სახით, პირველ ყოვლისა მოითხოვს სერიოზულ ბრძოლას ამ ტენდენციებთან.

უარყოფითი ტენდენციების რიცხვს ეკუთვნის:

ა) განსხვავება პარტიის წევრების მატერიალურ მდგომარეობაში და ე. წ. „ფუფუნებასი".

ბ) პარტიის ზოგიერთი წრეების კავშირის ზრდა ბურჟუაზიულ ელემენტებთან და ამ უკანასკნელების იდეოლოგიური გავლენა პირველებზე.

გ) პარტიის ზოგიერთ მერყევ ელემენტებზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის უარყოფითი გავლენა და ამ ნიადაგზე კარიერიზმის ზრდა და სხვა.

დ) თვალთახედვის უწყებრივი შეზღუდვა, უწყებრივი თვალსაზრისის გაბატონება საერთო—სახელმწიფოს და რევოლიუციონურ ინტერესებზე და ამ ნიადაგზე კომუნისტებს და მუშაობის სხვადასხვა დარგებს შორის კავშირის შესუსტება.

ე) სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივების დაკარგვა.

ვ) პარტიის წევრების იმ ნაწილის გადაგვარების საფრთხე ახალი ეკონომიური პოლიტიკის ზეგავლენით, რომლებიც თავისი მუშაობის სფეროთი ახლო დგანან ბურჟუაზიულ წრეებთან.

ი) პარტიულ და პროფესიონალურ აპარატის ბიუროკრატიზაციის საფრთხე, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს პარტიის მოწყვეტა პროფკავშირებისა და ფართე მასებისაგან.

3) პარტიის მთავარ ამოცანას განვითარების დღევანდელ პერიოდში წარმოადგენს საკითხი სახელმწიფო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის შესახებ, იმ მრავალ დაბრკოლებათა დაძლევის შესახებ, რომელნიც წარმოიშვენ ჩვენი მრეწველობის პროდუქციის გასაღების კრიზისის გამო. საბოლოო ანგარიშით, ამ ამოცანების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს პარტია —ერთის მხრივ ახლანდელი გადატრიალების მოხდენას უმტკივნეულოდ და მეორე მხრივ თუ რამდენად თავის დროზე და მტკიცედ შეუდგება. ის რ. კ. პ. ც. კ. და ს. კ. მიერ გამოცხადებულ ახალი კურსის ცხოვრებაში გატარებას.

4. ახალი ეკ. პოლიტიკის ზემოდ ჩამოთვლილი უარყოფითი მოვლენებთან წარმატებით ბრძოლის მიზნით, პარტიული მასების აქტივობის და ბრძოლის უნარიანობის გასაძლიერებლად და პარტიის უფრო დასაახლოვებლათ მშრომელ მასებთან, საჭიროა მტკიცე კურსის აღება შინაპარტიული დემოკრატიის სისტემატიურად გატარებისაკენ.

5) შინაპარტიული დემოკრატია ნიშნავს პარტიის ყველა წევრების მიერ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის მთავარ საკითხების განხილვას, ამ საკითხების გარშემო თავისუფალ აშკარა დისკუსიას, ყველა პარტიულ ორგანოების არჩევას, დაწყებული იაჩეიკებიდან და გათავებული უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოებით, მაგრამ პარტიას არ შეუძლია მუშათა დემოკრატიის პრინციპის აბსტრაქტულად დაყენება და აბსოლიუტურ გაშლილ დემოკრატიის თვალსაზრისის გაზიარება, რაც შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში და პარტიამ უნდა გაატაროს დემოკრატია ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობების მიხედვით. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის განვითარება და საშინაო და საგარეო საფრთხე კიდევ კარგა ხანს აიძულებს პარტიას, რევოლიუციის ინტერესების მიხედვით, შეზღუდოს მუშათა დემოკრატიის სავსებით გატარება.

6) მუშათა შემოკრატია იმ ფარგლებში და ჩარჩოებში, რომლებშიაც იგი დღესაა გატარებული, უსათუოდ შეიცავს მთელ რიგ საკითხების განიხილავს მათ გარშემო და დისკუსიას, მაგრამ პარტიას არ შეუძლია დაუშვას, რომ დისკუსიის თავისუფლება გადაიქცეს ჯგუფების ფრაქციების თავისუფლებად პარტიის შიგნით. დისკუსიის და მსჯელობის თავისუფლება პარტიაში თუოდ საჭიროა და სასარგებლო, მაგრამ პარტიის გადაქცევა აზრთა შეჯახების პარლამენტად ან სადისკუსიო კლუბად არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები. რა თქმა უნდა, პარტიის გადაწყვეტილებამდე უნდა იყოს აზრთა ცვლა-გამოცვლის, ინიციატივის და შემოქმედების შედეგი ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით, რაც არის ნამდვილი ბოლშევიკური ფორმულა, ხოლო ყოველგვარი ანარქისტული და მენშევიკური ფორმულები პარტიამ კატეგორიულად უნდა უარყოს.

7) შინაპარტიულ დემოკრატია, პირველ რიგში, ფართო არჩევნების სისტემის გატარებაზე [illegible] ალებით, იმ შეზღუდვებით, რომლებიც აღნიშნულია ყრილობის დადგენილებებში მასების [illegible] ახალ მუშაკების (წამოყენ[illegible] პარტიულ მასაში მიმდინარე პოლიტიკის მთავარ საკითხების განხილვის გადატანა, პარტიის წევრების მიერ მნიშვნელოვან საკითხების ირგვლივ თავისუფალი დისკუსიების გამართვა, პარტიის აქტიურ მუშაკების დაახლოვება [illegible] პარტიულ მასასთან, ბრძოლა პარტიულ აპარატზე ბიუროკრატიის თავდასხმის წინააღმდეგ, პარტიის აპარატის თანდათანობითი განახლება და მისი ახალ მუშაკებით შევსება—ბაქოს ორგანიზაციამ უნდა დაყენოს საკითხი პარტიის რიგებში შეგნებულ უპარტიო მუშების [illegible] კონტინგენტის ჩაბმის შესახებ, რომლებიც აღიზარდენ რევოლიუციის წლებში, იმყოფებიან წარმოებაში და აგრეთვე საკითხი პარტიულ მასის ჩამორჩენილ ფენების კულტურულ და პოლიტიკურ დონეს აწევის შესახებ.

8) იცავს-რა თვალსაზრისს პარტიის შიგნივ მუშათა დემოკრატიის თანდათანობით და მტკიცეთ გატარების შესახებ იმ ფარგლებში, რომლებიც დასაშვებია ობიექტიურ პირობებში, პარტია კატეგორიულად და მტკიცეთ უნდა შეებრძოლოს ყოველგვარ ცდას, რომლის მიზანია ჯგუფების და ფრაქციების შედგენა; პარტიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დღევანდელ მომენტში გადააქციოს საკითხების განხილვა და პარტიული დისკუსია ფრაქციულ და ჯგუფურ ბრძოლად და მან უნდა გაჰკიცხოს ყველა ის, ვისაც სურს შეარყიოს მთლიანობა და ფრაქციულ ბრძოლის მიზნით გათიშოს ერთიანი ბოლშევიკური პარტია.

9) ბაქოს ორგანიზაცია გაფაციცებით ადევნებს თვალყურს დისკუსიის მიმდინარეობას და აღნიშნავს, რომ დისკუსიამ მიიღო ცეკას წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი ამხანაგების ერთი ჯგუფის ამხ. პრეობრაჟენსკის, საპრონოვის და სხვ. [illegible], ხოლო უკანასკნელ ხანებში ამხ. ტროცკის არაპირდაპირი დახმარების წყალობით.

ძველი, ეგრედწოდებული, „დემოკრატიული ცენტრალიზმის" და „მემარცხენე კომუნისტების" ჯგუფები, რომელთა ხაზი განხილული იყო წარსულ ყრილობებზე, ხელახლა სცდილობენ პარტიაში დეზორგანიზაციის შეტანას და პარტიის შიგნივ ფრაქციის შექმნას.

10) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ ახალ პარტიულ ხაზის გამოქვეყნების შემდეგ ერთი შეხედვით, თითქოს არავითარ უთანხმოებას არ უნდა ჰქონოდა ადგილი და პარტიის ყველა წევრები უნდა შეუდგომოდენ პოლიტბიუროს მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციის ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ ამხ. საპრონოვის, პრეობრაჟენსკის და სხვების ჯგუფი, არ კმაყოფილდება ამით და განაგრძობს ბრძოლას ცეკას წინააღმდეგ და სცდილობს სახელი გაუტეხოს უკანასკნელ ორ წელში მის მიერ წარმოებულ მუშაობას. ოპოზიცია, ილაშქრებს რა პარტიის ცეკას პოლიტიკის წინააღმდეგ, ეწინააღმდეგება ლენინიზმის მთავარ ხაზს. მაგრამ პარტიას არ შეუძლია დაუშვას ლენინიზმის რევიზია, სულ ერთია ამხანაგების რომელმა ჯგუფმაც არ უნდა მოისურვოს ეს. გმობს რა აღნიშნულ ჯგუფის ნაბიჯს, რომელიც მიმართულია პარტიის მთლიანობის შერყევის და მისი რიგების დეზორგანიზაციისაკენ, ბაქოს ორგანიზაციის კონფერენცია სწორად სთვლის ცეკას პოლიტიკურ და საორგანიზაციო ხაზს და მას საჭიროთ მიაჩნია მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები პარტიის მთლიანობის დასაცავად და სხვადასხვა პირთა და ჯგუფების დეზორგანიზატორულ გამოსვლების შესაწყვეტად.

11. ბაქოს ორგანიზაციის იაჩეიკების ბიუროების კონფერენცია მწუხარებით აღნიშნავს ამხ. ტროცკის გამოსვლას „პარტიულ თათბირებისადმი მიწერილ" წერილში („ახალი კურსი"), რომელშიაც ის სცდილობს დაუპირდაპიროს პარტიული ახალგაზრდობა ძველ გვარდიას ან და შეადაროს ამხ. ლენინის უახლოესი მოწაფეები მარქსიზმის რენეგატებთან, კაუცკისთან, ბერნშტეინთან, გედთან და სხვა. ამ ცდას არ შეუძლია არ გამოიწვიოს პარტიის ერთი ნაწილის უნდობლობა მეორე ნაწილისადმი და ამით კი პარტიის მდგომარეობის გართულება. კონფერენცია ფიქრობს, რომ

ჩვენი ეკონომიური აღმშენებლობა

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გახსნა

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გამყვანი კომიტეტი:
1. გ. ავაქოვი, 2. ა. კაციტაძე, 3. გ. ხარჯვალაძე და 4. გ. თუმანოვი.

ხალხის ერთი დიდი ნატვრის განხორციელება

(ოზურგეთის რკინის გზის გახსნის გამო)

ხვალ, 1923 წლის დეკემბრის 26-ს, ოზურგეთის რკინიგზის შტოზე იხსნება მიმოსვლა. ეს თარიღი დიდხანს დარჩება კიდევ ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში. ორმოცი წელიწადია, რაც გურიის ხალხი ამაოდ მოელოდა ამ გზას. როცა გასული საუკუნის მეოთხმოცე წლებში წყეული მეფის მოხელეებს გაყავდათ ბათუმის შტო, გურული გლეხკაცობის ინტერესები გათელილი და გადალახული იქნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ დანაშაულის გამოსწორება არ მოხერხდა არც მეფის მთავრობის და არც მენშევიკების ბატონობის დროს. და როცა ამ ოცდა-ექვსი წლის წინეთ მე ვწერდი ოზურგეთის რკინისგზის ბედზე, მე ის აზრი გამყავდა მაშინ, რომ გურული გლეხკაცობა დიდ ნურვისზე ამყარებს თავის იმედებს, გარდა თავისი საკუთარი თავისა. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს წინასწარმეტყველება სისწორით გამართლდა: ჩვენ ამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ოზურგეთის რკინის გზა გააკეთა თვით მშრომელმა ხალხმა თავისი მუშურ გლეხური მთავრობის და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დახმარებით.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ არავის არ შეუძლია რკინისგზის მნიშვნელობის დაფასება ისე, როგორც თვით მშრომელ ხალხს, მუშებს და გლეხებს. და ეს ყველაზე უფრო უნდა ითქვას გურიის გლეხკაცობაზე, რომელიც თავისი პოლიტიკური შეგნებით, განვითარებით და მომზადებით გაცილებით მაღლა სდგას საქართველოს სხვა მაზრების გლეხკაცობასთან შედარებით. სადგ. ნატანებსა და ქ. ოზურგეთს შორის, რაღაც 18 ვერსის მანძილზე, რკინისგზის გაკეთება ერთი



ბეტონის ხიდი მდინარე ბოგილაზე.

შეხედვით თითქო არაფერია, უმნიშვნელო რამეა; მაგრამ ჩვენ არ ვტყუვდებით, როცა ამას ჩვენ დიდ საქმეთ ვთვლით. მართალია, ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგანაც ეს გზა ვერ გაჩერდება იმ წერტილზე, სადამდის ის დღეს მიყვანილია, მაგრამ ეს ისეთი დასაწყისია, რომლის მეოხებით მთავარი დაბრკოლება უკვე დაძლეულია. ოზურგეთის რკინისგზის გაკეთებით ფართო და მკვიდრი საფუძველი ეყრება მთელ გურიაში საბჭოთა ხალხურ აღმშენებლობას. გზა უნდა გაგრძელდეს, უნდა დაუახლოვდეს აღმოსავლეთი გურიის სოფლებს და გურიის უღრან ტყეებს. ხალხს, მშრომელ მასას გაუადვილდება მიმოსვლა ერთი მხრით, და სოფლის ნაწარმოების გატანა ბაზარზე, მეორე მხრით. ამას მოყვება სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება, ძვირფას მცენარეების (ჩაის, აბრეშუმის, თამბაქოს, მანდარინის და სხვადასხვა) გაშენების ზრდა. ამავე დროს გურიის ხალხის წინაშე დგას ახლავე მდინარეების მუქთი ძალის გამოყენება ელექტრონული ენერგიის სახით (ელექტროფიკაცია); ელექტრონული სინათლე, რაც შეიძლება ჩქარა, უნდა შეიჭრას გურიის ყველა სოფლებში (ქალაქებზე აღარ ვლაპარაკობთ) და მან უნდა გაანათოს სულ უღარიბესი გლეხის ქოხიც კი. მაგრამ იგივე მუქთი ძალა აამუშავებს და აამოძრავებს სულ ახლო მომავალში იმავე გურიაში ხე-ტყის და სხვადასხვა მადნეულობათა ქარხნებს და სახელოსნოებს. ყოველივე ეს სულ ახლო მომავალში მეტად საგრძნობლათ ასწევს მაღლა გურული გლეხკაცობის ნივთიერ მდგომარეობას, რაც თავის მხრით ერთი ათად და ერთი ასად გააძლიერებს და წინ წასწევს გურიის მშრომელი მასის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას, მის შეგნებას, აღზრდას, სწავლა-განათლებას და სხვ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს და დააჩქარებს სოციალისტურ აღმშენებლობას და შემოქმედებას.

აი მოკლეთ გურიის სურათი სულ ახლო მომავალში. დაახლოვებით ასეთივეა სურათი მთელი საქართველოსი და საერთოდ ყველა საბჭოთა ქვეყნების. ამ სურათში ესაა ნამცეცი გაზვიადება, ან ოცნება, ფანტაზია ან უტოპია არაა. ერთა ნამდვილი, სალი სინამდვილე. ჩვენ არა თუ გვწამს ის, არამედ ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავისი საკუთარი ხელებით, თავისი საკუთარი მუშაობით ვქმნით ამ სინამდვილეს. **ერთი თვალსაჩინო საბუთი ამ სინამდვილისა—ეს ოზურგეთის რკინისგზაა.** თითქმის არავის სჯეროდა მისი განხორციელება, მისი სინამდვილეთ ქცევა. მაგრამ ის უკვე ფაქტია. დეე ნურავინ იფიქრებს, რომ ყოველივე ეს ხელების გაუნძრევლათ და ან ადვილათ გაკეთდებოდა ან გაკეთდება. დეე, ყველამ იცოდეს, რომ ეს მოითხოვს დიდ ჯაფას, დიდ შრომას, ვიტყვი კიდევ მეტს: ეს თხოულობს დიდ ბრძოლას, დიდ თავგანწირვას და დიდ მსხვერპლსაც ჩვენგან. მაგრამ წყეული იყოს ის, ვინც შეუშინდება ამ ბრძოლას და ამ თავგანწირვას. **ამხანაგებო, გურიის გლეხებო!** დღეს თქვენთან ერთად ოზურგეთის რკინისგზის გახსნას ზეიმობს **მთელი საქართველოს მშრომელი მასა,** განურჩევლად სქე-



რკინის ხიდი მდინარე ხკურდუმზე.

სისა და ეროვნებისა. თქვენთან ერთად ამ თქვენ სიხარულს ისინიც იზიარებენ მით უფრო, რომ იმათაც უძევთ წილი, როგორც ზნეობრივი, ისე ნივთიერი, ამ დიდი საქმის დაგვირგვინებაში. მხურვალედ გილოცავთ დღევანდელ გამარჯვებას და გისურვებთ მომავალში მრავალ ასეთ გამარჯვებებს.

მხურვალე სალამი ოზურგეთის რკინისგზის მკეთებლებს, იმ მუშა-გლეხებს, რომლებმაც თავისი ოფლით მორწყეს მისი ლიანდაგი, და აგრეთვე ამ მუშაობის ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ საქმისთვის არ ზოგავდენ თავის ჯაფას, ცოდნას და გამოცდილებას!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა აღმშენებლობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ფ. მახარაძე.

გურიის მშრომელი ხალხი ზეიმობს 26 დეკემბერს...

გურიის მშრომელი ხალხის ოცნება სინამდვილეთ იქცა, მისი დიდი ხნის სურვილი და ნატვრა განხორციელდა, იმედი გაუმართლდა.

26 დეკემბერს იგი იდღესასწაულებს ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის დამთავრებას. ამ დღეს მოხდება ხსენებულ გზაზე მიმოსვლის საზეიმო გახსნა; ქალაქ ოზურგეთს პირველათ ესტუმრება სამგზავრო მატარებელი.

26 დეკემბერი მართლაც რომ ისტორიული დღე იქნება გურიის მშრომელი ხალხის ცხოვრებაში.

იგი ამ დღეს არა მარტო სიტყვით, არამით საქმით... ცოცხალი საქმით დარწმუნდება საბჭოთა მთავრობის შემოქმედების ძლიერებაში, იმის სიმტკიცესა და დაუღალავ საქმიანობაში პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხკაცობის საკეთილდღეოთ.

ეს ცოტაა. გურიის მშრომელი ხალხი 26 დეკემბერს ერთხელ კიდევ მიხვდება, ერთხელ კიდევ დაინახავს საკუთარი თვალით, თუ რის შექმნა შეუძლია მშრომელთა დაუშრეტელ ენერგიას, როცა მას სათავეში უდგას მისივე ინტერესების დამცველი მთავრობა, რომელიც არ ზოგავს თავის ძალღონეს, არ ზოგავს არავითარ მსხვერპლს, ოღონდ საბოლოო გამარჯვება პროლეტარიატსა და მის მოკავშირე გლეხობას დარჩეს.



ოზურგეთის სადგურის შენობის გეგმა.

26 დეკემბერი საუკეთესო თავდები იქნება გურიის მშრომელი ხალხის ცხოვრების შემდეგი კულტურულ-ეკონომიურათ განვითარებისა, მისი აღორძინებისა და აყვავებისა.

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა უნდა გაგრძელდეს დაბა ჩოხატაურამდე. მას უნდა მოჰყვეს ელექტრო სადგური, დიდი სახალხო სახლი, გზა-ტკეცილების გაყვანა და სხვ.

საბჭოთა მთავრობა მშრომელ ხალხთან ერთად, რის გაკეთებასაც კი დაისახავს მიზნათ, რასაც კი მოკიდებს ხელს და დაიწყებს, უსათუოთ გააკეთებს, აუცილებლათ დაამთავრებს. ეს მისი ბუნება არის, სხვანაირათ მას არ შეუძლია მოიქცეს. ამით განსხვავდება იგი ყოფილი მენშევიკური ბურჟუაზიული მთავრობისაგან. და ამას ამტკიცებს სხვათა შორის ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანაც.

დიახ, მუშები და გლეხები ყველაფერს შესძლებენ; დეე, დარწმუნდეს მის ძლიერებაში საზიზღარი მტერი, გამცემი და მოღალატეები.

დეე, იცოდეს ორგულმა, თუ რა დაბრკოლებათა გადალახვა შეუძლია კომუნისტურ პარტიას, დეე, გული გაუსქდეთ მათ ჩვენი შეუპოვარი წინსვლით საბოლოო გამარჯვებისაკენ, ხოლო იხაროს და იზეიმოს ამ გამარჯვებით მშრომელმა ხალხმა.

გაუმარჯოს გურიის მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს აღმშენებლობას!

ა. დოლიძე.

ოზურგეთის რკინისგზა

ხვალ იხსნება ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა. ამიერიდან გურიის დედა-ქალაქი ოზურგეთიც ირიცხება კულტურულ ქალაქების რიცხვში, ვინაიდან ის უკავშირდება დღეიდან ჩვენი ქვეყნის ცოტათ თუ ბევრათ განვითარებულ კუთხეებს ისეთი ძაფით, როგორიცაა რკინის გზა. ოზურგეთი ამიერიდან კულტურულ ქალაქათ ხდება, ვინაიდან დღეს მე-20 საუკუნეში, რომელიც არის არა მარტო ელექტრონისა და რადიოს საუკუნე, არამედ ჰაერში ფრენის საუკუნეც—ასეთ საუკუნეში შეუძლებელია მივიჩნიოთ კულტურულ ქალაქათ ისეთი, რომელიც არაა შეერთებული სხვა ქალაქებთან რკინის გზით.

მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ, თუ დღემდე ოზურგეთი მოწყვეტილი იყო სხვა ჩვენს ქალაქებს, ამაში დიდი დანაშაულობა მიუძღვის ძველ თვითმპყრობელურ მთავრობას, თავისი მოხელეებით. თვითმპყრობელობას დასახული ჰქონდა ისეთი მიზნები, რომლების განხორციელებას ზიანის მეტი არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო ხალხის ფართო მასებისათვის. თუ რაში გამოიხატა ძველი მთავრობის დანაშაული გურიის წინაშე, ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ, ახლა კი უნდა ვთქვათ შემდეგი: ჩვენი მტრების სამწუხაროთ და ქართველი მშრომელი ხალხის საბედნიეროთ საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო და კიდევაც სასურველათ დაამთავრა ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის გაყვანა, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ქვეყნის ერთ დიდათ მნიშვნელოვანი კუთხის, გურიის, ეკონომიურ და კულტურულ წარმატებას. ამ საქმეში დიდი ინიციატივა და ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მშრომელი მასების ბელადს, ამხ. ფ. მახარაძეს.

ჩვენ არ გამოუდგებით აქ დაწვრილებით იმის განხილვას და გარჩევას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ რკინის გზას და რა პერსპექტივებს შლის ის, ხოლო არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის, თუ რას ამბობდა ამ გზის გაყვანის მოთავე ამხ. ფილიპე მახარაძე ამ 25 წლის წინათ ე. ი. 1897 წელში. ის ჟურნალ „კვალში" სწერდა: „გურიის ეკონომიურ გაჭირვებულ მდგომარეობას ამწვავებს კიდევ ის გარემოება, რომ ეს კუთხე მოკლებულია ახალი დროის გაუმჯობესებულ მისვლა-მოსვლას, ე. ი. რკინის გზას. ბათომის რკინის გზა გურიას არ წვდება და თუ წვდება დიდი გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით. საყურადღებოა ამ მხრივ შემდეგი ამბავი. თურმე, ვინც ამ გზის პირველი პროექტი შეადგინა, იმას სრულიად არ დაევიწყა გურია ამ პროექტით ბათომის გზა 4—5 ვერსის მოშორებით გაივლიდა ოზურგეთზე, რაც წამხდარ დროზე მაინც კარგი საქმე იქნებოდა. მაგრამ სწორეთ იმ დროს, როცა მუშაობა დაწყებული იყო, გამოიარა, ჩვენდა საუბედუროთ, მეორე ინჟინერმა, რომელმაც ეს პროექტი სრულიად უკუაგდო, გზა გურიიდან გადაჰკარგა, შავ ზღვაში გაიყვანა (სწორეთ შავ ზღვაში) და გურულებს კი თითქოს ასეთი სიტყვებით მოგვმართა: ვინ ცოდვის შვილმა დაგატყუილათ? თქვენთვის რკინის გზას არავინ გააკეთებს! ან, რომ კაცმა სთქვას, თქვენთვის რა საჭიროა ესა? არამც და არამც თქვენ გულში არ გაივლოთ, რომ რკინის გზა თქვენთვის საჭიროა, მე კი, ჩემი მხრით, რაც გამივა ვეცდები, რომ თქვენში ეს სურვილი აღმოვფხვრა!

რომ ამ სურვილის აღმოფხვრა გურულებში შეუძლებელი იყო, ეს, ვგონებ, ცხადია; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხსენებულმა ვაჟბატონმა, როგორც მას გაუვიდოდა, ყოველგვარი საშუალება იხმარა ამ მიზნის მისაღწევათ. სწორეთ გასაკვირალია ჩვენი ამბავი: ჩვენში ვგონებ, დასაბამიდან დაწესებული უნდა იყოს, რომ ყოველგვარ კეთილ საქმეს სასარგებლო დაწესებულებას, უკუღმართი მიმართულება უნდა მიეცეს". (იხ. ჟურნალი „კვალი" 1897 წ. № 29 პროვინციელის ფსევდონიმით).

ჭეშმარიტათ, რომ გურიის მშრომელ მასაში მტკიცეთ დაუსადგურებია ამ იდეიას, რომელიც დღეს უკვე განხორციელებული ფაქტია.

ქ. კომუნაძე.



ხიდი მდინარე ნატანებზე.

წარსულიდან

(გურიის რკინის გზა)

ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის საკითხს თავისი ისტორია აქვს.

ის 1896 წელს, ესე იგი ამ 27 წლის წინედ წამოაყენა ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ, რომელმაც სათანადო შუამდგომლობით მიმართა მეფის მთავრობას. მაშინდელი ოზურგეთის ქალაქის თავის მოქ. თავდგირიძის მიერ წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა თხოულობს მიეცეს მას ნებართვა გაიყვანოს რკინის გზა სადგურ ნატანებიდან ქალაქ ოზურგეთამდე იმ უფლებით, რომ შემდეგში ის გაგრძელებულ იქნას სოფ. ვაკისჯვარამდის, ჩოხატაურამდის სადგურ საჯავახოსთან შესაერთებლად და შემდეგ კი სად. ნატანებიდან შეკვეთილამდე, რითაც გურიას საშუალება მიეცემოდა საკუთარი ნავთსადგური აეგო შავ ზღვაზე.

მართალია ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ მაშინ გვერდი აუხვია შემოქმედ - მაკვანეთ - გომის მთის ტყიან ადგილების გამოყენების საკითხს და გეზი აიღო ბახმაროს ტყისაკენ, მაგრამ მისი დაწყებანი რომ გამართლებულიყვნენ, მაინც დიდი მონაპოვარი იქნებოდა მთელი გურიისათვის.

მეფის მთავრობა არც ისე გულუბრყვილო და სულელი იყო, რომ მოუსვენარ და რევოლუციონური აღტკინებით სავსე გურიისათვის დაეხარჯა ამ მიზნისათვის მოთხოვილი ეს ოცდაათი ათასი მანეთი.

1918 წელში ნატანებ-ოზურგეთის რკინისგზის გაყვანის საკითხი ხელმეორედ წამოიჭრა. გურიის ერობა თავის „დეკლარაციაში" დაპირდა გურულებს, რომ ახლო მომავალში ის პრაქტიკულ ნაბიჯებს გადასდგამს ამ გზის დაუყოვნებლივ გასაყვანად. განვლო ერთმა წელმა და მხოლოდ შემდეგ ერობა შეუდგა შეკითხვების

პირველი მატარებელი ოზურგეთში.

მიცემას მცხოვრებლებისადმი იმის შესახებ, რომ თუ მთავრობა დაიწყებდა აღნიშნულ რკინისგზის გაყვანას—რა საშუალებებით და რით დაეხმარებოდნენ მას მცხოვრებლები. ამით ამოიწურა „პრაქტიკული ნაბიჯები", ხოლო 1920 წლის დამლევს გურიაში ოცნებობდნენ არა რკინის გზაზე, არამედ ნატანებ-ოზურგეთის შარაგზის ისე მაინც შეკეთებაზე, რომ ბეწვის ხიდის საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო ოზურგეთიდან ნატანებში ჩასვლა!

და ეს იმ დროს, როდესაც გურიის რკინისგზა ოცნებად იყო გადაქცეული გურიისათვის.

თვით საქართველოს ყოფილი გზათა სამინისტრო, რომლის სათავეში იდგა მაშინ ნოე ხომერიკი, 1919 წლის, 7 ივნისის № 1789 თარიღით მოხსენებაში მთავრობისადმი ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ, სხვათა შორის სწერდა:

„რკინის გზის უქონლობის გამო გურიის მდიდარი ტყეები და მადნეულობა უსარგებლოდ რჩება როგორც მხარისათვის, ისე მთელი რესპუბლიკისათვის; სოფლის სამეურნეო ნაწარმოებები ჰკარგავენ ფასს, რადგან არ აქვთ იაფი და ხელსაყრელი გასავალი; მეურნის შრომა ეცემა, მუშის ხელფასი კლებულობს, ვაჭრობა და მრეწველობა სულ მთლად ქვეითდება, საწარმოო ძალები დღითი-დღე სუსტდება და სხვა.

გურია მდიდარია ტყის აგარაკებით, რომელშიაც მრავლად მოიპოვება ძვირფასი ჯიშის ასაშენებელი და ავეჯეულობის გასაკეთებელი ხე-ტყე, როგორც მაგალითად: ურთხმელა, წაბლი, წიფელა, ცაცხვი, კოპიტი, მუხა, ნაძვი და სხვა. გურიას მოჰყავს და საშუალება აქვს გამოიტანოს ბაზარზე დიდძალი სიმინდი, აბრეშუმი, თამბაქო, კაკლის ხე, თხილი, ჩაი, ვარდის ბუჩქები, მანდარინი, სპირტი, ყურძენი და სხვა" *).

აღსანიშნავია ის არაჩვეულებრივი სისწრაფე და სიიაფე, რომლითაც გაყვანილ იქნა ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა. გზა სულ არის 18 ვერსი, ფართე ლიანდაგიანი; ის სად ნატანებში გადაუხვევს ამიერ-კავკასიის რკინის გზას და მიჰყვება მდინარე ნატანების მარჯვენა ნაპირს. გზა თავდება ოზურგეთის სადგურით რომელიც შიგ ქალაქშია. ამ ორ სადგურთა შორის არის შუაში, სოფ. მერიაში მესამე სადგური. მთელი გზის ხაზზე აგებულია 33 ხელოვნური ნაგებობა, რაზედაც დახარჯულა რვა ათასამდე ბოჭკა ცემენტი. მის გაყვანას დასჭირდა ერთი წელიწადი და 4 თვე, ანუ 485 დღე, რომელთაგანაც წვიმიანი დღე იყო 239. ამ წლის 1 თებერვლამდე უბალო მუშაობა სწარმოებდა შრომის ბეგარით, ხოლო აღნიშნულ რიცხვიდან ბეგარა შეწყდა, რადგან გლეხობა იძულებული შეიქნა თავისი ძალები მოეხმარა წყალდიდობისაგან დაზარალებულ თავიანთ სოფლებისათვის. მთელი გზა ჯერ-ჯერობით დაჯდა ას სამოცდა თორმეტი ათასი მანეთამდის, ხოლო შემდეგში კიდევ ასაგებია სადგურები.

ვის ხარჯზე აიგო ეს გზა? ბათომის სანაპირო მუშებთა არტელს შეუწირავს 35 ათასი მანეთი, ა. კ. რკინის გზის მუშებს—6 ათასი, კავკასიის წითელ დროშიან ცალკე არმიას—5 ათასი, სასურსათო კომისარიატს—6 ათასი, მიწათმოქმედების კომისარიატს—2 ათასი, ტფილისის ქალაქის აღმასკომს—2 ათასი, საქართველოს მთავრობას—ასი ათასი და ა. შ. (მასალა ამოღებულია იმავე წიგნიდან).

გურიის გლეხობის ნატვრა შესრულებულია და ჩვენ მალე გავხდებით მოწმენი ბახმაროს მთების „დაპყრობისა".

დღეს შუა ოზურგეთში შემსვლელი პირველი ორთქლმავალი ეტყვის გურიის მშრომელ ხალხს:

ამით გავიმარჯვებთ!

---

*) იხ. „ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა", გვ. 8 და 9, გამოცემა ს. მ. უ. საბჭოსი 1923 წ.



ლიანდაგის დამგები მუშები ჩახვატას ხიდთან.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის
სატყეო კოდექსი
(პროექტი)

განყოფილება 1-ლი
ძირითადი დებულებანი

1. სუყველა ტყეები და უტყეო ადგილები დანიშნულნი მერქნის აღმოსაცენათ და სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის, სათანადო წესით გამოყოფილნი სხვა დანიშნულების მიწებისაგან, წარმოადგენენ მუშურგლეხურ სახელმწიფოს საკუთრებას და შეადგენენ მთლიან სატყეო სახელმწიფო ფონდს.

2. სახელმწიფო სატყეო ფონდიდან შეიძლება გამოყოფა და გადარიცხვა მიწის ფონდში ქვემოთ აღნიშნულ ტყის არეებისა, რომლებთაც არა აქვთ დაცვითი ხასიათი:

ა) ვაკე ტყის არეები, შეძენილნი გლეხთა საზოგადოებების და ამხანაგობების მიერ რევოლიუციამდე სახნავ ადგილების გაფართოების მიზნით, ანუ კანონიერათ მათთვის მინიჭებული ამავე მიზნით სატყეო კოდექსის გამოცემამდე;

ბ) ტყის მცირე მოედნები, შეჭრილნი სასოფლო-სამეურნეო მიწებში, რომლებიც ხელს უშლიან ამ მეურნეობის წარმოებას.

შენიშვნა: ასეთი არეების სახელმწიფო სატყეო ფონდიდან გამოყოფას ახდენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

3. მიწის ფონდში გადასარიცხათ, სატყეო ფონდიდან გამოყოფილი ტყის არეები ნაცენი ტყით, გადადიან მიწის მომწყობ დაწესებულებათა გამგებლობაში და მათი განკარგულებით გაიცემიან მიწით მოსარგებლეებზე, თანახმად მიწის კოდექსის მიერ გათვალისწინებულ წესების და პირობებისა.

შენიშვნა: სატყეო ფონდიდან გამოყოფილ არეებზე მყოფ სამასალე ტყის გასაღებას ახდენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილება საერთო წესით.

4. მთლიანი სახელმწიფო სატყეო ფონდი განიყოფება:

ა) ტყეები ადგილობრივ მნიშვნელობისა.

ბ) ტყეები საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა.

განყოფილება მე-2
ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები

5. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებათ გადაირიცხებიან ტყეთა უბნები, რომლებიც მდებარეობენ მთავარი ტყეების არეთა გარეშე, სახელდობრ:

ა) ყოფილი საგლეხო, სათემო და გადმოსახლებულთა ტყის ნაკვეთები.

ბ) ტყის ნაკვეთები, რომლებიც იმყოფებოდნენ გლეხთა კომლობრივ მფლობელობაში.

გ) და ის მცირე ტყის ნაკვეთები, რომლებიც ტყეების საერთო სახალხო ფონდში გადარიცხვამდე ეკუთვნოდენ მემამულეებს და არა ჰქონდათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

შენიშვნა: მე-5-ე მუხლში აღნიშნულ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების რიცხვში არ შედიან ისეთი ტყის უბნები, რომლებიც იკავებენ ფხვიერ-სილიან ადგილებს, ამაგრებენ მდინარეების ნაპირებს, მთის ფერდობებს ნიადაგის ჩამორეცხისაგან და აჩერებენ ხევების გადიდება-გაფართოებას.

6. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფას აწარმოებენ მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებანი რაიონის ტყეების გამგებთან ერთად, რასაც სატყეო განყოფილების დასკვნით ამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

7. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები ასეთად ცნობის შემდეგ გადაეცემიან მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებათა განკარგულებით უვადო სარგებლობაში: თემებს, სასოფლო-სამეურნეო კომუნებს და არტელებს და კერძო კომლობრივ მოსარგებლეებს, თანახმად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ წესებისა.

8. ტყის მოსარგებლეებს, რომლების გამგებლობაში გადადის ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები, ევალებათ:

ა) დაცვა ტყეების: ცეცხლისაგან, თვითნებობით გაჩეხვისაგან, საქონლის უწესო ძოვებისაგან და სხვა.

ბ) დაცვა სატყეო განყოფილების მიერ დამტკიცებულ სატყეო სამეურნეო გეგმისა.

9. მეურნეობა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში წარმოებს შემოკლებული გეგმით, რომელიც უნდა შესდგეს ტყით მოსარგებლეების ხარჯზე, თანახმად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული საგანგებო ინსტრუქციისა. ამ გეგმის შესრულების თვალყურის დევნა ევალებათ რაიონის ტყის გამგეებს.

10. ტყის მოსარგებლეებზე გადაცემულ უბნებში სატყეო მეურნეობის უწესოთ წარმოებისათვის დამნაშავენი ისჯებიან სისხლის სამართლის კანონების ძალით.

11. გაწმენდა ტყისა და გადაქცევა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებისა სხვაგვარ სარგებლობის ნაკვეთებათ დაიშვება სატყეო კოდექსის 56—59 მუხლების მიხედვით.

12. სხვადასხვა საბჭოთა მეურნეობების დასაკმაყოფილებლად მერქნით შესაძლებელია გამოყოფა ტყის პატარა უბნებისა, იმ ტყეებიდან, რომლებიც მდებარეობენ ამ დაწესებულებათა ტერიტორიაზე ანუ ეკვრიან მათ. ასეთ ტყის ნაკვეთების ექსპლოატაცია და დაცვა განისაზღვრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულის საგანგებო წესებით და დებულებებით.

განყოფილება მე-3
საერთო სახელმწიფ. მნიშვნელობის ტყეები

თავი 1-ლი
საერთო დებულება

13. ტყეები, რომლებიც დარჩებიან საერთო სატყეო ფონდში ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გამოყოფის, შემდეგ შეადგენენ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებს.

14. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები მათი სარგებლობის და მნიშვნელობის მიხედვით განიყოფებიან:

ა) საკუთრივ სახელმწიფო ტყეები და

ბ) ტყეები, განსაკუთრებულ დანიშნულებისა.

15. სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში მეურნეობას აწარმოებს მ. მ. ს. კ. სატყეო განყოფილება.

თავი მე2
სატყეო მეურნეობის მოწყობა

16. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებში სწორი და წესიერი მეურნეობის საწარმოებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცხადებულ სათანადო ინსტრუქციების თანახმად, სდგება სატყეო სამეურნეო გეგმა, რომელიც აწესებს: ტყის მოჭრის, ანუ მეურნეობის ბრუნვას, რაოდენობას და წესებს ტყით ყოველგვარ სარგებლობაზე და აგრეთვე ტყეების აღმოცენა-გაშენების და მოვლის საფუძვლებს.

17. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებიდან წლიურ გასაცემ მერქნის რაოდენობა, ტყის გამგეების მიერ შედგენილ აღრიცხვებით, არ უნდა აღემატებოდეს ტყის წლიურ ნამატს: გამოკვლეულ და მოწყობილ აგარაკებში დამტკიცებულ სატყეო მეურნეობის გეგმის თანახმად, დანარჩენ აგარაკებში კი მ. მ. ს. კომისარიატის მიერ განსაკუთრებულ ინსტრუქციებში ნაჩვენები წესების მიხედვით.

18. ტყის გამგეთა მიერ შედგენილ ხე-ტყის გასაცემი აღრიცხვა სატყეო განყოფილებისაგან განხილვის შემდეგ, მტკიცდება მ. მ. ს. კომისარიატის მიერ.

19. განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია ხარჯთაღრიცხვის ყოველ შემთხვევაში მ. მ. ს. კომისარიატის დადგენილებით, აღრიცხვის გარეშე გაცემული ტყე უნდა ჩაითვალოს მომავალ წლების გასაცემ ტყის ანგარიშში.

20. ნაყარი, ნაფუტარი, ქარისაგან მოტეხილი, გასაწმენდათ და გამოსახშირვათ დანიშნული და აგრეთვე გზების გაყვანის დროს მოსაჭრელი ტყე და სხვა, გაიცემა აღრიცხვის გარეშე ანუ აღრიცხვაში ჩათვლილ ტყის გასაცემ ინსტრუქციის მიხედვით.

21. ძირეული ხე-ტყის ფასი განისაზღვრება ნიხრით; ნიხრს ადგენს სატყეო განყოფილება და ამტკიცებს მ. მ. ს. კომისარიატი.

22. სატყეო განყოფილებას შეუძლია სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით: როგორც ხე-ტყეზე საბაზრო ფასების რაოდენობა, აგრეთვე მერქნის მაღალი ღირსება და სხვა № ხე-ტყის ღირებულება გაადიდოს 30—50 პროც., რაც უნდა დამტკიცებულ იქნას მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის მიერ.

23. სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ტყეებიდან გასაცემათ გადადებული მერქანი იყიდება ტყის გამგისაგან სანიხრო ფასებში:

ა) სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაზე მყოფ დაწესებულებებზე და წარმოებებზე და ადგილობრივი ხარჯთაღრიცხვაზე მყოფ დაწესებულებებზე და წარმოებებზე ნამდვილი მოთხოვნილების მიხედვით.

ბ) სოფლის მშრომელ მოსახლეობაზე, გადმოსახლებულებებზე, მუშებზე და მოსამსახურეებზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე და უწყებებზე, ნორმის ფარგლებში. ხე-ტყის ნორმა წესდება ადგილობრივი ჰავის, თუ ტყიანობის მიხედვით სატყეო განყოფილების მიერ და მტკიცდება მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატისა ცეზ

გ) ნიხრით, საჯარო ვაჭრობის გარეშე, რამდენიმე პროცენტის მიმატებით მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის ნებართვით ხე-ტყე ეძლევათ სახელმწიფოებრივი შეერთებებს და წარმოებებს, რომლებიც მექანიკურათ, თუ ქიმიურათ ამუშავებენ მერქანს, მათი წარმოების ნამდვილი მოთხოვნილების ფარგლებში.

24 ღარიბ-მშრომელ მოსახლეობას (წითელ-არმიელების ოჯახებს, ქვრივ ობლებს, გადმოსახლებულთ და სხვა) მათი ქონებრივი მდგომარეობის და ნამდვილი საჭიროების მიხედვით თემების აღმასრულებელ კომიტეტების დამოწმებით, შეიძლება მიეცეს ნაყარი და ხმელი ტყე საწვავათ და საშენებლად ნორმებით, ნიხრზე 75 პროც. დაკლებით მაზრაღმასკომების და 50 პროც. დაკლებით ტყის გამგეების უფლებებით.

25. უფასოთ შესაძლებელია მიეცეს ხე-ტყე მიწ. მოქ. სახ. კომ. მიერ გამოცემულ სათანადო ინსტრუქციის მიხედვით სტიქიურ უბედურობისაგან დაზარალებულთ (ცეცხლის, წყლისა, მიწისძვრისა და სხვა) საზოგადო დაწესებულებებს (სასწავლებლებს, საავადმყოფოებს და სხვა) და სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის (ახალი შენობების ასაგებათ, ძველის შესაკეთებლად, სატყეოებში გზების გასაყვანათ და შესაკეთებლად და სხვა); აგრეთვე გადმოსახლებულებს თავისი შენობების ასაგებათ დასასახლებელ ადგილებზე.

26. ამ კოდექსის 23—25 მუხლების ძალით მერქნის მიმღებელნი მოვალენი არიან მოიხმარონ ის პირდაპირი მოთხოვნილებისათვის და არა აქვთ უფლება გადასცენ იგი სხვას. მათვე ეკრძალება გაყიდვა დამზადებული ხე ტყის მასალის და შეშისა, ანუ მისი გაცემა მოსამსახურეებზე, მუშებზე და მოიჯარადრეებზე ხელფასის ანგარიშში და აგრეთვე ხე-ტყის დამუშავების წარმოება სანაწილოდ.

27. კონცესიების წესით ხანგრძლივი ვადით იჯარით გაცემულნი ტყეებიდან ხე-ტყის გაცემა ხდება სათანადო ხელშეკრულებებით სატყეო კოდექსის 51—55 მუხლების საფუძვლების მიხედვით.

28. საჯარო ვაჭრობით იყიდება წლიურ სახარჯოთ გადადებულ ტყიდან დარჩენილი ტყე მას შემდეგ, როცა დაკმაყოფილებულია მერქნით სახელმწიფო მოთხოვნილებანი და ადგილობრივი მცხოვრებლების საჭიროებანი.

29. გაყიდვა საჯარო ვაჭრობით ხდება თანახმად მიწ. მოქმედების და საფინანსო სახალხო კომისარიატებისაგან შემუშავებულ დებულებების და პირობების მიხედვით.

30. ხე-ტყის გაყიდვის პირობებში უნდა განისაზღვროს:

ა) საწინდრის რაოდენობა, ტყის გასუფთავების უზრუნველსაყოფად, კერძო პირებისათვის კი, გარდა ამისა, დადებული ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად.

ბ) ვადა ტყის დამზადება-დამუშავების, გამოტანისა და ტყის გაწმენდისა.

გ) ვადა ტყის ღირებულების გადახდისა.

დ) წესი დამზადებული ხე-ტყის და ადგილის შემოწმებისა.

ე) წესი დამზადებული ტყის მასალის რაოდენობებისა, ზომის და ანგარიშისა.

ვ) პასუხისმგებლობა პირობის დარღვევისათვის.

ზ) მიზეზები, რომლებსაც მოყვება პირობის დარღვევა და ჯარიმების გადახდა.

ჰ) წესი გაცემულ მერქნის ანგარიშისა.

31. როგორც საჯარო ვაჭრობით, აგრეთვე ნიხრით შეძენილი ტყის მოჭრა და დამზადება შეიძლება მხოლოდ დაწესებული სათანადო ბარათებით.

32. ტყის მასალის გადაცემა მეიჯარეებზე სრულ მის განკარგულებაში დასაშვებია ან პირობის ძალით, ანუ იმ შემთხვევაში, თუ მთელი ღირებულება გადახდილია, ან და უზრუნველყოფილი იქნება სათანადოთ.

თავი მე-3
ტყით არა-პირდაპირი სარგებლობა

33. ტყით არა პირდაპირი სარგებლობას ეკუთვნის: საქონლის ძოვება, თიბვა, ნადირობა, თევზაობა ტყის ტბებში და მდინარეებში და სხვადასხვა ხის ნაყოფის შეგროვება და სატყეო ტერიტორიაზე თიხის, სილის და საშენი ქვის ამოღება-დამზადება.

34. საქონლის ძოვება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებში ნებადართული უნდა იქნას თანახმად მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის მიერ გამოცემულ ინსტრუქციისა, რითაც დაცული უნდა იქნას ყველა პირობები ტყეების ბუნებრივი აღმოცენის და მოზარდ ტყეების დაცვის უზრუნველსაყოფად.

35. ტყით არაპირდაპირ სარგებლობაზედ სატყეო განყოფილება ადგენს სათანადო ნიხრს, რომელიც მტკიცდება მიწ. მოქ. სახ. კომისარიატისაგან; დაკლებული ნიხრით და უფასოდ სარგებლობის უფლება ეძლევათ სატყეო კოდექსის 24—25 მუხლ. აღნიშნულ მცხოვრებთა კატეგორიებს.

36. სატყეო განყოფილებას ნება ეძლევა ტყეებში მდებარე უტყეო ნაკვეთები გადააქციოს სატყეო მეურნეობის და ტყის წარმოების საჭიროებისათვის, (სანერგეებათ, სამოსამსახურო ნაკვეთებათ, ხე-ტყის საწყობებათ, სატივეებათ და სხ.) ასეთი ადგილების ექსპლოატაცია ხდება განსაკუთრებული დებულებათა მიხედვით.

განყოფილება მე-4
განსაკუთრებულ დანიშნულების ტყეები

37. განსაკუთრებულ დანიშნულების ტყეებათ ირიცხებიან ის აგარაკები, რომლებიც გამოყოფილნი არიან საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეებიდან, სახელმწიფოს საგანგებო საჭიროებისათვის.

38. კერძოდ ამისთანა დღეებს ეკუთვნიან:

ა) დაცვითი ხასიათის ტყეები,

ბ) სამეცნიერო საცდელოთ ტყის აგარაკები და ბუნებით ძეგლები.

გ) სამთო-მადნო ტყეები,

დ) ქალაქების ტყეები,

ე) საკონცესიო ხელშეკრულებით გაცემული ტყეები.

39. სატყეო აგარაკები განსაკუთრებულ დანიშნულებისა ზემოდაღნიშნულ 38 მუხლში მოხსენებული მიზეზებისათვის, გადადიან სახელმწიფო დაწესებულებების, თუ წარმოების გამგებლობაში მიწ. მოქ. სახ. კომისარიატისაგან შემუშავებულ და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ საგანგებო დებულებათა ძალით.

40. განსაკუთრებულ დანიშნულების ტყეები გადაირიცხებიან უკანვე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეების ფონდში შემდეგ შემთხვევებში:

ა) ტყეების სარგებლობის ვადის გათავებისას და

ბ) როცა ამ ტყეებით არ საჭიროებენ დაწესებულებები თუ უწყებები.

41. დაცვითი ხასიათის ტყეებათ ითვლებიან ტყეები და ჩირგვნარები:

ა) რომლებიც იკავებენ ფხვიერ-სილიან ნიადაგს,

ბ) რომლებიც იცავენ მდინარეებს, ნაკადულებს და წყაროებს წყლის დაკლებისა და დაშრობისაგან.

გ) იცავენ მდინარეებს ნაპირების ნგრევისაგან,

დ) იმაგრებენ ზვავებს, მეწყერს და იცავენ ფერდობებს ნიადაგის ჩამორეცხისაგან და აკავებენ გამანადგურებელი ხევების გაჩენას.

ე) რომლებთაც აქვთ მნიშვნელობა, როგორც თოვლის შემკავებლებს და შამაგროვებლებს.

ვ) რომლებთაც აქვთ ჰიგიენური ან ესტეტიური მნიშვნელობა და აგრეთვე,

ზ) რომელთა დაცვა და შენახვა არსებული სახით და მდგომარეობით საჭიროა მეცნიერული თვალსაზრისით.

42. ტყის არეების დაცვითი ხასიათის ტყეებათ ცნობა და ამ ტყეების სარგებლობის წესი განისაზღვრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საგანგებო დებულებით, რომლებიც დამტკიცებულ უნდა იყოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

43. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო დაწესებულებების—კურორტების საჭიროებისათვის შესაძლებელია გამოიყოს ტყის არეები, რომლებთაც აქვთ ქალების „პარკების“ ხასიათი; ასეთი ტყეები გადადიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და ირიცხებიან დაცვითი ხასიათის ტყეებათ.

44. დაცვითი ხასიათის ტყეები კოდექსის 41 მუხლში აღნიშნული ვ. ზ. კატეგორიების შეიძლება გადაეცეს სხვა დაწესებულებებს თუ უწყებებს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ გამოცემულ საგანგებო პირობების თანახმად.

45. სამეცნიერო და სასწავლო-საცდელი სატყეო მიზნებისათვის სატყეო ტეხნიკური და უმაღლეს-სამეურნეო სასწავლებლებს შეიძლება მიეცეს მათ გამგებლობაში მათთვის საჭირო ტყის უბნები.

46 ტყის შემოსავალი სამეცნიერო-საცდელ-სატყეო აგარაკებიდან ირიცხება სპეციალურ თანხებში, რომლებიც გადადის სათანადო სასწავლებლის, ანუ დაწესებულების განკარგულებაში და იხარჯება სამეცნიერო-საცდელ საქმეების გასაფართოებლად და სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის, ხარჯაღრიცხვით და დადებულ წესის მიხედვით.

47. ქალაქებთან მდებარე ტყის ნაკვეთები შესაძლებელია ჩაირიცხოს ქალაქის ტყეებათ, და ამ შემთხვევაში შევლენ ქალაქის ფარგლებში საერთო წესით, ქალაქის მიწებთან ერთად.

48. ცნობა ამა თუ იმ სატყეო არისა ქალაქზე გადასაცემათ, სწყდება მიწათმოქმედების კომისარიატის სატყეო და ქალაქთა კომუნალურ განყოფილებების შეთანხმებით, რაც უნდა დამტკიცდეს მიწ. მოქ. სახ. კომისარიატისაგან.

49. ქალაქის ტყეები იმყოფებიან ქალაქის საბჭოების გამგებლობაში და შესაძლებელია ყველა ამ ტყეების, ან ნაწილის, გამოცხადება ქალაქის საბჭოს დადგენილებით ხელუხლებლათ.

50. მეურნეობა საქალაქო ტყეებში სწარმოებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და შინაგან საქმეთა კომისარიატის თანხმობით გამოცემულ ინსტრუქციის მიხედვით.

51. საკონცესიო ტყეებათ ცხადდებიან ის ტყის მოედნები, რომლებიც გადაცემული აქვთ კონცესიონერებს მერქნის საექსპლოატაციოთ თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან წარდგენილი სათანადო ხელშეკრულებისა.

52. რაიონები სატყეო კონცესიისა წესდება სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიწათმოქმედების სახ. კომისარის წარდგენით.

53. საკონცესიო სარგებლობისათვის გაცემული სატყეო სამეურნეო ერთეული რჩება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საერთო საადმინისტრაციო გამგებლობაში; კონცესიონერებს ეძლევათ უფლება თანახმად სამეურნეო გეგმით მიზომილ ტყის ნაკვეთზე მერქნის გამოყენებისა პირობის ვადის გათავებამდის.

54. საკონცესიო ხელშეკრულებაში უნდა იყოს გათვალისწინებული:

ა) მიჯნები საკონცესიო უბნებისა,

ბ) ვადა კონცესიისა,

გ) წესი საერთო და კერძო სამეურნეო გეგმის შედგენისა,

დ) წესი მოსაჭრელად დანიშნულ ტყის ნაკვეთების გამოყოფისა,

ე) რაოდენობა, წესი და ვადა ტყის ღირებულების გადასახადისა.

ვ) განსაკუთრებული შედეგები, რომლებიც იწვევენ კონცესიონერებთან დადებულ პირობების დარღვევას.

ზ) სხვა პირობები მომწესრიგებელნი საკონცესიო მოედნების სარგებლობისა.

55. ზედამხედველობა და კონტროლი, თუ როგორ ასრულებენ კონცესიონერები სატყეო სამეურნეო გეგმას, ეკისრება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებას საერთო წესით.

განყოფილება მე-5
ტყის არეების სხვაგვარ ადგილებათ გადაქცევა

56. გაწმენდა ტყისა ანუ ტყის არისა და გადაქცევა სხვაგვარ ადგილების სახელმწიფო და ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში, რომელთაც არ აქვთ დაცვითი ხასიათი, შეიძლება ნებადართული იყოს შემდეგ შემთხვევებში:

ა) სახელმწიფო საჭიროებისათვის, რკინის გზებისათვის, ჯარის სადგომის და სასროლისათვის, შენობებისათვის და სხვა ამის საჭიროებისათვის.

ბ) როცა სასოფლო-მეურნეობის კეთილ-მოწყობის აუცილებლობა იწვევს გაფართოვებას სამეურნეო ადგილებისას ტყის ხარჯზე.

გ) გადასახლების მიზნებით სათანადო კანონმდებლობის მიხედვით.

57. ტყის გაწმენდას და მათ გადაქცევას სხვაგვარ ადგილებათ ისეთ შემთხვევებში, რომლებიც აღნიშნულია კოდექსის 56 მუხლში, ნებას რთავს სატყეო განყოფილების მოხსენებით მიწ. მოქ. სახალხო კომისარიატი.

58. სატყეო არეების გადაცემა გასაწმენდათ ხდება მიწის მომწყობის წესის მიხედვით სათანადო აქტის შედგენით, რომლითაც ისაზღვრება ტყის მოჭრის ვადა, იმისდამიხედვით, თუ რა სივრცისაა გასაწმენდი არე და როგორი პირობებია ხე-ტყის გასასაღებლად.

59. ხე-ტყე იმ არეებზე, რომლებიც დანიშნულია გასაწმენდათ და სხვაგვარ ადგილებათ გადასაქცევათ, გაიცემა საერთო წესით.

განყოფილება მე-6
სახელმწიფო სატყეო ფონდის მმართველი ორგანოები

60. მთლიან სახელმწიფო სატყეო ფონდს განაგებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილება.

61. სახელმწიფო სატყეო ფონდი დაცვის და მართვა-გამგეობის, აგრეთვე ეკონომიური პირობების მიხედვით იყოფა სატყეოებათ, რაიონებათ და სადარაჯო უბნებათ. სატყეოებათ დაყოფას ამტკიცებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, რიცხვს სატყეო რაიონებისას და სადარაჯო უბნებისას და მათ მიჯნებს აწესებს სატყეო განყოფილება.

62. სატყეოებში მეურნეობის წარმოება და ტყეების მართვა დაკისრული აქვს ტყის გამგეებს, მათ კი დამხმარებლად ენიშნებათ თანაშემწენი, რომლებთაც ევალებათ სატყეოთა განსაკუთრებულ რაიონების მართვა-გამგეობა, ტყის გამგეთა ხელმძღვანელობით და კონტროლის ქვეშ.

63. სატყეოების რევიზიის გაკეთება, ტყის გამგეების შეთანხმებულ მუშაობის დამყარება და ხელმძღვანელობა ევალება სატყეო განყოფილებას.

64. ტყეების დასაცავათ და მოსავლელად უბნებში ინიშნება ტყის მცველები.

65. სატყეო განყოფილების კომპეტენცია, აგრეთვე უფლება და მოვალეობა ტყის გამგეთა, მათ თანაშემწეთა და ტყის მცველებისა განისაზღვრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სათანადო დებულებით.

განყოფილება მე-7
ტყეების დაცვა

66. რაიონის ტყის გამგეებს ევალებათ მოწესრიგება ტყეების დაცვის ცეცხლისაგან, თვითნებობით ტყის ჩეხვისაგან და ყოველგვარ ტყის დაზიანებისაგან და მასთან ყოველგვარ არა კანონიერ სარგებლობისაგან.

67. ტყის მცველებს, ტყის გამგის და მისი თანაშემწეების ხელმძღვანელობით ევალებათ დარაჯობა და თვალყურის დევნა მიჩენილ უბნებში ტყის მცველი თვალყურს ადევნებს ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ დაწესებულ გასაფრთხილებელ ზომების შესაფერად შესრულებას და ყოველივე ზომებს იღებს ტყეების სხვაგვარ დაზიანების წინააღმდეგ.

68. ტყის გამგეებს ევალებათ: ყური ადევნონ, რომ ადგილობრივ მნიშვნელობის და განსაკუთრებულ დანიშნულების ტყეებში დაცული იყოს ტყეების დაცვის ყველა წესები, რომ ტყის მოჭრის დროს ტყეები არ ნადგურდებოდნენ.

69. ტყის გამგენი, მათი თანაშემწენი და ტყის მცველნი ატარებენ სასროლ იარაღს და სარგებლობენ მილიციის უფლებებით ტყის თვითნებობით მომჭრელების დაკავება-გაჩხრეკის მოხდენის და უნებოთ მოჭრილ მასალის ჩამორთმევის, აგრეთვე მოქალაქეების ხანძრის ჩასაქრობლად გამოყვანის დროს.

70. ტყის გამგენი და მათი თანაშემწენი თვალყურს ადევნებენ, რომ სათანადოთ სრულდებოდეს წესები ნადირობაზე მათ სატყეოების ფარგლებში.

მუშათა ხმოვანება

მხურვალე სალამი ახალ საბჭოს

ჩვენი მუშური სალამი
ქალაქისა ახალ საბჭოს!
იმედი გვაქვს დიდი, სრული,
მუშათ უბნებს ის შეამკობს:
მოგვცემს წყალსა საკმარისად,
შეაკეთებს მუშათ სახლებს,
გაგვინათებს ბნელსა ქუჩებს
და ალაგმავს ბოროტ ჩარჩებს;
უზრუნველჰყოფს შრომის ხელფასს
და ბაზარსა ლაგამს ასდებს,
„როსკიპობა“—ლოთობასა
აღმოფხვრის და გააქარწყლებს;
ხელს შეუწყობს მუშათა კლუბს,
წიგნთ საცავებს გაამრავლებს,
აგვიშენებს სკოლებს—ბაღებს,
ჩვენ ბავშვებს შიგ მოათავსებს;
აღმშენებლობის ახალ ძალით
ქალაქს მორთავს, ააყვავებს,
წესრიგსა და სისუფთავეს
ის ყველგანა დაამყარებს;
მისცემს სალსარს, გაამრავლებს
ქალაქისა ბოსტან-ბაღებს,
წყალსადენის და „უქსი“-სა
„დიდ ნაკლებსა“ მოაგვარებს;
მილიციას „სიფხიზლესა“
აღუკვეთს და დაავალებს,
რომ აღმოფხვრას მან ქურდობა
და ებრძოლოს ბოროტ ძალებს.
ბურჟუებს და სპეკულიანტებს
ის ხელს აღარ დააფარებს,
მათ სახლებში, ქარხნის ახლო,
ჩვენ მუშებსა ჩაასახლებს.
გაუმარჯოს ახალ საბჭოს!
სალამი ჩვენ დეპუტატებს,
ვინც იცავენ მტკიცედ შრომას
და მუსრავენ არამზადებს!!!

ლითონის გედი.

გიგო ხიჩუაშვილის 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო

1903 წლიდან ვიცნობ ამხ. გიგო ხიჩუაშვილს. დიდხანს გვიმუშავნია ერთად ერთ ქარხანაში. რამდენიც დავუახლოვდი მას, იმდენი უკეთესი ადამიანობა დავინახე მე მასში. ამხ. გიგოსთვის სიტყვა და საქმე ერთია. კარგა ხანია, რაც ქალაქს გავშორდი და სოფლად დავიწყე მუშაობა-ცხოვრება, მაგრამ ერთი თვე რომ გავიდეს და გიგო არა ვნახო, გული არ მომითმენს. გიგო არის ღირსეული მუშა და ღირსეული მწერალიც. მუშამწერლის იუბილე ჩვენში პირველი მაგალითია. მისი იუბილე არის მშრომელი ხალხის იუბილე. გიგო არ სწერს იმიტომ, რომ დიდება და პატივი მოიხვეჭოს. გიგო დაუღალავი მუშაა და სწერს მუშა-ხალხისათვის. ამიტომ გიგოს ნაწერების გამოცემა ძვირფასი განძი იქნება მუშებისათვის. კარგი იქნება ეს გარემოება მხედველობაში იქონიოს სახელმწიფო გამომცემლობამ. მე არ მალაპარაკებს პირმოთნეობა, კალამიც ხელს ვერ მიწყობს გიგოს ნაწარმოები ღირსეულად შევაფასო, მაგრამ სიამოვნებით და სიხარულით ვეგებები მის იუბილეს და ამიტომ მეც მინდოდა ორიოდე სიტყვა გამომეთქვა ჩვენ გიგოზე.

გაუმარჯოს გიგო ხიჩუაშვილს!
გაუმარჯოს მის მუშურ მუზას!

ყოფილი ასოთ-ამწყობი შ. ქარხაულიძე.

ცეკავშირის ძეხვის ქარხანა

ცეკავშირი, უდიდესი საწარმოო დარგია, საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამას წინედ აღწერილი მქონდა ცეკავშირის სამაგალითოდ მოწყობილი სტამბა, ეხლა კი გავეცანი ვერის ხიდის მოედანზე ცეკავშირის ძეხვის ქარხანას. აქ მუშაობს ათი მუშა, ოთხი კანტ. მოხელე, ერთიც გამგე. ქარხანაში არის ხორცის საკეპი, საჭრელი, ამრევი, ძეხვის და „სოსისკის“ მანქანები, რომელთაც ამუშავებს პატარა დინამოს მსგავსი ნავთმოძრავი მანქანა. აქ ნახავთ უზარმაზარ გოდებს (ბოჭკებს) „დამარინებული“ ხორცით, არის ხორცის შესანახი საგანგებოთ მოწყობილი სარდაფი, ხორცის დასანაწილებელი, ქონის საჭრელი და სამანქანო განყოფილებები. მიღებულია რვა საათის სამუშაო დრო, დაცულია შრომის კოდექსის ყველა კანონები. მუშებს ეძლევათ ყოველ დღე უფასოდ საუზმე და თვეშიც ათ გირვანქამდე ძეხვი საჩუქრად. ჯამაგირს იღებენ მეოთხე სატარიფო ხარისხიდან მერვე ხარისხამდე. ზაფხულობით ორ თვეს ეს ქარხანა არ მუშაობს, მაგრამ მცირე შტატის შემცირებით მუშებს ჯამაგირიც ეძლევათ და ადგილიც ენახებათ.

მუშკორი ჩარხიშვილი ი.

კალმოსანი მუშა გიორგი ხიჩუაშვილის იუბილე.

იუბილეს უმართავენ მუშა მწერალს გიგო ხიჩუაშვილს. ვინ არის ამხ. გიგო? უბრალო გლეხის შვილი, ბატონის მონა-მორჩილისა. უსკოლოდ, უმასწავლებლოდ გამოზრდილი, უბრალო კაცი, რომელსაც თავის მეცადინეობით შეუსწავლია ანბანი და ახალგაზრდობიდანვე მიჰყოლია კალმოსნობას; ვაი-ვაგლახით ლუკმა-პურის ძიებაში შეუსწავლია ხელობა—„ასოთ-აწყობა“. რამდენადაც გიგო უბრალო მუშაა, იმდენად მისი 25 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის დღესასწაული გულწრფელია. 30 დეკემბრის ზეიმი საქართველოს მშრომელ ხალხის ზეიმია. გიგო მუშა-მშრომელია და მუშების წიაღიდან არის გამოსული იგი და ეს იუბილეც ჩვენი მუშების მწერლობის და საზოგადო რევოლიუციონურ მოღვაწეობის იუბილეა. გაუმარჯოს ჩვენი გიგოს მუშურ კალამს! გაუმარჯოს მშრომელ ხალხს და ყველა მის მესვეურებს!

მუშკორი შაქრო ნავთლუღელი.

თვითმშრომელთა კლუბში.

ამ ჟამად მუშებში თვითმოქმედებამ ძალიან იჩინა თავი. ზოგან ხელნაწერ ჟურნალებსაც სცემენ (მაგ. მუშფაკში) და ზოგან მუშურ საღამოებს აწყობენ.

ეს ყველაფერი იმას ამტკიცებს, რომ მუშური ენერგია თანდათან ყველაფერს იპყრობს, დაწყებული ბუნებიდან და გათავებული მეცნიერებამდე.

აქ ჩვენი მიზანია თვითმშრომელთა კლუბს შევეხოთ.

თვითმშრომელთა კლუბში ოც დეკემბერს საღამო გაიმართა თვით მუშების მიერ. საღამო იყო გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ გამართული.

მუშათა კლასი ეხმარება თავის თანამოძმეს გერმანიის პროლეტარიატს; იმისთვის არაფერს დაიშურებს ის.

წარმოდგენილი იყო ერთაწმინდელის პიესა „სიკვდილით დასჯა“. ეს პიესა დღევანდელ სცენისათვის არ არის დამზადებული. ის ვერ გვაძლევს უფრო ღრმათ მსოფლიო ომის სურათს და უფრო ნაციონალისტურ წუმპისაკენ იხრება.

ეს პიესა მუშების მიერ იქნა დადგმული და გვარიანადაც იყო შესრულებული.

ცოტას მოიკოჭლებდა თამაშში — დარაჯი, გოგია და ადიუტანტი. კარგად შეასრულა ლელიმ თავისი როლი, მაგრამ ეს ნაკლი კი არ არის მთავარი. მთელი საქმის დადებითი მხარე იმაშია, რომ დღეს პირველად გამოდიან მუშები სცენაზე აქტიორებად და ეს პირველი ნაბიჯები მეტად დამაკმაყოფილებელია.

საღამო დივერტისმენტით დამთავრდა. აქ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი რამ. მაგ. არ იყო გეგმიანობა და აქ, სცენაზე ადგილი ქონდა მასხარობასაც. გამოუშვეს (თუმცა პროგრამის გარეშე) ვილაც „არტისტი“, რომელმაც წარმოსთქვა სხვადასხვა კუპლეტები და ანეგდოტები.

საერთო საღამო დამაკმაყოფილებელი იყო.

მუშკორი მუშფაკელი.

ყურადღება უნდა მიექცეს.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

მუშკოპის № 2 პურის საცხობთან (მუხრანის ხიდის კუთხე) არის ერთი ძალიან დაბალი ადგილი. ამ ადგილის დაბალი მდებარეობის გამო იქ მიექანება თითქმის წვიმის დროს მახლობელ გარემოზე დამდგარი ღვარები. ამ ადგილზე არის გაკეთებული ძველი დროიდან, კანალიზაციის რამდენიმე მილები. უკანასკნელის საშუალებით აქ მოზღვავებული წყალი წინად უერთდებოდა მტკვარს. დღეს ამ კანალიზაციის არხებს არ აქვს სრულებით თავსახურავები. ეს კი ძალიან ცუდ მდგომარეობას ჰქმნის აქ. ამ ადგილებზე იყრება ნაგავი. ამის შემდეგ წყალს არხში გასავლელი გზა ეკეტება. წვიმის დროს დგება აქ ტბა, რომელიც შემდეგ გადადის იქვე არსებულ მუშკოპის № 2 პურის საცხობის ეზოში. აქედან წყალი ჩადის იატაკ ქვეშ, რომელიც გარდა იმისა, რომ ალპობს იატაკს, არხევს კიდეც მას ნავივით და ამზადებს საცხობის შენობის მთლად დანგრევას და თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, აღნიშნული საცხობი ერთ დღეს წაიქცევა.

საჭიროა ჩანგრეული და გაფუჭებული კანალიზაციის არხის სახურავები გაკეთებულ იქნეს დაუყოვნებლივ, რის შემდეგ ვერავინ შესძლებს არხში ნაგავის ჩაყრას და წყალიც თავისუფლათ წავა თავის ადგილზე. ეს ქალაქის აღმასკომის საქმეა და უკანასკნელმა დროის გადაუდებლად უნდა გააკეთოს ეს საქმე.

მუშკორი ძველთაგანი.

მუშები იცდიან

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სასაკლაოსკენ ტრამვაის მუშაობა უკვე დაიწყო, აქამდის დაიმედებული მუშები, მაინც ცუდ მდგომარეობას განიცდიან ამ მხრივ.

ისინი ასე ფიქრობდენ: აი გააკეთებენ გზას, ბილეთებს მოგვცემენ და არა გვიჭირს რა; ჩვენც საშუალება მოგვეცემა ფაბრიკა-ქარხნებში დაღლილ-დაქანცულებმა ტრამვაით ვისარგებლოთო. მაგრამ მოვსტყუვდით. ეს ტრამვაი ჩვენთვის არ არსებობს.

საჭიროა აღმასკომმა ამას მიაქციოს ყურადღება და შეძლებისდაგვარად ანგარიში გაუწიოს ჩვენი მუშების სურვილს. **მუშკორი მახს.**

მუშათა ქრონიკა

— **გაზ. „კომუნისტი“-ს მუშაკორესპონდენტები კისრულობენ გლეხობაზე შეფობას.** ჩვენი მუშკორების კრებამ, რომელიც შესდგა 23 დეკემბერს, ერთხმად დაადგინა მიიღოს თავის თავზე ტფილისის ახლო მდებარე რომელიმე სოფლის გლეხობაზე კულტურული შეფობა. მუშკორებს აქვთ განზრახული დროგამოშვებით საშეფო სოფელში გამართონ ექსკურსიები, დადგან ადგილობრივ წარმოდგენები, მოაწყონ საღამოები, კინო და მიაწოდონ თავიანთ მოძმეთ, გლეხებს, ჟურნალ-გაზეთები და მათ ბავშვებს სკოლის სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელო წიგნები.

— **ამავე კრებამ დაადგინა მიმართოს თავის ბიუროს საშუალებით** ადგილობრივ რედაქციათა მუშკორთა კორპორაციებს სათანადო მოწოდებით, რათა ისინიც გვერდში ამოუდგენ ჩვენ მუშკორებს ამ ძვირფას და დიდ საქმის მოსაგვარებლად.

— **რკინისგზელ უმუშევართა მოძრაობა.** რკინის გზის ბირჟაში 21 დეკემბერს ირიცხებოდა 1380 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 33 კაცი, სამუშაოზე გაიგზავნა 9 კაცი.

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** 21 დეკემბერს პლეხანოვის თეატრში ადგილობრივი დასის მიერ წარმოდგენილი იყო „ქოროღლი“. წარმოდგენას მუშები ბლომად დაესწრო. პიესა საუცხოვოდ ჩატარდა, რის გამო დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

— **ხელ-ახალი აღრიცხვა.** 20 დეკემბერს შრომის ბირჟაში ხელ-ახალ აღრიცხვაზე გამოცხადდა 316 უმუშევარი, აქედან აღრიცხვაზე დარჩენილ იქნენ 305 კაცი, ბოლო აღრიცხვიდან სრულებით მოიხსნა 11 კაცი.

ტროცკიმ არ უნდა გაუწიოს ნდაც არაპირდაპირი დახმარება ცას წინააღმდეგ გამოსულ ჯგუფებს, და არ უნდა მისცეს მათ საბაბი იმისათვის, რათა ხსენებული ფები თავის ფრაქციულ მუშაობაში დაეყრდნოს მის ავტორიტეტს.

12) ბაქოს ორგანიზაცია შემცდარად და პარტიისათვის საზიანოთ ის ამხანაგების აღნიშნულ ჯგუფების ხაზს და დარწმუნებულია, რომ პრეობრაჟენსკი, საპრონოვი და ები შეუწყვეტელ ბრძოლას ცეკას წინააღმდეგ, რომელი ბრძოლაც იწვევს პარტიის შიგნით ფრაქციების ჩენას. კონფერენცია ფიქრობს, მიუხედავათ ყოველგვარ უთანხმოებათა, ამხ. ტროცკი ძველებურად განაგრძობს მუშაობას პარტიის და სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებში. სავსებით უერთდება რა პეტროგრადის ორგანიზაციის წერილს რუსეთის კომპარტიის წევრებისადმი, ბაქოს ორგანიზაცია, როგორც ერთერთ ძველი ბოლშევიკური ორგანიზაციათაგანი, თავის მოვალეობად სთვლის კატეგორიულად განაცხადოს, რომ ეხლავე საჭიროა ბოლო მოეღოს ყოველგვარ ისეთს მუშაობას, რომელიც ასუსტებს პარტიის მთლიანობას და შემოკრებს ცეკას გარშემო ერთხმად მიღებულ შინა-პარტიულ დემოკრატიის საკითხის პრაქტიკულად ცხოვრებაში გასატარებლად. პარტია 25 წლის განმავლობაში იდგა და მომავალშიაც იდგომება ლენინიზმის დროშის ქვეშ.

სადგურის-იქათა რაიონის პარტიული კრების რეზოლუცია

ბაქო. 23 დეკემ. ბაქოს საერთო რაიონულმა პარტიულმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ და ამის გარშემო გამართული კამათი, სცნო, რომ პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლუცია სავსებით შეეფერება შინაპარტიული დემოკრატიის მოთხოვნებს და პირობებს. ამასთან ერთად კრება აუცილებლად სთვლის, რომ ეს რეზოლუცია ყოველმხრივ და დაწვრილებით იქნეს განხილული უჯრედების მიერ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად. სიტყვიდან საქმეზე, რეზოლუციიდან პრაქტიკულ ნაბიჯებზე გადასვლა— აი რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ გატარებულ იქნენ ცხოვრებაში ლა დასახული საარსებო ღონისძიებანი.

ქალაქის რაიონის უჯრედების საერთო—ჯგუფური კრების რეზოლუცია.

ბაქო. 23 დეკემ. კომპარტიის ბაქოს ორგანიზაციის ქალაქის რაიონის 30 უჯრედის საერთო—ჯგუფურმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება შინაპარტიული დემოკრატიის და პარტიის ამოცანების შესახებ, ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც იწონებს და ესალმება ცეკას პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლუციას შინაპარტიული დემოკრატიის და კომპარტიის ახალი ამოცანების შესახებ, უერთდება რ. კ. პ. პეტროგრადის ორგანიზაციის წერილს და აცხადებს: ძირს ყოველგვარი ჯგუფები და ფრაქციები, რომლებიც სახელს უტეხენ ლენინის ძველ ნაცად ხაზს და ტაქტიკას, რომელსაც ატარებს რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკა, სულ ერთია ვინც არ უნდა იყოს ამ ჯგუფების სათავეში. კრება ჰკიცხავს ყოველგვარ ცდას, რომელიც მიმართულია ახალგაზრდობის და ძველ რევოლიუციონერ ბოლშევიკების, არალეგალურ მუშაკების დაპირისპირებისაკენ და მოუწოდებს ყველას კიდევ უფრო მეტი მთლიანობისა და ენერგიულობისაკენ რ. კ. პ. ცეკას რეზოლიუციის ცხოვრებაში გასატარებლად. გაუმარჯოს კომპარტიის მთლიანობას! გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას.

ამხ. სერგო ვარდანაშვილი

გუშინწინ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხ. სერგო ვარდანაშვილი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ის თითქმის ბავშვი ეცნობა მუშათა რევოლუციონურ მოძრაობას.

დაიბადა ამხ. სერგო 1898 წელს ლანჩხუთში, ღარიბ ოჯახში.

1909 წელს მისი მამა ლუკა პურის საძებნათ გადასახლდა ბათომში. ჯერ თითქმის ბავშვს, 14 წლისას, ამხ. სერგოს მოუხდა მძიმე მუშაობისათვის ხელის მოკიდება, რომ მოხუც მამისათვის ოჯახის შენახვა გაეადვილებინა.

ომის დროს ის მუშაობს ბათომში ტროვის ქარხანაში, რომელიც სამხედრო მასალას ამზადებდა. აქ ის ცნობს ბათომის მოწინავე ძველ ებს და მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობას. მათი ზეგავლენით ეწაფება წიგნებს, კითხულობს გორკის, ელის და სხვა რევოლიუციონერების ბროშიურებს.

1916 წ. ის მობილიზაციით გაჰყავთ ნიკოლოზის ჯარში, მაგრამ თე რი ხანშურიდან ის ერთ თავის ამხანაგთან ერთად ახერხებს გამოქცევას.

თებერვლის რევოლიუციის ამბავს ის იგებს ლოგინში მწოლი, ავადმყოფი, ერთი თავისი მასწავლებელი ელი მუშისაგან.

1917 წლის აპრილში ამხ. სერგო ხელახლავ გაიწვიეს ჯარში და გაგზავნეს ქურთისტანში.

აქ, მორიგეობის დროს ის (შტაბში მწერალი იყო) იღებს ცნობას ოქტომბრის გადატრიალების შესახებ პეტროგრადსა და მოსკოვში.

ამის შემდეგ ის ბრუნდება ბათომში და შედის კომპარტიაში.

1918 წ. ამხ. სერგო მიემგზავრება ფოთში და დგება მეზღვაურად გემზე „ფლოფანი“. ცოტა ხნის შემდეგ მან დაანება თავი გემზე მუშაობას და დაბრუნდა ისევ ბათომში, სადაც იწყებს მუშაობას პროფკავშირებში. ინგლისელების მიერ პროფკავშირთა საბჭოს დატუსაღების და ბათომში მომუშავე ხელმძღვანელ კომუნისტების სტამბოლში გადასახლების შემდეგ ის მიემგზავრება (1920 წ. 10 მაისს) სოხუმში, სადაც ასრულებდა შრომის განყოფილების გამგის და სოხუმის აღმასკომის მდივნის მოვალეობას.

1921 წლის თებერვალში პარტიული მობილიზაციით ის გაწვეული იქმნა წითელ ჯარში და გაგრის აღების შემდეგ დაინიშნა გაგრის რევკომის მდივნად და კომპარტიის საორგანიზაციო ბიუროს წევრად.

1921 წლის მაისში ის დაბრუნდა ბათომში და გაიგზავნა ს. კ. პ. ც. კ. განკარგულებაში. ტფილისში ის ასრულებდა საქ. წითელი არმიის ინსტრუქტორის მოვალეობას. შემდეგ ის დაინიშნა ინსტრუქტორათ ბათომის გამაგრებულ რაიონში.

მძიმე შრომამ და რევოლიუციის პერიოდში სხვადასხვა ფრონტებზე გადატანილმა გაჭირვებამ, სრულიად მოშალა ამხ. სერგოს ისედაც სუსტი ორგანიზმი და ის უდროოთ გამოასალმა წუთისოფელს.

ამხანაგი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.
(24 დეკემბერი).

ჩერვონცები — — —	360,000
ინგ. სტერლინგ. ეფექტ.	358,000
ჩეკები —	346,000
დოლარები ეფექტ. —	81,500
ჩეკები —	77.000
ოსმ. ქაღ. ლირა	49.000
იტალიური ლირა	2525
ფრანგული ფრანკი	3800
საქ. ფულის ნიშნები	15

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—1750 ათ., პური 2 ხარ. 1500. ძროხის ხორცი—6.000 ათ. რის ხორცი—6500 ათ., შაქარი რაფინადი—18,200 ათასი, ფხვნილი შაქარი—11,550 ათ. ვერმიშელი— 50 ათ. ბრინჯი ალდ.—2800. ათ. კარტოფილი—500. ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—1850—2500. პური 2 —1500—2000. ძროხის ხორცი 5 ნახ. ცხვრის ხორცი 6—6 ნახ. შაქარი რაფინ.—19 მ., შაქარი ფხვნილი 12,500—14 მ., ვერმიშელი—5000 ბრინჯი ალდ.—3500 მ., კარტოფილი—700.

ნლის ბაზრის განწყობილება.

ხორბლეულის და შაქრის ბაზრებზე, აგრეთვე ტექნიკურ ცხიმებზე განწყობილება მტკიცეა. დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

ვალუტის ბაზრის განწყობილება

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

20 დეკემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 20 გარიგება, სულ 27482 მან. თანხისა, ხოლო 21 დეკემბერს—18 გარიგება 50,194 მანე

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება
(25 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით.	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	360.000,	60 კ.—	21.600.000
2 „—	720.000,	70 „—	25.200.000
3 „—	1.080.000,	80 „—	28 800.000
4 „—	1.440.000,	90 „—	32.400.000
5 „—	1.800.000,	1 მ.—	36.000.000
6 „—	2.160.000,	2 „—	72 000.000
7 „—	2 520.000,	3 „—	108.000.000
8 „—	2.880.000,	4 „—	144 000.000
9 „—	3.240.000,	5 „—	180.000.000
10 „—	3.600.000,	6 „—	216.000.000
20 „—	7.200.000,	7 „—	252.000.000
30 „—	10.800.000,	8 „—	288.000.000
40 „—	14.400.000,	9 „—	324.000.000
50 „—	18.000.000,	1 ჩერ.	360.000.000

ს. მ. უ. ს. ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოში.

ცენტრალური სავაჭრო სამმართველოს მოქმედება ნოემბრის თვის განმავლობაში, თვალსაჩინოდ გაფართოვდა.

ამ ჟამად ცენტ. სამმართველოს განკარგულებაში არის განყოფილებები შემდეგ ქალაქებში: მოსკოვში, ტაშკენტში, კავკაზში, ბაქოში, ბათომში, ქუთაისში, სოხუმში და ერევანში. გარდა უკვე არსებულ საწყობისა და 7 მაღაზიის, ამ დღეებში გაიხსნება კიდევ მერვე მაღაზია, რომელიც ივაჭრებს ს. მ. უ. ს. ტრესტების ნაწარმოებით და სხვა საქონლით.

ნოემბრის განმავლობაში საწყობებში შემოვიდა საქონელი სულ 12.199 მან. 8 კ. თანხისა, აქედან სამრეწველო ნედლეულით—64,6 პროც. და ტრესტების პროდუქცია—31,1 პროც.

საბაზო საწყობებიდან იმავე თვეში გაშვებულია საქონელი, სულ 77.107 მ. 89 კ. თანხისა. გაშვებულია უმთავრესათ რკინეულობა (25,7 პროც.), მერე ტყავეულობა (18,6 პროც.), სასურსათო საქონელი (13,5 პროც.) და სხვ.

წინა თვესთან შედარებით ნოემბერში შემოსულია ნაკლები საქონელი; გამოშვებულია ოქტომბერზე თუმცა ნაკლები, მაგრამ იანვარ—სექტემბრის საშუალო რაოდენობას მაინც აღემატება თითქმის ორჯერ.

რაც შეეხება მაღაზიებს, მათში შემოსული საქონელი ნოემბერში გამოიხატება რიცხვით—441 834 მან. 83 კ. ჩერვ; გაყიდულია მაღაზიებიდან—270.201 მან. საქონელი. მაღაზიებში შემოსული საქონელი წინა თვესთან შედარებით ცოტა ნაკლებია, რაც აიხსნება მით, რომ მაღაზიები საქონლით სავსებით მომარაგებული არიან.

გარდა სავაჭრო ოპერაციებისა, რომლებიც სწარმოებს საწყობებიდან და მაღაზიებიდან, ცენტრალური სავაჭრო სამმართველო აწარმოებს ოპერაციებს მათ გარეშე,—საწარმოვო ტრესტების ნედლეულით მომარაგების მიზნით. მიღებულია იმავე თვეს სხვადასხვა ტრესტებიდან (უმეტესი ნაწილი თამბაქოს ტრესტიდან) სულ 48640 მანეთისა, გაშვებულია— 49.335 მანეთის საქონელი. ოპერაციების საერთო ბრუნვა შედგება: საბაზო საწყობების—58 505 მან., მაღაზიების—279 474 მ. და ცალკე ოპერაციების—99.408 მან. მაშასადამე, მთელი ბრუნვა ნოემბერში უდრის 437.389 მანეთს.

საზოგ. „ბიანი“-ის აქციონერთა კრება.

საზ. „ბიანი“-ის აქციონერთა კრებაზე, რომელიც მოხდა ამ დღეებში, განხილულ იქნა საკითხი ძირტკბილას დამზადების შესახებ 1924 წელს. მოისმინა რა მოხსენება ამ საგანზე, კრებამ დაადგინა: დასამზადებელი გეგმა 1924 წლისთვის განისაზღვროს 500 000 ფუთით. ძირტკბილას დამზადება უნდა დაიწყოს მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ ოპერაციისთვის აღმოჩნდება საკმარისი თანხა. შეკრებილი ფონდი როგორც ფულით, ისე საქონლით, გადადის საზოგადოების გამგეობის განკარგულებაში. უკეთუ ძირტკბილას დამზადებას მოისურვებს სხვა ორგანიზაცია, საზოგადოებამ გაუწიოს მათ დახმარება კერძოთ მიეცეთ მათ მუშაობის უფლება საზოგადოების ქარხნებში.

საქართველოს ღვინის ტრესტში.

საქ. ღვინის ტრესტში ითვლება: 3 რექტიფიკაციული ქარხანა (№№ 1, 2 და 3) სპირტის საწყობებით, 2 არაყის გამოსახდელი ქარხანა—გომისა და აბასთუმანის (ზუგდიდის მაზრაში) და ქარხანა № 6, რომელიც შესდგება სამი წარმოებიდან—ლუდის ქარხანა, ყინულის დამმუშავებელი ქარხანა და ქიმიური ლაბორატორია.

ნოემბრის განმავლობაში ყველა ქარხნებში მუშაობა არ სწარმოებდა, მხოლოდ ტფილისის ქარხნებში სწარმოებდა კონიაკის და სპირტის ჩამოსხმა და პროდუქციის რეალიზაცია. აღნიშნულ თვეში ტრესტის სამმართველოში და ყველა ქარხნებში ირიცხებოდა 12 საწარმოვო მუშა, 44 არა საწარმოვო, მოსამსახურე—40, სულ 96 კაცი.

ტფილისის ქარხნებში ნოემბერში ჩამოსხმულია: არაყი—7300 გრადუსი, სპირტი—5291 გრად. აბასთუმანის ქარხანა უზრუნველყოფილია ნედლეულით მთელი სეზონით, გომის ქარხანა—2—3 თვით; რაც შეეხება დანარჩენ ქარხნებს,—ნედლეული სრულიად არ არის.

ვინაიდან ტრესტში დიდძალი პროდუქცია დამზადებულია, მყიდველები იღებენ საჭირო რაოდენობას დაუყოვნებლივ. ნოემბრის განმავლობაში სარეალიზაციოდ გამოშვებულია: კონიაკი—100 ვედრა, არაყი—90 ვ., სპირტი—530 ვ., ლუდი—69 ვ., ლიქიორები 6 ვ., ღირებულებით სულ 8194 მ. 52 კ.

საერთოთ ტრესტის ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის კარგი, რადგან პროდუქციის მოთხოვნილება სუსტია, რაც გამოწვეულია აქციზის მომატებით. მაგალითად, ნოემბერში სპირტის გასაღება, რაზედაც უმეტესად ემყარება ტრესტის ფინანსიური ძალა, აქციზის მომატების გამო, შემცირდა 35,3 პროცენტით.

ა. ქ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭოს შუამდგომლობა.

თანახმად აფხაზეთის ს. კ. საბჭოს შუამდგომლობისა განთავისუფლებულია სალიცენზიო გადასახადისაგან აფხაზეთიდან საზღვარგარეთ გასატანი სიმინდი.

ა. ქ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მონაწილეობა 1924 წლის ბაზრობაზე ლიონში.

კომისარიატის კოლეგიამ საჭიროდ სცნო მიიღოს მონაწილეობა ლიონის ბაზრობაში 1924 წელს.

ბაჟისაგან განთავისუფლება.

კოლეგიამ დაადგინა იშუამდგომლოს საკავშირო საგარეო ვაჭრ. კომისარიატის წინაშე, რათა კავშირის საჭიროებისათვის ზედმეტი აბრეშუმი (ნედლი) განთავისუფლებულ იქნეს საბაჟო გადასახადისაგან.

ფასების დაკლება.

შეუდგა რა თავისი დანიშნულების ასრულებას, ახალმა სავაჭრო ეკონომიურმა ორგანომ—ა. კ. შინაური ვაჭრობის კომისიამ სწრაფად და ენერგიულად მიჰყო ხელი ფასების დაკლების საკითხს. ამ მოქმედების ნაყოფიერ შედეგების საილუსტრაციოთ მოგვყავს რამდენიმე ცნობა იმ ზომების შესახებ, რომლებიც უკვე მიღებულია ფასების საკითხის მოსაგვარებლად. ნახიჩევანის ქვა-მარილის საბითუმო ფასი (ფუთში)—თვითღირებულების და სხვა დამატებებით (დაზღვევა, მოგება) უდრის 36 კაპ. ჩერ. სახელმწიფო დაწესებულებებისთვის და კოოპერატივებისათვის, ხოლო კერძო პირებისთვის—37 კაპ.

რაც შეეხება რკინისგზის ფრახტს, რაშიც შეტანილია ცვლილებები: მარილის დატვირთვის ფასი, რომელიც აქამდინ 4 კაპ. იყო, ეხლა შემცირებულია 0,5 კაპეიკამდე; სადგურის ხარჯები იყო 1,4 კაპ. ფუთზე, ეხლა დაწესებულია 0,75 კაპ. წონის ფასები დაკლებულია 0,25 კაპეიკამდე (იყო 0,5 კ); 2 პროცენტიანი გადასახადი სრულიად მოსპობილია. ამ სახით, თუ ფრახტის ფასს (ფუთზე) მივიღებთ საშუალოდ 30 კაპ., ტფილისში ფუთი მარილი ეღირება 65—66 კაპ. (იყო აქამდინ 85 კ), ე. ი. ფასი დაკლებულია 23 პროც.-ით.

დატვირთვის საკითხი უკვე მოწესრიგებულია: რკინისგზა გაურიგდა დამტვირთველთა „არტელ“-ს, რომ უკანასკნელმა აწარმოვოს ეს საქმე იმ პირობით-კი, რომ დატვირთვა ან გადმოტვირთვა დაჯდეს არა უმეტეს ერთი მეოთხედი ნახ. კაპ. ფუთზე. გაუწმენდავი ნავთის ფასი (ფრანკო-საწყობი) განსაზღვრულია 1 მან. 30 კაპ; საბითუმო ფასი ტფილისში 1 მ. 40 კ. იმავე ფასებში უნდა გაიყიდოს კერასინი ბათომში და სამტრედიაში, ფრანკო-ცისტერნა.

საწვრიმალოთ გაყიდვაში კეროსინის საბითუმო ფასს ედება კიდევ 16 პროც. (ე. ი. 22 კაპ.), ამიტომ ტფილისში ნავთი უნდა გაიყიდოს 1 მ. 52 კაპეიკათ. ეს უკანასკნელი ფასი დაწესებულია მხოლოდ ერთი თვით.

რაც შეეხება საფეიქრო სინდიკატის ნაწარმოებს, წინადადება მიეცა სინდიკატს, რათა წარმოადგინოს თავისი ფასები, მტკიცე ვალიუტაში (ჩერვონც.) იმ საქონელზე, რომელიც უფრო ესაჭიროება სასოფლო მოსახლეობას.

კოოპერაცია

(წერილი სამტრედიიდან)

კოოპერაციის ერთ ერთს მიზანს შეადგენს ფასების რაც შეიძლება დაწევა ამა თუ იმ საქონელზე, მაგრამ ამას კოოპერაცია ვერ ახერხებს და ზოგ საქონელზე, პირიქით, კოოპერატივებში მეტი ფასებია, ვიდრე კერძო ბაზარზე. ამ საკითხს გაკვრით შეეხო „კომუნისტ“-ში ამხ. კ. ორაგველიძე, და აღნიშნა, რომ გურიის ერთ-ერთ კოოპერატივში ასანთი იყიდება ორ კაპ. ნახევრად და სამ კაპეიკად, როდესაც ის ვაჭართან უფრო ნაკლებ იშოვებაო; ამხანაგი დაასკვნიდა, რომ საჭიროა უპირველესი მოთხოვნილების საგნები მაინც გლეხს მივაწოდოთ დაკლებულ ფასებშიო. კიდევ მოვიყვან ერთს მაგალითს. კოოპერაციაში ანგარიშები სწარმოებს ჩერვონცებით. ავიღოთ სამტრედიის „ეპო“. ცეკავშირი გვაძლევს საქონელს ნისიად და ფული კი კურსის მიხედვით შეგვაქვს მათ კასაში. „ეპოც“ რასაკვირველია ადებს ცოტა პროცენტს და ჰყიდის განყოფილებებში, ჩერვონეცი კი ყოველდღიურათ იწევს... ჩვენც უწევთ ფასებს... მაგრამ ვხედავთ, რომ ზოგი საქონელი ჩვენთან მეტი ფასობს, ბაზარზე კი იაფია... რაშია საქმე?.. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ჩერვონცით უნდა ჩავაბაროთ ანგარიში ცეკავშირს და თუ ჩერვონეცის კურსს არ მივსდიეთ, ისე წავაგებთ... მაგალითად მარილი ჩვენთან ღირს 4 კაპ. ჩერ. 1 გირვანქა. ბაზარზე კი მას იშოვი უფრო ნაკლებ ფასებში, ასე ასანთი და სხვ. ხშირი არის შემთხვევა, რომ ბაზარს უთანასწორებთ ფასებს, მაგრამ ვზარალობთ. გამოსავალი ჩემის აზრით ერთად ერთია: საჭიროა ცეკავშირმა საქონელი მისცეს „ეპოებს“ მტკიცე კურსით რამოდენიმე ხნის ვადით მაინც, რომ ყოველდღიურად არ გვიხდებოდეს ფასების აწევა საქონელზე... ამას გარდა საჭიროა ძირითადი თანხის შექმნა, „ეპოებს“ არ უხდებოდესთ საქონლის ნისიათ გამოტანა, არამედ ჰქონდეთ საშუალება ნაღდზე შეიძინონ იგი.

სამ. კიკაჩეიშვილი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი

მუშკოოპის მოქმედება

(ამხ. ერისთავის მოხსენება)

საბანკო განყოფილება.

ჩვენი მუშკოოპის საბანკო განყოფილება ერთად-ერთი ორგანიზაციაა მთელს საბჭოთა კავშირში. არსად სხვაგან კოოპერაციას საბანკო განყოფილება არა აქვს.

პროფკავშირებმა და დამზღვევმა კასამ ამ მხრივ ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწიეს.

ბანკის ორგანიზაციის პირველ ხანებში შეტანილი თანხა უდრიდა 5.100 მანეთს, პირველ აგვისტოსთვის კი—120 660 მან. პირველი ოქტომბრისათვის 156.397 მან. თანხა შემოიტანეს სამეურნეო ორგანოებმა, ბანკის საკუთარი კაპიტალი პირველად უდრიდა 3.413 მანეთს. პირველ აგვისტოსათვის 24,300 მან. ხოლო პირველ ოქტომბრისათვის 33 953 მანეთს. ბანკი სავსებით განმტკიცდა და თავის მოქმედებისათვის მტკიცე მატერიალური დასაყრდნობი შექმნა.

ფულის შენახვა.

მოკლე ხანში მუშკოოპი გამოუშვებს წვრილ მარკებს 5 კაპ., 10 კაპ. და 25 კაპ. ღირებულებისას.

წვრიმალ ფულის ასეთი შენახვით შეიძლება ხელფასის რეალურ ღირებულების შენარჩუნება, ამავე დროს კოოპერაციას შესაძლებლობა ეძლევა უფრო მეტად გააფართოვოს თავისი მოქმედება ამ შექმნილი წვრიმალი ფულის გამოყენებით.

საქ. პროფსაბჭოსთან არსდება შესანახი სალარო.

სესხით დახმარება მუშებს.

„წინასწარი გეგმის მიხედვით საქართველოში სესხი უნდა მისცემოდა 4.000 მუშას. სესხის მიცემის პრაქტიკული გატარება დაკისრებული ჰქონდა კოოპერაციას.

ბაზარზე ფასების მერყეობის გამო, კოოპერაციამ ბაზრის კრიზისის პერიოდში შეაჩერა კრედიტის მიცემა.

ამჟამად სალარიც არის და ფასებიც განმტკიცდა.

სესხის გაცემა უკვე დაიწყო.

წინად განზრახულ 4000 მუშის ნაცვლად, განზრახულია კრედიტი მიეცეს 13 000 მუშას.

წითელი ტრაქტირები.

წითელი ტრაქტირები ეს სავაჭრო და მოგების მომცემი დაწესებულება კი არ არის,—ისინი უმთავრესად კულტურულ დანიშნულებას ასრულებენ.

კოოპერაციას და კავშირებს სურთ საზოგადოებრივი კვების მოწყობით ჩამოაშორონ მუშები სამიკიტნოებს და ლოთობას. სამწუხაროდ აღმასკომი ამ საქმეში შეღავათიან პირობებს არ აძლევს კოოპერაციას.

პირველ ხანებში განზრახული იყო საჩვენებო ტრაქტირის გახსნა ვაკზალის რაიონში.

არსდება სააქციონერო საზოგადოება „გემოკვება“.

მუშკოოპის მოხსენება ცნობად იქნა მიღებული, ხოლო მუშაობის მოქმედების შეფასება გადაიდო ერკოოპის რევიზიის დასრულებამდე.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების საკლუბო მუშაობა

ყველა კლუბის დათვალიერებამ გამოაშკარავა საკლუბო საქმის ცუდი დაყენება. საკლუბო მუშაობის სისუსტის მიზეზი საკლუბო მუშაკების უყოლობის გარდა, არის აგრეთვე მეთოდიურ მითითებათა უქონლობა. საკლუბო მუშაობის შესუსტებას ხელი შეუწყო აგრეთვე კლუბების რიცხვობრივმა ზრდამ, რამაც კლუბების მოქმედების საზიანოდ იმოქმედა, რადგან ისედაც მცირე რიცხოვანი საკლუბო მუშაკების დაქსაქსვა გამოიწვია.

საანგარიშო პერიოდში საკლუბო მუშაობა თითქმის შეწყდა. საკლუბო მუშაობის გადასახალისებლად პროფსაბჭოს კულტ განყოფილებამ მოაწყო ყველა კულტგანყოფილების გამგეთა თათბირი, რომელზედაც გადაწყდა გატარებულიყო ყველა პატარა საქარხნო კლუბებში ნებაყოფლობითი წევრობა.

გადამუშავებული იქნა აგრეთვე პატარა კლუბების წესდება. ზოგიერთი კავშირი უკვე შეუდგა ნებაყოფლობითი წევრობის შემოღებას, საერთოდ, განზრახულია ნებაყოფლობით წევრობაზე გადასვლა წლის დამლევამდე დამთავრდეს.

ცენტრალური კლუბების მუშაობის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი.

ავლაბრის კლუბი.

ავლაბრის კლუბმა საანგარიშო პერიოდში გამართა რამოდენიმე წარმოდგენა და მოაწყო რამოდენიმე ლექცია. ყველაფერს ხელს უშლიდა საკლუბო შენობის სრული უვარგისობა, რომელიც საკლუბო საქმის გაუმჯობესებას შეუძლებელს ხდიდა. ხოლო კარგათ მოწყობილი კლუბის საჭიროება ქალაქის ცენტრიდან ძალზე დაშორებულს ავლაბრის რაიონში მეტად დიდია.

ავლაბარში დღემდე არ არსებობს ერთი რაიმე კულტურული ცენტრი.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა, რათაც არ უნდა დაჯდენოდა, შეექმნა ამ რაიონში კულტურული კერა. ამ მიზნით კულტგანყოფილებამ სთხოვა ს. მ. უ. ს. დაეთმო მას სარაიონო კლუბისათვის თამბაქო ქარხნის „მირი“-ს ყოფილი შენობა, ეს თხოვნა ს. მ. უ. ს-მა დააკმაყოფილა. ზოგიერთ კავშირის დახმარების შენობა საერთო ძალით საკლუბოთ გაწყობილ იქნა.

ს. ბ. ქ. საბჭოს კლუბი.

მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად, ზაფხულის დასაწყისშივე მოხერხდა საზაფხულო კლუბის გახსნა.

კლუბში იმართებოდა წარმოდგენები, საღამოები, ლექციები, კავშირთა იუბილეები, ეწყობოდა სეირნობა, კინო სურათები და სხვა.

კლუბში მავალთა რიცხვი სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო. უფრო ხშირად დაიარებოდენ საბჭოთა მოსამსახურენი.

კლუბის წევრთა რაოდენობა უდრიდა 1096 კაცს. აქედან ორ მესამედს შეადგენენ საბჭოთა მოსამსახურენი.

ეროვნების მიხედვით კლუბის წევრები შემდეგნაირად იყოფიან: სომეხი—460, ქართველი—98 რუსი—109.

ზაფხულის პერიოდში მუშაობდა და საკუთარი ძალებით აწყობდა წარმოდგენებს დრამატიული წრე, რომელიც 18 კაცისაგან შესდგება და აგრეთვე 36 კაცისაგან, შემდგარი მომღერალთა გუნდიც მართავდა კონცერტებს

საზაფხულო კლუბის შენობაში მოეწყო 23 ლექცია, 40 კინო სეანსი, 3 წარმოდგენა, 13 კონცერტი და ბალეტი. 19 საღამო, და 27 სიმფონიური კონცერტი.

ზაფხულშივე შეუდგენ საზამთრო შენობის შეკეთებას და გაფართოებას. კლუბების საზაფხულო და საზამთრო შენობათა შესაკეთებელ და მოსაწყობ ხარჯების დასაფარავად კლუბს გადაეცა კინო „მინიონი“, რომლის წმინდა შემოსავალი, 10 პროცენტის გამოკლებით, ხმარდება კლუბის საჭიროებას.

წესიერად მუშაობდა აგრეთვე პროფსაბჭოს კლუბის ბიბლიოთეკა, რომელიც გადაყვანილია ახალ (ათიან) სისტემაზე. ხელისმომწერთა რიცხვი 91 კაცით გადიდდა.

სექტემბრის დამლევს ხელისმომწერთა რიცხვი 513-ს უდრიდა. სულ გაცემულია 7.793 წიგნი.

სერიოზული ყურადღება ექცევა ახალი წიგნების შეძენას და ახალი კატალოგების შედგენას. სულ შეძენილია 175 ახალი წიგნი.

სრულიად საქართველოს მე 3 ყრილობისათვის ბიბლიოთეკამ მოაწყო პროფმოძრაობის შემდეგი წიგნების გამოფენა.

სრულიად დასაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა კლუბის სამკითხველოს მუშაობა. საანგარიშო პერიოდში სამკითხველოთი უსარგებლია 29 236 კაცს.

სავსებით ნორმალურ კალაპოტში ჩადგა მუშათა ცენტრალურ კლუბის მუშაობა.

ივნისში კლუბი გადავიდა საზაფხულო შენობაში. დიდი მუშაობა სწარმოებდა ბაღის მოსაწყობად, მცენარეების დასარგავად, საბავშვო თეატრის და მოედნის შესაკეთებლად და სხვა.

მუშათა ცენტრალური კლუბი.

მუშათა ცენტრალური კლუბი პირველი კლუბია ტფილისში და ემსახურება უმთავრესად მუშებს, მოსამსახურეებს და წითელარმიელთ.

კლუბში იმართებოდა ლექციები წარმოდგენები, კინო-სეანსები, კონცერტები, ბავშვთა ვარჯიშობანი და სხვა. ეწყობოდა კონცერტები სახელმწიფო ოპერის მსახიობთა და ორკესტრის მონაწილეობით. კონცერტებს წინ უძღოდა მოხსენებები საღამოს პროგრამის შინაარსის ასახსნელად და განსამარტავად, რაც პროგრამას ფართე მასისთვის გასაგებად ხდიდა. ამას გარდა მუშ. ცენ. კლუბის მუსიკალური სტუდია აწყობდა აღმოსავლეთის მუსიკის საღამოებს.

აგვისტოში კლუბს ჰყავდა 981 წევრი, ამ რიცხვიდან მუშა იყო 556, მოსამსახურე—425.

კლუბთან არსებობს მოზრდილი ბიბლიოთეკა, რომელსაც 7.052 წიგნი აქვს და 2.704 ხელის მომწერი ჰყავს. ხელისმომწერთა შორის 708 მუშა, 389 წითელარმიელი, ხოლო დანარჩენი მოსამსახურეები და მოწაფენი არიან.

სრულიად დამაკმაყოფილებლად მუშაობს სამკითხველოც, რომელიც კერძო საზოგადოებისთვისაც მისაწვდომია. სამკითხველოს მოსდის 27 ადგილობრივი და რუსეთის ჟურნალ-გაზეთი.

კლუბს გადაცემული აქვს კინო-„პალასი“, რომლის შემოსავალი იხარჯება კლუბის საგანმანათლებლო კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად.

ტფილისის საბჭოს არჩევნები

ახალი საბჭოს შემადგენლობა.

ტფილისის საბჭოს არჩევნები თითქმის დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

მთლად ტფილისის მაზრის დელეგატებთან ერთად არჩეულია 678 დეპუტატი. დეპუტატები ასე ნაწილდებიან: **სქესის მიხედვით:** ვაჟი—609, ქალი—69. **პარტიულობის მიხედვით** კომპარტიის წევრი—498, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრი 36, საბჭოთა პროგრამაზე მდგომი ყოფილი მენშევიკი—26, მემარცხენე ფედერალისტი—9, უპარტიო—109.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით: მუშა—270, მოსამსახურე—185, გლეხი—52,—სულ 507.

ჯერჯერობით გამოურკვეველია ტფილისის მე 4-ე რაიონის დეპუტატთა სოციალური მდგომარეობა.

ეროვნების მიხედვით: ქართველი—338, სომეხი—110, რუსი—161, თათარი—23, ებრაელი—10, ლიტველი—2, პოლონელი 3, ბერძენი—14, გერმანელი—3, ასირიელი—1, ოსი 2, ლატიში—1 და სხვა ეროვნებისა—21,—სულ 678 დეპუტატი.

არჩევნების შედეგები მე-4 რაიონში.

ტფილისის მე-4 რაიონის საარჩევნო კომისიას ჯერ არ დაუმთავრებია არჩევნების შედეგების საბოლოო გამორკვევა, რადგან საარჩევნო კომისიას არ მოსვლია ცნობები უმაღლეს სასწავლებლებში, ცალკე შოფერთა და ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კრებაზე მომხდარ არჩევნების შედეგების შესახებ. ზემო ჩამოთვლილ ამომრჩეველთა გამოკლებით ჯერ ჯერობით მე 4 ე რაიონში მომხდარ არჩევნების შედეგები ასეთია. არჩეულია სულ 171 დეპუტატი. ამ რიცხვიდან ვაჟი—150, ქალი—21.

პარტიულობის მიხედვით კომუნისტია—110, ახ. კომ. კავ. წევრი 8, ყოფილი მენშევიკი 11, მემარცხენე ფედერალისტი—8, უპარტიო—34.

ეროვნების მიხედვით ქართველი—104, სომეხი—34, რუსები—28. დეპუტატთა სოციალური მდგომარეობა ჯერჯერობით გამორკვეული არ არის.

არჩევნების შედეგები ტფილისის გარშემო მდებარე რაიონში.

ტფილისის გარშემო მდებარე რაიონში შედიან შემდეგი სოფლების საბჭოები: კოჯორის, წყნეთის, თელეთის, დიღომის [illegible] ები, რომელნიც ტფილისის აღმასკომს ექვემდებარებიან. ყველა ჩამოთვლილ სოფლებში არჩევნები უკვე დამთავრდა. არჩევნებზე გამოცხადდა გლეხობის დიდი უმრავლესობა, რომლისთვისაც გაკეთებულ იქნა მოხსენება საბჭოს წარსულ მუშაობის შესახებ.

მოხსენებათა წაკითხვის შემდეგ, ამომრჩევლებს აცნობდენ მომავალი მუშაობის გეგმას, რის შემდეგ ხდებოდა არჩევნები.

ზემო ჩამოთვლილი სოფლებში ტფილისის საბჭოში დასაგზავნად არჩეულია სულ 35 დელეგატი. აქედან ვაჟი—35 ია, ქალი—0; **პარტიულობის მიხედვით**—27 კომუნისტი, ახ. კომ. კავ. წევრი 1, უპარტიო—7.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით მუშა—19, მოსამსახურე—10, გლეხი—6.

მაზრის დელეგატები ტფილისის საბჭოში.

ტფილისის მაზრაში არჩევნები უკვე დასრულდა. არასოდეს ისე მწყობრად არ ჩაუვლია არჩევნებს, როგორც ამ ჟამად. შეიძლება ითქვას, რომ აბსენტეიზმს ადგილი არ ქონია. მოსახლეობა ხალისით და აქტივობით ეკიდებოდა არჩევნებს. დიდი გულისყურით იქნა მოსმენილი მოხსენებები ქალაქის საბჭოს წარსულ მოქმედებაზე. ამომრჩევლები აგრეთვე მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ „ნაკაზის“ განხილვაში.

ამომრჩევნებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 85 პროცენტი, რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ამ უკანასკნელ ხნის არჩევნების ისტორიაში.

სულ მაზრის დელეგატების რაოდენობა ტფილისის საბჭოში 129 კაცს უდრის. ამ რიცხვიდან ვაჟი 116 ია, ქალი 13.

პარტიულობის მიხედვით 97 კომუნისტია, 12 ახ. კომ. კავ. წევრი, ყოფილი მენშევიკი—1, მემარცხენე ფედერალისტი—1, უპარტიო—18.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით—50 მუშა, მოსამსახურე—54, გლეხი—25.

ეროვნების მიხედვით: ქართველი—71, სომეხი—18, რუსი—14, ხოლო თათარი 12.

ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში

პროფ. მუხაძის მოხსენება

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა მორიგ საზოგადო კრებაზე, მოხსენება გააკეთა ევროპიდან ამ დღეებში დაბრუნებულმა, სახ. უნივერსიტეტის პროფესორმა გ. მუხაძემ. მომხსენებელმა თავისი მოხსენება შემოფარგლა ვიწრო დარგით. სახელდობრ ის შეეხო ქირურგიის განვითარებას გერმანიის გამოჩენილ კლინიკებში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გერმანიაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობით გამოწვეულ მატერიალურ გაჭირვებას თავისი დაღი დაუსვამს როგორც საერთოთ საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის, ისე მეცნიერების და კერძოთ ქირურგიის განვითარებისათვის. თითქმის ყველა კლინიკებში ჩვეულებრივ ბანდის (бинт) მაგივრად, შესახვევ მასალათ ხმარობენ ლიგნინის ბანდს, რომელიც უფრო იაფი ჯდება და აგრეთვე ნახმარ ბანდების გარეცხვაც შემოღებულია, როგორც ჩვენში.

მიუხედავათ იმისა, რომ ავადმყოფთა დიდი უმრავლესობა დამზღვევ კასებს ეკუთვნის, ბევრ კლინიკებში ძალიან ბევრი საწოლებია თავისუფალი მატერიალურ საშუალებათა უქონლობის გამო. პროფესორ მუხაძეს 1 თვე გაუტარებია ქ. იენში, შემდეგ ყოფილა ჰალეში და ბოლოს ბერლინში. „იენში დიდი ქირურგიული კლინიკაა აგებული 250 საწოლით, ორტოპედიულ, უროლოგიურ, ფიზიო-თერაპევტიულ და რენტგენოლოგიური განყოფილებებით, იქვე აშენებულია მდიდარი ცეისის ქარხანა, რომელიც ამზადებს მიკროსკოპებს და სხვა საექიმო იარაღებს.

ჰალეში, აგრეთვე, კარგად მოწყობილი ქირურგიული კლინიკაა. იქ ერთ დროს მუშაობდა გამოჩენილი მეცნიერი ფოლკმანი. ამ კლინიკაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ფიზიო-ტერაპიას—მზით მკურნალობას. სხვათა შორის გერმანელ მეცნიერების აზრით საქართველოში უფრო კარგი პირობები ყოფილა ტუბერკულიოზის მზით მკურნალობისათვის.

შემდეგ პროფ. მუხაძე შეეხო ქირურგიულ მკურნალობის მეთოდებს და აღნიშნა, რომ ყოველ კლინიკაში თავისებური მეთოდებია, მაგ. ჭრილობის მოვლა, ნარკოზი, საოპერაციო არეს მომზადება და სხვა ყოველ კლინიკაში სხვადასხვა ნაირად სწარმოებს და არსად შაბლონი არ არის გაბატონებული“.

ყველგან დიდი ყურადღება აქვს მიქცეული რენტგენოლოგიურ კაბინეტებს.

განსაკუთრებით მომხსენებელი შეჩერდა გამოჩენილ დოსტაქარ კრაუზეს ოპერაციებზე. „კრაუზე უკვე ხანში შესული კაცია, მაგრამ ენერგიით სავსე. მისი ოპერაციებიდან მომხსენებელმა აღნიშნა თავის ტვინზე წარმოებული ოპერაციები, რომელთაც კრაუზე აკეთებს ადგილობრივი ანესტეზიით (უნარკოზოთ). ყველაზე შესანიშნავ მის ოპერაციათ ამ ჟამად ითვლება გასსერის კვანძის ამოკვეთა სამწვერა ნერვის ნევრალგიის დროს. პროფესორ კრაუზეს სულ 100 შემთხვევა ჰქონია ასეთი ოპერაციისა და დაუკარგავს მხოლოდ 11 ავადმყოფი. საერთოდ ამ ოპერაციას გერმანიაში ძალიან სერიოზულად სთვლიან და ურჩევენ ასეთ ოპერაციას ქირურგებმა მიმართონ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში“.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე გამოჩენილ ბირის კლინიკას. მან აღნიშნა, რომ ამ კლინიკაში ბევრი ახალი იდეები იბადება და სხვათა შორის იქ ამჟამად მუშავდება რამდენიმე ახალი საკითხი. პირველი საკითხი პერნიციოზულ ანემიის წამლობა—ქირურგიული ოპერაციის საშუალებით. ოპერაცია გამოიხატება ძვლის ტვინის ამოფხეკაში. გარდა ამისა ამ ავადმყოფობას მკურნალობენ აგრეთვე სისხლის გადასხმის საშუალებით. ამ მიზნით გერმანიაში გამოგონებულია შესაფერისი ხელსაწყო, რომელიც პროფ. მუხაძეს კიდეც შეუძენია. მეორე საკითხი—ძვლის რეგენერაცია გადარგვის შემდეგ. „უკანასკნელ ხანებში გერმანელ მეცნიერებს დამტკიცებულად მიაჩნიათ ის აზრი, რომ ძვლის რეგენერაცია ხდება ძვლის გარშემო მდებარე შემაერთებელ ქსოვილიდან. ბირის კლინიკაში ერთი კარლიკისათვის ძვლის გადარგვის საშუალებით დაუგრძელებიათ ქვეითა კიდურები 4 ნახ. სანტიმეტრით. (1917 წელს ასეთივე ოპერაცია გაუკეთებია თვით პროფ მუხაძეს ერთ დაჭრილ ჯარისკაცზე.) მომხსენებელი შეეხო სხვა მრავალ ახალ ოპერაციებსაც და ბოლოს შეჩერდა შტეინახის ოპერაციაზე. მომხსენებლის სიტყვით ამ ოპერაციას და გაახალგაზრდავების თეორიას გერმანიაში ჯერ-ჯერობით უარყოფითად უცქერიან იქაური ექიმები. თუმცა ერთ-ერთ გერმანელ ექიმს 100 შემთხვევა ჰქონია ამ ოპერაციისა, მაგრამ გერმანელი მეცნიერები მას ჯერ კიდევ რეკლამურ ხასიათს აძლევდენ და ურჩევენ თავი შეიკავონ ამ ოპერაციისაგან, ვინაიდან მას ხშირად შედეგად მოსდევს სიკვდილიანობა, ფსიხოზები და სხვა. არც ერთ კლინიკაში და დიდ საექიმო დაწესებულებებში ამ ოპერაციას არ მიმართავენ“.

მოხსენება ფრიად საინტერესო იყო და ხალხიც ბევრი დაესწრო. სხვათა შორის კრებაზე გამოცხადდა გერმანულ საელჩოს წარმომადგენელი, რომელიც საელჩოს სახელით მიესალმა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას.

დამსწრე.

მეცნიერება და ტექნიკა

თანამედროვე ავიაცია.

ავიაციის გამოყენების სფერო თანდათანობით ფართოვდება. ამ ჟამად მუშავდება საკითხი ჰაეროპლანების სანიტარულ მიზნებისათვის გამოყენების შესახებ, ე. ი. ავადმყოფობისა და დაჭრილების გადასაყვანად.

ყველასათვის ნათელია თუ რა უპირატესობა აქვს ჰაეროპლანს ამ საქმეში, რადგან სწრაფად შეუძლია გადაიყვანოს ავადმყოფი ერთი ადგილიდან მეორეში და ისე, რომ მას არავითარი ტკივილები არ მიაყენოს. ეს საკითხი არ არის: ის წამოყენებული იყო საფრანგეთში ჯერ კიდევ 1912 წ. ევროპის უკანასკნელი ომის დროს იყო შემთხვევები ჰაეროპლანის დაჭრილების გადასაყვანად გამოყენების. ასეთი შემთხვევები იყო საფრანგეთის არმიაში და სერბიის არმიაში უკანასკნელის უკან დახევის დროს. ომის შემდეგ საფრანგეთის კოლონიალური ჯარები სარგებლობდენ ჰაეროპლანებით დაჭრილების გადასაყვანად ევაკუაციის დროს და ამრიგად გადაყვანილი იქნა 2000 კაცამდი. ჯერჯერობით საფრანგეთის არმიაში სანიტარულ საქმისათვის არის 90 ჰაეროპლანი, რომლებიც განაწილებულია საფრანგეთსა, ალჟირსა, მაროკოსა, ტუნისსა და ლევანტს შორის. ეს ჰაეროპლანები ყველანი ლიმუზინის სისტემის არიან. დაჭრილების მოსათავსებლათ ამ ჰაეროპლანებზე გაკეთებულია პატარა სენაკი ორი საკაცურით. ამ სენაკში არის სკამი ხირურგისა ან სანიტარისათვის, წყლის ელექტრონით ასადუღებელი, და ყუთი მედიკამენტებით და შესახვევი საშუალებებით. ფრანგი ექიმი პიკე, რომელმაც ცალკე შრომა უძღვნა ჰაეროპლანების სანიტარული მიზნებისათვის გამოყენების საკითხს, საჭიროთ სთვლის ჰაეროპლანების გამოყენებას მშვიდობიან დროს საავადმყოფოებს შორის კავშირის მოსაწყობათ, უბედურ შემთხვევების დროს დახმარების აღმოსაჩენათ და სხვა.

ჰაეროპლანი ამფიბია.

ამფიბიები ეწოდება ისეთ ცხოველებს, რომლებიც წყალში ცხოვრებასაც არიან

გუებულნი და ხმელეთსაც. ჰაეროპლან—ამფიბიას შეუძლია აფრენა როგორც ხმელეთიდან, ისე წყალიდან. ამას წინად ასეთი ტიპის, იუნკერსის სისტემის, ჰაერო პლანზე მფრინავი ფრანგ მექანიკოს კოსცელნისთან (ორივე გერმანელებია) ერთად გადაფრინდა ნეაპოლიდან (იტალია) მადრიდში (ესპანეთი) მათ გაარეს 1700 ვერსი შემდეგი ხაზით: ნეაპოლი—კორსიკის (კუნძულია ხმელთა შუა ზღვაზე) სამხრეთ ნაპირები—ბალეარის კუნძულები (ესპანეთის ნაპირებთან ხმელთა შუა ზღვაზე)—მადრიდი.. ნეაპოლიდან გამოფრინდა 5 ნოემბერს, მადრიდში ჩავიდა 7 ნოემბერს,

სიმაღლის რეკორდი.

ფრანგი ავიატორი სადი ლეკოინტ თავის მაეროპლანით აფრინდა 11.145 მეტრის სიმაღლეზე. ამრიგად მან ახლა 400 მეტრით გადააჭარბა სიმაღლის თავისივე მსოფლიო რეკორდს. უკანასკნელი 400 მეტრის სიმაღლის აღება ყველაზე უფრო ძნელი იყო და თითქმის ერთი საათი მოითხოვა.

ეგ. ნინოშვილის ნაწერების გამოცემისათვის

მომავალი წლის მაისში გამოვა ეგნატე ნინოშვილის ნაწერების სრული კრებული, სათანადოთ დასურათებული. წიგნი გამოვა ერთ ტომად და დართული ექნება წერილები ამხ. ფ. მახარაძისა—„ეგნატე ნინოშვილი და მისი დრო“, რაჟ. კალაძისა—„ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფია“, ივ. გომართელისა—„ეგ. ნინოშვილის ლიტერატურული განხილვა“. წიგნს დაერთობა სიტყვარი პროვინციალური სიტყვებისა და სხვა.

ვთხოვთ ყველას, ვისაც კი რაიმე ცნობები, მიწერ-მოწერა, მოგონებანი, სურათები, თუ სხვა რამ მასალები მოეპოვება, მოგვაწოდონ სახელმწიფო გამომცემლობაში.

მასალები, გამოყენების შემდეგ, მადლობით დაუბრუნდება ყველას.

წიგნის დასასურათებლად ცხადდება შეჯიბრება. ამისათვის ვთხოვთ მხატვრებს, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ამ წიგნის დასურათებაში, მობრძანდნენ შაბათს, 29 დეკემბერს, ნაშუადღევს 1 საათზე, სახელმწიფო გამომცემლობის ბინაზე.

ეგ. ნინოშვილის თხზულებათა გამოცემის სარედაქციო კომისია.

საბჭოთა სასამართლოში

თენეიშვილის და სხვების საქმე

20, 21 და 22 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლო დაწვრილებით არჩევდა საქმის გარემოებას.

მთავარ ბრალდებულის ბიბილურის გამოუცხადებლობის გამო, სასამართლომ დაადგინა მისი საქმე გამოჰყოს, ხოლო დანარჩენ ბრალდებულების—ტენეიშვილის, ბადაიშვილის და გაბრიელოვის საქმე მოისმინოს.

სასამართლოს წინაშე წარსდგა 20-ზე მეტი მოწმე. პროკურორმა ვერ დაინახა ბრალდებულთა მოქმედებაში დანაშაულის ელემენტები და უარი განაცხადა ბრალდებაზე.

23 დეკ. დილის 4 ნახ. საათზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც სამივე ბრალდებულის ბრალდება დამტკიცებულად ჩასთვალა.

სასამართლომ დამტკიცებულად ჩასთვალა, რომ ბრალდებულებმა—შეადგინეს კომისია საგარეჯოს რაიონის მილიციის უფროსის ბიბილურის მიერ ჩადენილ დანაშაულის (დაპატიმრებულ ქალის გაუპატიურება) გამოსაძიებლად და ჯერ ერთი ცალმხრივად გააშუქეს საქმის ვითარება, ხოლო მეორეც—მიითვისეს საგამომძიებლო ხელისუფლების ფუნქციები დანაშაულის დაფარვის მიზნით.

გარდა ამისა დამტკიცებულად იქნა ცნობილი, რომ ბრალდებულებმა სრულიად უმიზეზოთ დააპატიმრეს ვითომდა ცილისწამებისათვის ადგილობრივ მილიციის თანამშრომლები—კვენცაძე, კოლაძე და ჯორბენაძე, რომლებიც ამჟღავნებდენ ბიბილურის დანაშაულს.

ამის გამო სასამართლომ მიუსაჯა ყველა ბრალდებულებს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ბრალდებულებმა პირველად ჩაიდინეს დანაშაული, რომ ისინი პროლეტარული შთამომავლობისანი არიან და აგრეთვე ის, რომ ყველა მათ და განსაკუთრებით თენეიშვილს მიუძღვით დამსახურება რევოლიუციის წინაშე, სასამართლომ შესაძლებლად ჩასთვალა პირობით დასტოვოს 3 თვით დაპატიმრება.

სხვათა შორის, სასამართლოს გამოძიების დროს გამოირკვა, რომ მოწმე ჯორბენაძე, რომელმაც ავადმყოფობის მოწმობა გამოუგზავნა სასამართლოს, დასეირნობს ტფილისში. სასამართლომ მიიღო ზომები მოწმის იძულებით მოსაყვანად. მოწმე მოიყვანეს სასამართლოში. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მას მართალია შეეძლო სასამართლოში გამოცხადება, მაგრამ შეგნებულად არ გამოცხადდა. სასამართლომ დაადგინა დააჯარიმოს ჯორბენაძე 3 ჩერვონცით და აღძრას სამოსამართლო კვლევაძიება იმ ექიმის წინააღმდეგ, რომელმაც მოწმობა მისცა მოქ. ჯორბენაძეს.

ქრონიკა

— **მისალმება კომპარტიის ტფილისის კომიტეტს.** ტფილისის კომიტეტმა შემდეგი მისალმების დეპეშა მიიღო: ჩვენ, ზემო-ავჭალის ჰიდროელექტრონის სადგურთან არსებულ პოლიტ-განათლების სკოლის კურსანტები, სკოლის საზეიმო გახსნის დღეს მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, როგორც მშრომელი მასების ჭეშმარიტ დამცველებს ცხოვრების ყველა დარგებში, მათ შორის მუშების და გლეხების პროლეტარულ-კულტურულ განვითარების და პოლიტიკური აღზრდის საქმეში. თქვენმა მზრუნველობამ მოაღწია ჩვენამდისაც და შესაძლებლობა მოგვცა ჩვენ შევიძინოთ აუცილებელი პოლიტიკური ცოდნა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პოლიტცოდნის შეძენის შემდეგ, უფრო შეგნებულათ და მტკიცედ შევძლებთ პოლიტცოდნის გავრცელებას მუშებში და მშრომელ გლეხობას შორის იმისათვის, რომ ამით დაუახლოვოთ ისინი სოციალურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს კომპარტიას, რომელიც სწორ პოლიტიკურ ხაზს უჩვენებს მშრომელ მასებს.

გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. ლენინს.

— **ქ. გორის აღდგენათ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ქ. გორის აღმდგენ კომიტეტს წარმოადგინოს ქ. გორის და მისი რაიონის აღსადგენათ საჭირო გეგმა.

— **საქ. სასურსათო კომისარიატის გაუქმება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გაუქმებული იქნას საქ. სასურსათო სახ. კომისარიატი, რომლის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს ორი კვირის განმავლობაში დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა მიწათმოქ. სახ. კომისარიატს სასოფლო-სამეურნეო იარაღები გადასცეს გლეხებს ნისიად ორი წლის ვადით.

— **თელავის მაზრის სახალხო კომიტეტების ყრილობა.** თელავის მაზრის სასოფლო და სათემო გლეხთა კომიტეტების ყრილობა დანიშნულია 8 იანვარს.

— **სამკურნალო დახმარება.** სამკურნალო დახმარების ქვე-განყოფილების ცნობით ნოემბრის განმავლობაში დაზღვეულთა სამკურნალო დასახმარებლათ დახარჯულია 331 მილიარდი, 489 მილიონი და 500 ათასი მან.

— **წითელი მოედნები.** ინვალიდთა არტელმა „განთიადი“ გადასწყვიტა მოაწყოს წითელი მოედნები: 2—კახეთის მოედანზე, 1—რიყეზე და 1—ორთაჭალაში სპეციალურად ბორჩალოს მაზრის მაჭმადიანებისათვის.

— **ჰაეროპლანით ფრენა გარეშე პირთათვის.** კვირას 23 დეკ. ა—კ. საფინანსო საზოგადოებამ მეორედ მოაწყო ჰაეროპლანებით ფრენა გარეშე პირთათვის. ჰაეროპლანი ამ დღეს აფრინდა 6-ჯერ და აიყვანა 23 მგზავრი.

— **ავადმყოფ დაზღვეულების გაგზავნა საზამთრო აგარაკებზე.** დამზღვევი კასა, 27 დეკემბერს სოხუმში საექიმოთ აგზავნის პირველ ჯგუფს დაზღვეულ ავადმყოფებისას, რიცხვით 15 კაცს.

— **რენტგენის სხივებით აქიმობა.** ნოემბრის განმავლობაში კამოს სახელობის საავადმყოფოში 33 დაზღვეულ ავადმყოფს უაქიმეს რენტგენის სხივების საშუალებით.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 22 დეკ. ტფ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 15 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 29 კაცი, მოთხოვნილება იყო 71, სამუშაოზე გაიგზავნა 67, აქედან 27 მამაკაცი და 40 ქალი.

შემთხვევები.

— **მძარცველები.** 21 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, მოქ. სარქის ალანჯიანცს (მცხ. აგურის შესახვევი № 11) თავს დაესხნენ 5 შეიარაღებული უცნობი პირნი, რომლებიც სახლში შევიდნენ საგანგებო კომისიის თანამშრომლების სახელით. ჩხრეკის დროს წაიღეს 150 ჩერვონეცის ნივთები. წასვლის წინ მძარცველებმა ასტეხეს სროლა. მიღებულია ზომები მათ შესაპყრობათ.

— **ქურდობა.** 20 დეკემბერს, გაქურდეს მოქ. ფედოსი სპირ. ასული კილასონიას ბინა (სასამართლოს ქ. № 33) წაღებულია 4 მილიარდის ტანისამოსი და ნივთები.

— **მოწამლული ქალის პოვნა.** 21 დეკემბერს, საღამოს 12 საათზე ჩერქეზოვის ქ № 44 ქუჩაში იპოვეს მოწამლული ქალი, რომლის ვინაობა ჯერ არ არის გამორკვეული. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **დაჭრა.** 21 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მოქ. ვასილ პაიჭაძემ (მცხ. მალაკნის ქ. № 27) რევოლვერით თავი დაიჭრა სასიკვდილოთ. თვითმკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

— **ცეცხლი.** როზოვის ქუჩაზედ, სახლს № 1, დილის 7 საათზედ მოეკიდა ცეცხლი, რომელიც იქნა ჩაქრობილი ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ.

— **მგზავრების გაძარცვა.** 15 დეკემბერს ღამით ტფილისიდან მომავალ მგზავრებს სოც. საგარეჯოს მცხოვრებლებს გიორგი აზარიაშვილს, ნიკა ქურთიშვილს და სხვებს თავს დაესხნენ ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და გაძარცვეს. ერთი ბოროტმოქმედთაგანი დათა სანდროს ძე ოქროაშვილი შეიპყრეს. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქურდი ქმარი.** 18 დეკემბერს გაქურდულ იქნა მოქ. ფერიაშვილის ბინა (კაბგეროვის ქ. № 16 მე-7 უბანი), საიდანაც წაღებულია რამოდენიმე მილიარდის ნივთები. სახლის პატრონის ცოლი ქურდობას აბრალებს თავის ქმარს.

ხელოვნება

— **კონცერტი რადიო-ტელეფონით.** კვირას თბილისის რადიო-სადგურზე მოწვეული იყვნენ მოსკოვში კონცერტის მოსასმენათ სახალხო კავშირის და რადიო-განყოფილების თანამშრომელნი. კონცერტი გაიმართა კომინტერნის სახელობის რადიო-სადგურში, მოსკოვში. სრულიათ ნათლათ და გარკვევით ისმოდა სხვა და სხვა მუსიკალური ნომრები, რომელსაც ასრულებდენ პიანისტები და სკრიპკის დამკვრელნი. შემდეგი კონცერტი დანიშნულია 30 დეკემბრისათვის. 31 დეკემბერს 16 დან 17 საათამდი (4—5), ტფილისის დროით, ესპერანტისტების ცენტრ. კომიტეტი გააკეთებს მოხსენებას რადიო-ტელეფონით ესპერანტოს ენაზე, საბჭოთა კავშირის ფინანსიური მდგომარეობის და ეკონომიური წინსვლის შესახებ. მოხსენების მოსასმენათ იწვევენ ადგილობრივ ესპერანტისტებს. მოხსენება გაკეთებული იქნება მოსკოვში კომინტერნის სახელობის რადიო-სადგურში და მას მიიღებენ ნავთლუღის რადიოსადგურზე.

— „**ყაჩაღები**“. ხუთშაბათს, 27 დეკემბერს, რუსთაველის თეატრში ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ამ სეზონში „ყაჩაღები“.

— **ქართული თეატრის ოფიციალური დღესასწაული.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: 2 იანვარი გამოცხადებული იქნას ქართული თეატრის ოფიციალურ დღესასწაულად.

— **არტურ ლეისტის ავადმყოფობა.** გერმანელი მწერალი და საქართველოს მეგობარი არტურ ლეისტი ამჟამად მძიმე ავად იმყოფება.

— **სახალხო სიმღერების კონცერტი.** იანვრის პირველ რიცხვებში ტფილისში გაიმართება ხალხური სიმღერების კონცერტი ძუკუ ლოლუას ლოტბაროზით.

პროლეტ-მწერალთა ანთოლოგია. იანვრის პირველ რიცხვებში გამოვა პროლეტარულ მწერალთა ანთოლოგია.

— **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ავადმყოფობა.** მწერალი ქალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი ამჟამად ავად არის ფილტვების ანთებით და მოთავსებულია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

დღეს თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა.** „დაისი“ მესამედ.

— **რუსთველის თეატრი.** „გაყრა“

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

ბორჯომი

გასულ ზამთრის სეზონში არსებობდა ქ. ბორჯომში ოთხი სცენის მოყვარეთა კოლექტივები: ქართული, რუსული, სომხური და ბერძნული. თუმცა ცოტას მოისუსტებდენ კარგი ხელმძღვანელობის უყოლობის გამო, მაგრამ მაინც არსებობდნენ და ეწეოდნენ მუშაობას მთელ სეზონის განმავლობაში და შექონდათ ფართე საზოგადოებაში ერთგვარი კულტურა. ქართულმა კოლექტივმა წარსულ ზამთრის სეზონში დიდი უნარი გამოიჩინა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა. არც ამ კოლექტივს ჰყოლია ხელმძღვანელი, თუმცა დღიდან არსებობისა, კოლექტივის გამგეობა ეძებს ხელმძღვანელს და ვერ უშოვნია. ეს კულტურული ჯგუფი არ უშინდებიან ხელმძღვანელობის უყოლობას და ენერგიულად ეწეოდა თავის მოვალეობის ასრულებას. დღეს კი არც-ერთი კოლექტივი არ მუშაობს და არც აპირებენ მუშაობას. რაშია საქმე? კითხულობს საზოგადოება. პირველი, რომ ქარ. კოლექტივს არა ყავს ხელმძღვანელი და თუ ხელმძღვანელი არ ეყოლება, ის მუშაობის დაწყებას არ აპირებს, მეორეც ის, რომ პოლიტ-განათლების განყოფილება ადებს გამართულ წარმოდგენებს დიდ პროცენტებს. მაგალითად: თეატრის ქირა 30 პროცენტი, აღმასკომის 10—15 პროცენტი უნდა მისცეს კოლექტივმა. კოლექტივს წარმოდგენის დროს ბევრი ხარჯი აქვს, პოლიტ-განათლებამ ამას უნდა გაუწიოს ანგარიში და ხელი შეუწყოს კოლექტივების მუშაობას.

რა ხდება ბორჯომის მუშა-მოსამსახურებს შორის? წარმოდგენებს არ ესწრებიან, რადგან ასეთები არ იმართება და გასართობს რომ ვერ პოულობენ, ბევრი მათგანი ხშირად ღვინის სარდაფებში ატარებენ დროს. საჭიროა ზომები იქნას მიღებული ლოთობის წინაამდეგ. ამასთან, ვიმეორებთ, საჭიროა კულტურული მუშაობის გაჩაღება, კერძოდ წარმოდგენების მოწყობა.

ტყის-პირელი.

ლანჩხუთის სახალხო სახლისთვის

რევოლიუციამ პოლიტიკურ განთავისუფლებასთან ერთად ფართე ასპარეზი გაუხსნა ხალხის მისწრაფებას სინათლისაკენ, განათლებისაკენ. ხალხის მასა არ კმაყოფილდება იმით, რომ ყველა სოფლებში იხსნება სკოლები, არსდება სხვადასხვა კურსები. თავისი თვითმოქმედების საფუძველზე ის სცდილობს უფრო გააღრმავოს და წინ წასწიოს კულტურისა და განათლების საქმე.

ხალხი აარსებს ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, სახალხო სახლებს. მრავალი წლის მონობის შემდეგ ის ხარბად ეწაფება კულტურის წყაროს.

საქართველოში, კერძოდ კი გურიაში, არ მოიპოვება ერთი ოდნავ მნიშვნელოვანი ცენტრი, სადაც არ იყოს დაწყებული მუშაობა სახალხო სახლის ასაშენებლათ. სახალხო სახლები მშრომელი ხალხის ახალი ტაძარია. აქ უყრის ის თავს ყველაფერს, რაც ძვირფასია მისი გულისთვის: თეატრს, კლუბს, სამკითხველოს, კოოპერატივს და სხვა. ასეთი სახალხო სახლის აშენება დაიწყო აგერ მესამე წელიწადია ლანჩხუთში. მშრომელი ხალხი მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ უაღრესად კულტურული საქმის ღირსეულად დასამთავრებლათ; ზოგი პირადი შრომით, ზოგი კი თავისი წვლილის გაღებით.

ლანჩხუთს გარეთ მცხოვრებ ლანჩხუთელ მოქალაქეთა ვალია გვერდში ამოუდგენ თავის თანამოქალაქეებს და დაეხმარონ დაწყებული საქმის დაგვირგვინებაში.

ლანჩხუთის რაიპარტკომმა და აღმასკომმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ლანჩხუთის სახალხო სახლის აშენებას, დაავალა მოქ. პაჭუ ჟორდანიას შემოწირულებათა შეკრება ტფილისში. ლანჩხუთის რაიპარტკომი და აღმასკომი კერძოდ ლანჩხუთელ მოქალაქეებს და ამხანაგებს მოუწოდებენ გაიღონ თავისი წვლილი ამ კულტურული საქმისათვის და თავის მხრივ მოუწოდებს სხვებსაც ამისაკენ.

შემოწირულებები მიიღება ყოველდღე რუსთველის თეატრში პაჭუ ჟორდანიასთან.

პ. ყ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 117

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სასურსათო სახალხო კომისარიატის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი გაუქმებულ იქნეს.
2. სასურსათო სახალხო კომისარიატის ლიკვიდაცია დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას. ლიკვიდაცია დამთავრებულ იქნას ორი კვირის ვადაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. დეკემბრ. 24.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **ს. კ. პ. ტ. კ. ქალაქის რაიკომი** წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, რომელთაც არა აქვთ ერთიანი პარტბილეთი და აგრეთვე ყველა კანდიდატებს, რომელთაც არა აქვთ კანდიდატობის ბარათები, გამოცხადდნენ რაიკომის საღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილებაში, რეგისტრაციაში გასატარებლად 25 დეკემბრიდან 29 დეკემბრამდე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— **ს. კ. პ. (ბ.) ტფ. კომიტეტი** წინადადებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ტფ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში:

ს. მელქუმოვი, მ. რეშენიუკი, ფ. შიროკოვი, გ. საათსაზოვი, ვ. გარნევი, ვ. დუმბაძე, პ. ზარუჩენკოვი, გ. ეჯუბოვი, გ. სერგეევი, ა. კახიშვილი, ნ. მატევოსიანი, კ. ავეტკოვი, დ. რასულ-ზადე, ა. ტატიანი, ლ. კაკოიანი.

ტფ. კომიტეტის მდივანი რუბენი.
ტფ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე
ტერ-კარაპეტოვი.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— ოთხშაბათს, 26 დეკემბერს, საღ. 7 საათზე საბუნებისმეტყველო წრეში სომხურ ენაზე ტუროზიანის მოხსენება: ექსკურსიები ბუნებისმეტყველებაში და მათი მნიშვნელობა შრომის სკოლებში.

— ხუთშაბათს, 27 დეკემბერს საღ. 7 ნახ. საათზე, დანიშნულია ფიზკულტურის წრის საზოგადო კრება.

— ხუთშაბათს, 27 დეკემბერს საღ. 6 საათზე, სკოლებთან არსებულ საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა საუბარი—თემა: ცოცხალი კუთხეების ორგანიზაცია სკოლებთან არსებულ საბავშვო ბაღებში.

— პარასკევს, 28 დეკემბერს, საღ. 6 საათ., მოხსენება ქართული ენის სწავლების შესახებ არა ქართულ სკოლაში.

სახლის გამგე შიუკაშვილი.

მეუღლე ოლია, მეგობრები და ამხანაგები დიმიტრი გოჩალეიშვილი, გრამიტონ სვანიძე, პარმენ ნოდია და ევგენი სიხარულიძე აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავთ

სერგო პეტრეს-ძე ვარდანაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ხვალ, 26 დეკემბერს ძმათა სასაფლაოზე, ცხედრის გამოსვენება 4 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. უ. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მარიამ ზაქარიას ასული თამარა და ნინა ილიას ასული და ვანო ალექსანდრეს-ძე ამილახვრები, აუწყებენ მეგობართ და ნათესავთ, პირველის საყვარელი მეუღლის მეორესი და მესამესი დაუვიწყარი მამის და მეოთხესი ძმის,

ილია (ილიკო) ალექსანდრეს-ძე ამილახვარის

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს 26 დეკემბერს წმ ნინოს ეკლესიაზე დილის 10 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე. 313 1—1

რუსთველის
თეატრი
ქართ. აკად. დრამა
ნის. 806—3—1

ხუთშაბათს, 27 დეკემბერს
პრემიერა **ყაჩაღები**
შაბათს, 29 დეკემბერს
პროფკავშირების წევრთათვის
გმირი
კვირას, 30 დეკემბერს
ყაჩაღები

სახელმწიფო
ოპერა

დღეს, 25 და 27 დეკემბერს
დაისი
28 დეკემბერს
აიდა
ნის. 807—2—1

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატი
ამით აცხადებს, რომ კვირას, 30 დეკემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო სიტყვიერი შეჯიბრება

კომისარიატის საბავშვო დაწესებულებათათვის ტფილისში და კოჯორში 1924 წლ. 1 იანვრიდან 1925 წლ. 1 იანვრამდე **პურის გამოცხობაზე, ხორცის და მწვანეულობის მოწოდებაზე.** შეჯიბრება საჯაროა და მოხდება სახალხო კომისარიატის შენობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5 ოთახი № 25. წინასწარ პირობების გაგება შეიძლება განმანაწილებელ განყოფილებაში, ოთახი № 25, ყოველდღე დილის 12 საათიდან 3 საათამდე.
312—2—1 განათლების კომისარიატი.

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომ. იწვევს მსურველთ მონაწილეობა მიიღონ წერილობით საჯარო შეჯიბრებაში, რომელიც დანიშნულია 1924 წლის 4 იანვრისათვის შუადღის 12 საათზე ჯან. სახალ. კომის. საფინანსო-სამეურნეო განყოფილების შენობაში (საპირის ქ. № 30). შეჯიბრებაში მონაწილეთ ევალებათ ჯან. სახ. კ-ტის საავადმყოფოსთვის კარგად ნაკვები

ძროხის ხორცის

მიწოდება 13—14 ფუთი ყოველდღიურად 4 თვის განმავლობაში 1924 წლის 4 იანვრიდან ამავე წლის 4 მაისამდე. განცხადებები შეტანილ უნდა იქნას დაბეჭდილი კონვერტებით ჯანმრთ. სახ. კომ. საფინ. სამეურნეო განყოფილებაში. განცხადებებში აღნიშნული უნდა იქნეს ფუთი ხორცის ფასი ჩერვონეცის მანეთებით და თან უნდა ახლდეს ქვითარი ხაზინაში შეტანილ საწინდარისა, რომლის რაოდენობა უნდა უდრიდეს პირობაში აღნიშნულ თანხის 10 პროცენტს ან ნოტარიუსის მოწმობა დაწინდრებულ ქონების შესახებ. სავაჭრო შეჯიბრების დროს ჯან. სახ. კომ. იხელმძღვანელებს არა მარტო პირობაში აღნიშნულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებითაც, რომელიც უფრო ხელსაყრელი გახდება ჯან. სახ. კომისარ. ინტერესებისათვის. ამას გარდა ჯან. სახ. კომ. იტოვებს უფლებას 4 იანვარს პირველ საათზე მოახდინოს ზეპირი შეჯიბრებაც. დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება ყოველდღიურად ჯან. სახ. კომ. საფინანსო-სამეურნეო განყოფილებაში დღის პირველ საათიდან 3 საათამდე. ნის. 801 3—2

ამინდი ამიერკავკასიაში

23 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსიით): სოხუმში... 12 გრ., ფოთში... 10 გრ., ბათომში... 10 გრ., სამტრედიაში.... 9 გრ., აჯამეთში... 7 გრ., ქიათურაში 8 გრ., მუხრანში... 5 გრ., მუკუზანში.... 8 გრ., ბორჯომში... 1 გრ., სურამში... 0 გრ., ტფილისში.... 3 გრ., ერევანში.... 4 გრ., ბაქოში... 20 გრ., (ქუთაისიდან და წიფიდან ცნობები არ არის).

ღრუბლიანობა: ბათომში—სულ მოწმენდილია; ფოთში,—საგრძნობი, ერევანში, ბორჯომში და მუხრანში—სრული. დანარჩენ ადგილებში—უმნიშვნელო.

ქარის ქროლა: ფოთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი; აჯამეთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ძლიერი, ბაქოში სამხრეთ დასავლეთის, ნელი. დანარჩენ ადგილებში წყნარი.

ნალექი: ძლიერ დიდი სოხუმში, სამტრედიაში, სურამში და ერევანში.

ზღვის მღელვარება ნაპირებთან: ფოთში, ბათუმში, ბაქოში— ყნარეა.

ამინდი საქართველოში:

ცვალებადი ღრუბლიანობა დასა ლეთ საქართველოში თბილა, ალა ალაგ წვიმს, ძლიერი ქარი აღმოსა ლეთ საქართველოში, ალაგ-ალა ჰყინავს.

ჩრდილოეთ-კავკასიაში

23 დეკემბერი, დილის 7 საათ

კაზბეგი: ტემპერატურა... 2 გ სულ მცირე ღრუბლიანობა; ქა არ ქრის.

კიზლიარი: ტემპერატურა... 2 გ სრული ღრუბლიანობა,—ნელი, მოსავლეთის ქარი.

ტფილისი

24 დეკემბერი, დღის 1 საათ

ტემპერატურა: 6 გრ.

ღრუბლიანობა: უმნიშვნელო.

ქარის ქროლა: ჩრდილოეთ-დას ლეთის, ძლიერი.

პროფესორი გ. მუხაძე
დაბრუნდა და **განაახლა** ავადმყოფების მიღება.
პლეხანოვის პრ. № 58. 278—12—8

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ·არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის [illegible]
ნერვიული და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ მკურნალობას საჭიროებენ.
სამკურნალო [illegible] **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible]
[illegible] ტფილისი, გორდანოვის ქ. № 20. (126—25—

ექიმი
კ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღე ლობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზ სამმართველოს მახლობლად. 303—25—2

დაკარგე პირადობის მოწმობა სოფრომ შენგელიას სახელ ჩაითვალოს გაუქმებულად. 310 1—

დაკარგე პირადობის სურათი. რკინისგზის მთავარ სახელოსნ გამგეობიდან მოცემული. დავით გოჩიაშვილის სახელ ჩაითვალოს გაუქმებულად. 317 1—

დაკარგე მოწმობა მოცემული ამიერ-კავკასიის რკინისგზის მთ ვარ სამართველოს მიერ იოსებ დავითის ძე თევზაძ სახელზედ. 90 პროც. შრომის უნარის დაკარგვისა და ინვალიდათ ცნობ შესახებ 1913 წლის თარიღით № 4230. ჩაითვალოს გაუქმებულად. 315 1—

დაკარგე სამსახურის ნუსხა № 12393 ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე ფურიამ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 316 1—

დაკარგე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი ნინ მაქსიმელის ასულის კვაშალის სახელზე. ჩაითვალ გაუქმებულად. 1—1

დაკარგე ბესარიონ არსენის-ძე ჩხაიძის სახელზე გაცემული რადობის მოწმობა და უფროს და შემადგენლობის სა ხედრო სარეგისტრაციო ბარათი № 9052 მოცემული ტფილისის და მ მაზრის სამ. კომისარიატის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 314 1—1

მიიღება 1924 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქართვ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მატროსთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე,

—— ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ ——

-„კომუნისტზე“-

ხელისმომწერლებს, რომლებიც შემოიტანენ ხვედრ ფულს წინდაწინვე, დაურიგდებათ შემდეგი

პრემიები:

1) გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“;
2) ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან;
3) ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
4) ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
5) ვ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
6) ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

პრემიები იქნებიან შემდეგნაირათ განაწილებული:

ყველა ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ „ჩირაღდანს“

გარდა ამისა

სამი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:
1. ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
2. ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან.

ექვსი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:
1. ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
2. ვ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
3. ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

გაზეთი ეღირება:

1 თვით 1 მან. და 50 კაპ. ჩერვონეცით
2 „ 3 მან. — —
3 „ 4 მან. და 50 კაპ. —
4 თვით 6 მან. ჩერვონეცით
5 „ 7 მან. და 50 კაპ. ჩერვონეცით.
6 „ 8 მან. და 50 „ „

კოლექტიური ხელის მოწერა: მუშებისათვის, მოსამსახურეთათვის და წითელარმიელებისათვის ეღირება 20 პროცენტით ნაკლები.

ტფილისის გარეთ მცხოვრებ ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ხელის მოწერის ფასი ათი კაპეიკის დამატებით თვიურად, გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად. 20—3

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4.